დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2024 წლის 4 - 10 მარტი
N11 1529
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# დოქ-სო-პუ-ლო-ე-ბო, თქვენ მშობელი ნომერი ერთი გყავთ?

4



ენტონი ბლინკენი სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს ურჩევს, მოერიდონ ისეთი ტერმინების გამოყენებას, როგორებიც არის „მამა“, „დედა“, „ქალიშვილი“, „ვაჟი“, „ცოლი“, „ქმარი“ და მათ ნაცვლად „მშობელი“, „შვილი“ და „პარტნიორი“ თქვან.

ღვთის მიერ დედაკაცად და მამაკაცად, დედად და მამად, ცოლად და ქმრად შექმნილი ადამიანის გაუქმება არც აშშ-ის სახელმწიფო მდივან ბლინკენს ძალუძს და არც მთლიანად ნეოლიბერალურ იდეოლოგიას!



13

## რუსეთის ტრაგედია იმაშია, რომ დღემდე კომპარტიის მე-20 ყრილობის დადგენილებით ცხოვრობს!



26-29

## რუსუდან ბერიძე:

მეჩვენებოდა, რომ ამ ურთიერთობაში ზვიადი ბატონი იყო, მერაბი — მისი ვასალი!



## მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები



# ჟიული შარტავა 80 წლისაა!

## მაყვალა ბერიანიძე:

# ჟიული შარტავა ისე წავიდა, სამოთახნახევრიანი ბინის გარდა, თავისი ოჯახისათვის არაფერი დაუტოვებია!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №54, 2024 წლის №1-10*

***7 მარტს ნაღალატევი და გუდაუთის გზაზე ულვთოდ დახვრეტილი ჟიული შარტავა 80 წლის გახდებოდა. ამ ღირსსახსოვარი თარიღის ფონზე ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე სინანულით იხსენებს იმ შემზარავ მეტამორფოზებს, რომლებიც საქართველოს ეროვნული გმირის მკვლელობის შემდეგ მოხდა:***

— გაოგნებული ვარ, რას დაემსგავსა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტა და რა მართალი ყოფილა ამერიკის ის პრეზიდენტი, რომელმაც თქვა — როცა ღმერთის არსებობას ვიხსენებ, შიშის ჟრუანტელი მივლის ჩემი ქვეყნის მომავლის გამოო! კომუნისტების დროს ღმერთის ხსენებას კრძალავდნენ, მაგრამ ხალხი სანთელს ანთებდა, კვერცხს წითლად ღებავდა და ეკლესიაში დადიოდა. ახლა, როცა არავინ არაფერს კრძალავს, უფალს იმ ანგელოზივით აუხირდნენ, ეშმაკად რომ იქცა. წარმოდგენაც კი მიჭირს, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა **ენტონი ბლინკენმა** თავის თანამშრომლებს როგორ გაუბედა — **დედა, მამა, ქალი და კაცი** აღარ ახსენოთო! ფაქტია, რომ ამერიკას ანგრევენ და შლიან... 2005 წლის აპრილში ჩემს გაზეთში გამოვაქვეყნე წერილი — **„ამერიკა საბჭოთა კავშირის შეცდომებს იმეორებს!“** მას შემდეგ ცხრამეტი წელი გავიდა და რაც მაშინ ვთქვი, არცერთი სიტყვა უკან არ მიმაქვს, რადგან ყველაფერი ახდა. დღეს მთელი ქვეყანა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ **მამუკა ხაზარაძის შვილის მიერ გადაღებულმა ფილმმა ბერლინში ლგბტ ფილმების ფესტივალზე გაიმარჯვა.** მამუკა ხაზარაძის შვილი აუცილებლად გაიმარჯვებდა, რადგან **ენტონი ბლინკენმა** სოდომისტებსა და ლგბტ პროპაგანდისტებს უკვე მთელ მსოფლიოში მწვანე შუქი აუნთო! **ხაზარაძეს ხელისუფლებაში მოსვლა რომ უნდა, სწორედ ლგბტ მაფიის იმედი აქვს!**

**— მერედა, ხაზარაძესა და მისთანებს ხელისუფლებაში მოსასვლელად ლგბტ მხარდაჭერა ეყოფათ?**

— **საერთოდ, წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ „ასავალ-დასავალში“, რომელსაც მთელი საქართველო კითხულობს, მაგ კაცის სახელი და გვარი ისმოდეს!** მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი — ხაზარაძე ვერ გაიმარჯვებს! უბრალოდ, 2024 წლის ოქტომბრის არჩევნები საშუალებას მოგვცემს, დავთვალოთ იმ **„გეიშნიკებისა“** თუ **„ლეიზბლინკენების“** რაოდენობა, რომლებმაც მამუკა ხაზარაძესა და გეიმანიფესტზე ხელისმომწერ დანარჩენ ლგბტ პარტიებს მისცეს ხმა. ცისფერი და ცისარტყელა შემაძულეს ამ გარეწრებმა... შეხედეთ, ფერეიდნელი ქართველები რას ამბობენ — ფერეიდანში ცისარტყელას რომ დავინახავდით, ვამბობდით, რომ, თუ ცისარტყელას ქვეშ გაძვრები, საქართველოში მოხვდებიო! ამათ ყველაფერი გააუკუღმართეს... ამიტომ, **თუ გვინდა, საქართველო ვიპოვოთ და ჩვენი სამშობლო დავიბრუნოთ, ლგბტ „ცისარტყელას“ უნდა დავუსხლტეთ და მართლაცდა ქვეშ უნდა გავძვრეთ ისე, რომ ამ სიბილწეს ახლოს არ გავეკაროთ!**

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **აკადემიკოსი გურამ შარაძე** სწორედ ლგბტ მაფიამ დახვრიტა, რადგან მან გაბედა და საჯარო ბიბლიოთეკის კედლებიდან ვინმე **რაფალ ოლბინსკის** გარყვნილი ნახატები ჩამოგლიჯა. სწორედ ამას და კიდევ იმას შეეწირა **გურამ შარაძე,** რომ საქართველოდან ეროვნული საგანძურის გატანას ეწინააღმდეგებოდა. გვაფრთხილებდა ცხონებული — საქართველოს ამოძირკვა უნდათ და საპატრიარქოს გადაეფარეთ, ნაკლი შესაძლოა, ბევრი აქვს, მაგრამ ეკლესიის ლანძღვა-გინება ქვეყანას დაგვაკარგვინებსო! აი, ეს ყველაფერი გურამ შარაძეს შეუგროვეს და წუთისოფელს გამოასალმეს. ვიდრე ქუჩაში დახვრეტდნენ, სააკაშვილის რეჟიმმა აკადემიკოსი 15-15 დღით ორჯერ გამოკეტა ციხეში. არადა, ამ დროს **ნატა ფერაძე**, რომელმაც სამების საკათედრო ტაძარში ხატი შეურაცხყო, მხოლოდ ხუთი დღით დააპატიმრეს. არ იფიქროთ, რომ ვინმეს ციხეში გაშვებაზე ვოცნებობ, უბრალოდ, დამოკიდებულებაზე მოგახსენებთ. აი, მაგალითად, **თემურ ჭყონიამ** ამასწინათ „მაკდონალდსში“ ბავშვების გასარყვნელად რაღაც ბინძური ბუკლეტები რომ გაავრცელა, საზოგადოებამ ეს ფაქტი მიაყურისძირა და, როგორც დღეს იტყვიან, გაატარა...

**— საზოგადოებამ ისიც გაატარა, „მაკდონალდსის“ ადმინისტრაციამ ამ ბილწი ფაქტის გამო ბოდიში რომ მოიხადა, მაგრამ მერე ელტონ ჭყონია გამოვარდა და განაცხადა — საბოდიშო არაფერი გვაქვს, როგორ გაბედეს და ჩემმა ხელქვეითებმა ბოდიში მოიხადესო! საზოგადოებამ ისიც გაატარა, სოფო ჭყონიამ თბილისში ე.წ. „გეიფართი“ რომ გამართა და მამათმავალ მოდელებს ტანსაცმელზე ფალოსები გამოუსახა!**

— დიახ, გეთანხმებით, რომ ამაზე ქართველ საზოგადოებას თვალი არ უნდა დაეხუჭა და არც **სალომე ზურაბიშვილის** გაპრეზიდენტებას შეგუებოდა. გასაგებია, რომ ბიძინა ივანიშვილს აშანტაჟებენ, მაგრამ საზოგადოებაც დაშანტაჟებულია!

**— თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილს ვინ აშანტაჟებს?**

— ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სწორედ ისინი აშანტაჟებენ, ვინც თავიანთ ხელქვეითებს **დედისა და მამის** ხსენება აუკრძალა! **ბატონო ბიძინა, გვითხარით, მაშინ გაფითრებული რომ გამოხვედით, ვინ დაგაშანტაჟათ?**

**2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ რომ მოგვიწოდეთ – თუ მე პატივს მცემთ, სალომე ზურაბიშვილი აირჩიეთ პრეზიდენტადო! – კი ბატონო, პატივს კი გცემთ, მაგრამ ვინ გაიძულათ და რით დაგაშანტაჟათ, გვითხარით და ორჯერ უფრო მეტად გცემთ პატივს!**

ახლა ის დროა, როცა დუმილი ოქრო აღარ არის! საქართ-





# „აკადემიკოსი გურამ შარაძე სწორედ ლგბტ მაფიამ დახვრიტა!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ძალიან კარგი იქნება, თუ **ევროკავშირის ალმასრულებელი სტრუქტურები გაემიჯნებიან ევროპარლამენტს უსამართლო გადაწყვეტილებებში** — შევატრიალებ მოწოდებას — **დაგვეხმარონ, რომ დავეხმაროთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მოსალოდნელია, რომ საქართველოშიც ცოტა ხანში გამოჩნდებიან აქტივისტები, რომლებიც გვეტყვიან, რომ **„ქართვლის დედას“ „ქართვლის დედა“ აღარ უნდა ერქვას, „დედა ენას“ აღარ უნდა დაერქვას „დედა ენა“ და დედამიწას — დედამიწა.** დღეს ეს საკითხი იმდენად სერიოზულია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრსაც კი მოუწია ხაზგასმა, რომ **ქალი არის ქალი და კაცი — კაცი.**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**შეუძლებელია, ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვინმე მოვიდეს ხელისუფლებაში, ჩვენ ამას არ დავუშვებთ!** — მოიპოვონ ხალხის მხარდაჭერა და მერე კი ბატონო, **დიდი სიამოვნებით გადავალთ ოპოზიციაში.** „ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**სააკაშვილი** აუცილებლად გათავისუფლდება, მაგრამ **მას შემდეგ, რაც სასჯელს მოიხდის!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

ველოს ე.წ. **„სტრატეგიული პარტნიორი“** ვერ იქნება ის ამერიკა, რომელიც მთელი თავისი პოლიტიკური ელიტით სოდომიაშია ჩავარდნილი! გავიხსენებ ვანგასთან ჩემ შეხვედრას და მხოლოდ ერთს ვიტყვი — **საქართველოს მომავლის მეშინია!**

**— მაინც რა გითხრათ ვანგამ?**

— **აგერ ნახავთ, საქართველო სახელს შეიცვლის!** თუ ქვეყანა თავის ძირებს არ დაუბრუნდა და ხალხი არ გამოფხიზლდა, არაფერი გვეშველება. თუ საქართველოს დაქცევა არ უნდათ, რატომ დაარქვეს საქართველოს დიდებისა და გამარჯვების სახელი — **ბასიანი** იმ გეი-კლუბს, სადაც ქართველი ახალგაზრდები იხოცებიან, იწამლებიან და გარყვნილებას ეძლევიან? ქართული განათლების ამოსაძირკვად განათლების რეფორმის პროექტს **„ილია ჭავჭავაძე“** უწოდეს, ხოლო ილიას უნივერსიტეტი, ანუ ილიაუნი იმ დაწესებულებას დაარქვეს, სადაც საქართველოს სიყვარულის გარდა ბავშვებს ყველა უბედურებას ასწავლიან! შოკში ვარ, როცა მეუბნებიან, რომ ნარკოკურიერებს, რომლებიც დაფასოებულ ნარკოტიკებს სადღაც ქუჩებსა და ბუჩქებში მალავენ, 700-დან 3000 დოლარამდე აქვთ ხელფასი! ვინ სჩადის ამას, ვინ დგას ამ უბედურების უკან და ვინ იხდის ამ ფულს?

**— ვანგას თქვენთვის ნათქვამი აქვს, საქართველო სახელს შეიცვლისო?**

— დიახ, ვანგამ მითხრა — **საქართველო სახელს შეიცვლის და თავის ფესვებს დაუბრუნდებაო!** კი ბატონო, თუ **იბერია** ან **კოლხიდა** გავხდებით, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ამ დაქცეულ ქვეყანაში, ძმა ძმას რომ ვერ ეხმარება, **რატომ არ აქვეყნებთ მონაცემებს იმის შესახებ, რა ფულებს ურიცხავენ ამერიკელები და ევროპელები ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს?** დღეს საქართველოში რაღაც საეჭვო დუმილია... 7 მარტს ჟიული შარტავას 80 წელი შეუსრულდებოდა. 49 წლის იყო ბატონი ჟიული, როცა აფხაზეთში დახვრიტეს. ცხონებული ისე წავიდა, სამოთახნახევრიანი ბინის გარდა, თავისი ოჯახისათვის არაფერი დაუტოვებია!

**— სამაგიეროდ, შევარდნაძემ ხომ დაუტოვა ოჯახს მილიარდები?**

— მახსოვს, შევარდნაძის დასთან, უწესიერეს **ქალბატონ ვენერასთან** მქონდა ინტერვიუ, სადაც მან ბევრი რამ გაიხსენა და ისიც მითხრა — თუ როგორ უჭირდათ და 9 კვადრატულ მეტრ ოთახში როგორ ცხოვრობდნენ! სხვათაშორის, ქალბატონმა ვენერამ მაშინ ჩამომითვალა, რომელი დედმამიშვილი როდის დაიბადა... ეს ინტერვიუ რომ გამოქვეყნდა, შევარდნაძემ ტრადიციულ საორშაბათო შეხვედრაზე ღიმილით მომიკითხა — **ქალბატონო მაყვალა, ვენერას შეცდენას თავი გაანებე, ამდენი სი-**

# ჟიული შარტავა: დამიტირეთ, მაგრამ გული არ გაიტეხოთ! ჩვენს სახლში იქნება არაერთი ზეიმი... აბა, თქვენ იცით!



ჟიული შარტავა შვილებთან – ირაკლისა და კახასთან ერთად

**მართლე რა ამბავიაო?!** ამბობენ, რომ 1972 წლიდან, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, შევარდნაძემ დიდძალი ქონება, კერძოდ, მილიარდები დააგროვა... სააკაშვილმა მილიარდები ცხრა წელიწადში იშოვა და ყველაფერი შერჩა. ვნახე ჟიულის ხელნაწერი, სადაც ვკითხულობთ:

*„ხელუხლებელია და განეკუთვნება ჩემს ამ საქაღალდეში არსებული დანაზოგი ლიას, კახას და ირაკლის ჩემი სიკვდილის შემთხვევაში. ეს არის დანაზოგი სადეპუტატო სამკურნალო დახმარებისა, სოსოსა და ბონდოს დახმარებისა. მეტს ვერაფერს ვტოვებ, მაგრამ ღმერთი მოწყალეა და გფარავდეთ იქნება. ამინ! ეს არ არის ის თანხა, რომელსაც მე ვმალავდი, ეს ის თანხაა, რომელსაც მე ვინახავდი შავი დღისათვის. ეს დღეც თუ დადგა, არ მიწყინოთ... დამიტირეთ, მაგრამ გული არ გაიტეხოთ! ჩვენს სახლში იქნება არაერთი ზეიმი... აბა, თქვენ იცით!“*

**— ეს წერილი ჟიული შარტავამ როდის დაწერა?**

— ეს წერილი დაწერილია 1991 წელს!

**— მაინც რა თანხა დაუტოვა ჟიული შარტავამ ოჯახს?**

— 500 ამერიკული დოლარი! (!!!) სხვათაშორის, მამუკა ხაზარაძე უსინდისოდ გვარწმუნებს და გვიმტკიცებს, რომ თავისი ბიზნესი სწორედ 500 დოლარით დაიწყო...

არანაკლებ საინტერესოა, ჟიული შარტავას მეორე ჩანაწერი მეუღლისადმი, რომელიც 1988 წლის 10 ნოემბრით არის დათარიღებული. ჩანაწერში ვკითხულობთ:

*„შენი საკადრისი საჩუქარი ვერ შევარჩიე. ამიტომ ამ ფულით თვითონ იყიდე ის, რა უფრო სიმბოლურად ჩათვალო! რა თქმა უნდა, თანხა უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც შენ იმსახურებ, ბევრად უმნიშვნელო, მაგრამ ჩვენს ოჯახში ხომ დიდი ხანია, მთავარია — „კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების!“*

ყოველთვის მადლიერი ვიქნები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, რომელმაც ჟიული შარტავას უკვდავსაყოფად უდიდესი შრომა გასწია... ასევე დიდი მადლობა მინდა,

## „არც სააკაშვილი და არც სალომე ზურაბიშვილი ჟიული შარტავას საფლავზე ნამყოფი არ არიან!“



გადავუხადო რუსთავის დღევანდელ მერს, ქალბატონ **ნინო ლაცაბიძეს,** რომელიც ჟიულის სახელს არ ივიწყებს! მაგრამ როგორ დავივიწყო სააკაშვილის დრო, როცა 2004 წელს ქვემო ქართლის მაშინდელი სამარცხვინო გუბერნატორი სიტყვით გამოვიდა და განაცხადა — საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა და რაც შევარდნაძემ ვერ გააკეთა, იმას ჩვენ გავაკეთებთ, ჟიული შარტავას საფლავს აუცილებლად ვიპოვით და თბილისში გადმოვასვენებთო!

**— სააკაშვილის გუბერნატორმა ეს სად განაცხადა?**

— რუსთავში, ანუ **იმ სამარცხვინო და კრეტინ კაცს, რომელმაც უმოკლეს დროში მოასწრო საკუთარი სასახლეებისა და აუზების კეთილმოწყობა, ჟიული შარტავას საფლავი აფხაზეთში ეგონა.** ეს განცხადება მან გააკეთა მას შემდეგ, რაც ჟიულის ძველი მეგობარი ჩეხეთის ელჩი გამოვიდა, ძალიან დიდი სითბოთი გაიხსენა ჟიული და სინანულით თქვა — **წელს მის საფლავზე ვერ მივედი, შეუძლოდ ვიყავიო!** ის სამარცხვინო გუბერნატორი ამ ფაქტს გადაჰყვა, რადგან მთელი დარბაზი აგინებდა... ცნობისათვის, **არც სააკაშვილი და არც სალომე ზურაბიშვილი ჟიული შარტავას საფლავზე ნამყოფი არ არიან!** რაც შეეხება **მარგველაშვილს,** ერთადერთხელ მოვიდა და ისიც იმიტომ, რომ შალვა რამიშვილს დაურეკეს, რომელიც მაშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობდა. **კახი კახიშვილი** როცა მინისტრი იყო, ჟიულის საფლავზე სულ დადიოდა... სხვათაშორის, ამ მხრივ საყვედური არ ითქმის არც **თეა ახვლედიანის** მიმართ, რომელიც შერიგების მინისტრია და ჟიული შარტავას ნათელი ხსოვნისადმი პატივის მიგება არასოდეს ავიწყდება!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „ბატონო ბიძინა, გვითხარით, მაშინ გაფითრებული რომ გამოხვედით, ვინ დაგაშანტაჟათ?“

### კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



იმედი მაქვს, რომ ქართული ეკლესია შეძლებს **პროქართველი და პროევროპელი პატრიარქის არჩევას** და არა — პრორუსის. **რუსეთის იმპერიალისტური მცდელობები,** გამოცადოს ჩვენი სიმტკიცე, წარსულს ვერ აღადგენს... **საქართველო თავისუფალი და მტკიცეა,** მტკიცედ მიემართება ევროპისკენ და ვერავინ გადაიყვანს გზიდან.

„აიპრესი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



თუ კათოლიკოს-პატრიარქმა დაიმსახურა ის სიტყვები და შეფასება, **რაც მოვისმინეთ სალომე ზურაბიშვილისგან,** მაშინ მაჩვენეთ ადამიანი, ვინც ამ შეფასებას ეთანხმება. **ჩვენ და საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა არ ეთანხმება ამ შეფასებას.**

„ინტერპრესნიუსი“

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



**ცოცხალი პატრიარქის პირობებში რა არჩევაზე საუბრობს?** მოკვლას უპირებს თუ გადაყენებას? პატრიარქის სტატუსი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა ჰგონია. **ყველა ზღვარს სცილდება ამ ქალბატონის საქციელი.**

„ინტერპრესნიუსი“

**სტეფანე კალაიჯიშვილი**
*ქუთაისის, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მიტროპოლიტი*



**ვინ ეკითხება სალომე ზურაბიშვილს ჩვენი პატრიარქის მომავალს?** უფლის ხელშია ეს და არა სალომეს ან მისი პატრონების ხელში. **რამდენ ხანსაც იცოცხლებს ჩვენი პატრიარქი, ის ჩვენი პატრიარქი იქნება ბოლომდე.**

„აიპრესი“

***ნეოლიბერალური სიბილწის, ბუნების კანონთა წინააღმდეგ გალაშქრებისა და ღმერთთან ბრძოლის მორიგი გამოვლინება ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებისაგან — სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა გამოსცა შიდა ცირკულარი, რომლითაც საკუთარ თანამშრომლებს „გენდერულად ნეიტრალური“ ტერმინოლოგიის გამოყენებისაკენ მოუწოდებს.***



# დოქსოპულოებო,

# თქვენ მშობელი ნომერი ერთი გყავთ?!

დოკუმენტში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ხელმოწერით ამა წლის 5 თებერვალს გამოიცა და რომლის შესახებაც ამერიკული პრესა აქტიურად წერს, ნათქვამია, რომ ***„გენდერი არის სოციალური კონსტრუქცია და კონკრეტული პირის გენდერული იდენტობა შეიძლება, ადამიანის დაბადებისას დაფიქსირებულ სქესს არ შეესაბამებოდეს“.*** სწორედ ამიტომ

**ენტონი ბლინკენი სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს ურჩევს, მოერიდონ ისეთი ტერმინების გამოყენებას, როგორებიც არის „მამა“, „დედა“, „ქალიშვილი“, „ვაჟი“, „ცოლი“, „ქმარი“ და მათ ნაცვლად „მშობელი“, „შვილი“ და „პარტნიორი“ თქვან.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ცირკულარი სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს ასევე ურჩევს, ფართოდ გავრცელებული მიმართვის ფორმები — **„ქალბატონებო და ბატონებო“** და **„თქვენ, ბიჭებო“** ჩაანაცვლონ მიმართვით — **„ხალხო“, „მეგობრებო“** და **„თქვენ, ყველა“.** გარდა ამისა, ბლინკენის ცირკულარში წერია, რომ ***„ადამიანის გენდერის დადგენა მისი სახელის მიხედვით, შესაძლოა, პრობლემური იყოს“,*** რის გამოც სახდეპის თანამშრომლებმა ელექტრონული ფოსტის გაგზავნისა თუ საქმიანი შეხვედრების დროს კონკრეტული ადამიანის სახელის ნაცვლად ისეთი ნაცვალსახელი უნდა გამოიყენონ, რომელიც ხაზს არ გაუსვამს პიროვნების ბიოლოგიურ სქესს.

**და კიდევ:** ბლინკენი სახდეპის თანამშრომლებს მოუწოდებს, თავი აარიდონ ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიც არის **„მამაცი კაცები და ქალები ფრონტის ხაზზე“,** ამის მაგივრად კი გენდერულად ნეიტრალური ტერმინები — **„მამაცი სამხედროები“** ან **„მამაცი მებრძოლები“** გამოიყენონ.

მოკლედ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გააუქმოს ადამიანთა მოდგმის საწყისი, გააუქმოს კაცი და ქალი, გააუქმოს ოჯახი, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა და, შესაბამისად, გააუქმოს ღმერთი, როგორც ამ ყველაფრის შემოქმედი და არსთა გამრიგე.

**რა თქმა უნდა, ეს უბადრუკი მცდელობაა!**

**რასაკვირველია, ეს ნეოლიბერალური სიშლეგე კრახისათვის არის განწირული ისევე, როგორც ღმერთთან შეტოქებისა და მისი დამარცხების ყოველი მცდელობა ყოველ დროში!**




ვერც ბლინკენის ცირკულარი და დედამიწის ზურგზე ადამიანის ხელით დაწერილი ვერცერთი კანონი ვერ გააუქმებს ბიბლიას, რომლის პირველივე წიგნის — „დაბადების“ პირველივე თავში წერია: ***„შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“.***

სანამ აშშ-ის სახდეპის შეფი თავის ცირკულარში ჩაწერდა — **„დედა“, „მამა“ , „ცოლი“** და **„ქმარი“** არ თქვათო, 20 საუკუნით ადრე ქრისტეს მოციქულმა მათემ თავის სახარებაში დაწერა: ***„და მივიდნენ მასთან ფარისეველნი და გამოსცდიდნენ და ეკითხებოდნენ: „შეუძლია კაცს, გაუშვას თავისი ცოლი ყოველგვარი მიზეზით?“ მან მიუგო და უთხრა მათ: „ნუთუ არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი?“ და თქვა: „ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეკრობა თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთ ხორცად“.***

ერთი სიტყვით, ღვთის მიერ **დედაკაცად და მამაკაცად, დედად და მამად, ცოლად და ქმრად** შექმნილი ადამიანის გაუქმება არც აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ბლინკენს** ძალუძს და არც მთლიანად ნეოლიბერალურ იდეოლოგიას, რომელსაც გარდაუვალი აღსასრული უახლოვდება!

როცა **ბლინკენის** მიერ გამოცემული გენდერ-ცირკულარის გამო საქართველოში აჟიოტაჟი ატყდა და პოლიტიკური შეფასებებიც გაისმა, ამერიკის ელჩმა რობინ დანიგანმა განაცხადა:

> ***„გაკვირვებული ვარ ყურადღებით, რომელიც ამ თემამ საქართველოში მიიპყრო. ეს არის სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა დოკუმენტი, რომელიც უწყების თანამშრომლებს, რომლებსაც მეტი ინკლუზიურობა სურთ, ამ თემებზე სასაუბროდ გზების გამონახვაში ეხმარება. ამას არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან“.***

როგორც ჩანს, აშშ-ის ელჩს ქართველი ხალხი სულელი ჰგონია ან თვითონ ისულელებს თავს, როცა ამბობს — **არ მესმის, სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა ცირკულარს საქართველოსთან რა საერთო აქვსო! ქალბატონმა დანიგანმა** ვითომ არ იცის, რომ შეერთებულ შტატებში შექმნილ ნეოლიბერალურ ტრენდებს, გენდერულ თეორიებსა და ლგბტ პროპაგანდას საქართველოზე კი არა, მთელ მსოფლიოზე აქვს პირდაპირი გავლენა, რადგან ამერიკა მსოფლიო ჰეგემონი გახლავთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებისა და სხვა ლგბტ ნარატივების ექსპორტი კი მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტია.

იმ ფონზე, როცა ამერიკის ელჩი რაღაცებს ვერ ხვდება ან ვითომ ვერ ხვდება, **„ქართული ოცნების“ ხელისუფლება, როგორც იქნა, მიხვდა, რა საფრთხეებს უქადის საქართველოს ნეოლიბერალური იდეოლოგია და ლგბტ პროპაგანდა, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საფარქვეშ ოპერირებს და ძირს უთხრის ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ეროვნულ იდენტობას.** როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **მამუკა მდინარაძემ** განაცხადა, მმართველი გუნდი უახლოესი კვირების განმავლობაში მოამზადებს და მიიღებს კანონს, რომელიც ქვეყანას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისაგან დაიცავს.

იმედია, დიდი გნიასი და პროპაგანდისტული შტურმი, რომელიც ხელისუფლებას ადგილობრივი ნეოლიბერალური სექტისა და მათი უცხოელი პატრონ-დონორების მხრიდან დაატყდება თავს, დაანონსებული კანონის მიღებას ხელს არ შეუშლის და საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გაუჩნდება **სამართლებრივი ბერკეტი ლგბტ პროპაგანდისაგან თავის დასაცავად.**

მანამდე კი ისღა დაგვრჩენია, ამერიკის სახელმწიფო მდივანსა და ნეოლიბერალური იდეოლოგიის ყველა ადეპტს, რომელიც **„დედისა“** და **„მამის“** ჩანაცვლებას **„მშობელი ნომერი ერთით“** და **„მშობელი ნომერი ორით“** ცდილობს, გენდერულად ნეიტრალურ ენაზე ვკითხოთ — **დოქსოპულოებო, თქვენ მშობელი ნომერი ერთი გყავთ?!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



ჩემი ადმინისტრაციის პირობებში **ქრისტეს ჯვარს ვერავინ შეეხება.**

„რეზონანსი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ამერიკას უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც **ჩინეთთან დადებული აქვს სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება** და ჩვენ როდესაც გავაფორმეთ ეს ხელშეკრულება, ამერიკის საელჩოს მხრიდან ამას კრიტიკა მოჰყვა.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



სანამ საქართველო იქნება მართლმადიდებლური და სანამ ქართველი კაცი იცხოვრებს აქ, **ამ ხელმოცარულებს არ მიეცემათ საშუალება, რომ ჩვენი ბავშვები და ახალგაზრდები გარყვნან.** რაც არ უნდა პროპაგანდა აწარმოონ, **დედა დედაა და მამა მამაა,** ეს ძალიან კარგად ვიცით ყველამ.

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მმართველ ძალას აქვს პერსპექტივა — **მეოთხე ვადით მოვიდეს ხელისუფლებაში,** ოპოზიციაში კი არ ჩანს ძალა, რომელიც პერსპექტივაში მაინც ჩაანაცვლებს ხელისუფლებას.

„იმედინიუსი“

# პატიმრის წერილი გლდანის ციხის 41-ე საკნიდან

***პატიმარი დახმარებას გვემუდარება!** „— ყოველ ზღვარს სცდება, რაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ გიორგი სიქტურაშვილს გადახდა — ცოლმა სექსუალურად ძალადობის საზარელი მუხლით დააჭერინა და 11 წლით ციხეში გამოკეტეს!“ **— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი მსჯავრდებულის ადვოკატმა კახაბერ ჩუბინიძემ:***





მე ვარ გიორგი სიქტურაშვილი. ვიმყოფები გლდანის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, I კორპუსში, N41 საკანში. ჩემი ადვოკატის გზით მსურს მოგწეროთ ჩემი გასაჭირის, უკანონოდ გასამართლებული პატიმრის შესახებ.
2022 წელს დამაკავეს მეუღლესთან მესიჯის მიწერისათვის, ვითომდა შეიცავდა მუქარას. ამის გამო ჩემთვის გამომძიებელს უნდა გამოეწერა შემაკავებელი, თუმცა გამომძიებელმა მიზანმიმართულად აწარმოა არაობიექტური გამოძიება. დამიშინეს მეუღლე, რომელთანაც ვცხოვრობ 10 წელია, მყავს ორი შვილი. დაკავების შემდეგ გამომძიებელმა წამიყენა ბრალი, რომ ვითომდა მე 2020 წელს ვიძალადე მეუღლე[ზე] სექსუალურად და წამიყენა გაუპატიურების მუხლი. საქმეზე არ დანიშნულა არანაირი სამედიცინო ექსპერტიზები, არ არსებობს

## კახაბერ ჩუბინიძე:

# სქესობრივი აქტის წინ მამაკაცი ცოლისგან ნოტარიულ თანხმობას თუ არ მოიპოვებს, შეიძლება ხანგრძლივ პატიმრობაში აღმოჩნდეს!

## პატიმრის წერილი

მე ვარ **გიორგი სიქტურაშვილი,** ვიმყოფები გლდანის №8 დაწესებულების პირველი კორპუსის 41-ე საკანში. 2022 წელს დამაკავეს მეუღლისათვის მესიჯის მიწერის გამო, რომელიც ვითომდა შეიცავდა მუქარას. ამის გამო გამომძიებელს ჩემთვის უნდა გამოეწერა შემაკავებელი ორდერი, მაგრამ მან მიზანმიმართულად აწარმოა არაობიექტური გამოძიება. დამიშინეს მეუღლე, რომელთანაც ვცხოვრობ 10 წელია და მყავს ორი შვილი. დაკავების შემდეგ გამომძიებელმა წამიყენა ბრალი, თითქოს 2020 წელს სექსუალურად ვიძალადე მეუღლეზე და გამასამართლეს გაუპატიურების მუხლით. საქმეზე არ დანიშნულა არანაირი სამედიცინო ექსპერტიზა და, ცხადია, არ არსებობს მტკიცებულებები იმაზე, რაც არ ჩამიდენია. საქმე აწყობილია მხოლოდ პროკურორის ღრმა რწმენაზე, რომელზე დაყრდნობითაც საქალაქო სასამართლომ მომისაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, გამომკეტეს ციხეში, დამინგრიეს ოჯახი და დამაშორეს არასრულწლოვან შვილებს. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც, რაც გასაჩივრებული მაქვს უზენაესში. **გთხოვთ, ისაუბროთ ამ პრობლემებზე, უკანონოდ გასამართლებულ პატიმრებზე. არ შეიძლება ადამიანის გასამართლება მხოლოდ ნათქვამის საფუძველზე, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.**

ვარ დაღუპული და განადგურებული, რაც მთავარია, უზომოდ შეურაცხყოფილი. **გთხოვთ, მიაწვდინოთ ჩემი ხმა იმ ადამიანებს, ვინც დამეხმარება სიმართლის დამტკიცებაში.**

გამომძიებელმა ჩემს საქმეში გააყალბა ხელმოწერები. იგი გახლავთ **კახაბერ ბამჯაშვილი.** საქმის პროკურორია **ლაშა ბამყრელიძე. გაყალბებულ ხელმოწერებთან დაკავშირებით კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნის მიზნით მივწერე არაერთ სახელმწიფო სტრუქტურას, თუმცა, ამას არ მოჰყოლია არანაირი შედეგი.** ასევე მიწერილი მაქვს სახალხო დამცველთან. დაუკავშირდით ჩემს ადვოკატს **კახაბერ ჩუბინიძეს,** რომელიც მოგცემთ ინტერვიუს საქმის დეტალებთან დაკავშირებით. **გთხოვთ, ინტერვიუ ჩაწეროთ ჩემთანაც, რათა დასრულდეს ეს უკანონობა, ოჯახების ნგრევა და კაცების ციხეში გაშვება!**

## საუბარი ადვოკატთან

**„ვარ დაღუპული და განადგურებული, რაც მთავარია, უზომოდ შეურაცხყოფილი. გთხოვთ, მიაწვდინოთ ჩემი ხმა იმ ადამიანებს, ვინც დამეხმარება სიმართლის დამტკიცებაში!“** — ამას იწერება გამწარებული პატიმარი. მოგეხსენებათ, როგორი საზარელი მუხლია, თუმცა, მსჯავრდებული იმდენად დარწმუნებულია თავის უდანაშაულობაში, რომ სახელისა და გვარის გამჟღავნებასაც არ ერიდება, პირიქით, პრინციპულად მთხოვს ვინაობის გასაჯაროებას! ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი საშუალო ასაკის **გიორგი სიქტურაშვილი** დაახლოებით ერთი წლის წინათ დააპატიმრეს. 40 წლამდე მამაკაცი მასზე რამდენიმე წლით უმცროს მეუღლეზე, **ვ.ს**-ზე იყო დაქორწინებული. წყვილს საკუთარი ორი შვილი ჰყავდა, თუმცა, გიორგის მეუღლეს პირველი ქორწინებიდან შვილი მოჰყვა, რომელიც მათთან ოჯახში იზრდებოდა და კაცი შვილებში არ ანსხვავებდა. ბოლო პერიოდში გიორგის ცოლთან ურთიერთობა დაეძაბა. ერთხელაც, შინ დაბრუნებულს მეუღლე და შვილები სახლში აღარ დახვდა. მცირეწლოვან (5 და 2 წლის) ბავშვებზე დარდით განერვიულებულმა კაცმა ცოლს ტელეფონზე მუქარის ელემენტების შემცველი მესიჯები მისწერა — დაბრუნდი, თორემ ასე და ასე ვიზამო. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მოგვიანებით, სასამართლოზე აღიარებდა და განმარტავდა, რომ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო, როგორსაც ადამიანები ხშირად ეუბნებიან ერთმანეთს, თუმცა, განხორციელებას არ აპირებენ. სწორედ ტელეფონზე მიწერილი ეს მესიჯები იქცა იმის საფუძვლად, რის გამოც გიორგის მეუღლემ **ვ.ს**-მ პოლიციას მიმართა.

**— ნუთუ, მხოლოდ მესიჯების გამო მიუსაჯეს 11- წლიანი პატიმრობა?**

— სასამართლოზე ოჯახური ძალადობის შესახებ ბრალდება 126-ე პრიმა მუხლის, ხოლო მუქარა 151-ე მუხლის ფარგლებში განიხილეს. ზოგადად, ოჯახში წყვილი მართლაც ხშირად კამათობდა, თუმცა, ფიზიკური შეურაცხყოფის გარეშე. სამართალდამცველებამდე საქმე არ მისულა და მეუღლეები თანაცხოვრებას აგრძელებდნენ. დაპატიმრებამდე გიორგის მეუღლესთან შემაკავებელი ორდერიც კი არ ჰქონია გამოწერილი! **ამ საქმის მთელი აბსურდულობა იმაში მდგომარეობს, რომ გიორგის დაკავების შემდეგ მისი მეუღლე კვლავ მიდის პოლიციაში და დამატებით აცხადებს, თითქოს 2020 წლის ოქტომბერში ქმარმა სქესობრივი კავშირი მასთან მისი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარა და ტუალეტში გააუპატიურა!** შესაბამისად, **გიორგი სიქტურაშვილი** დამატებით, 137-ე, ანუ გაუპატიურების მუხლით გაასამართლეს და სასჯელის სიდიდეც სწორედ ამ მუხლმა განაპირობა!

**— მაგრამ გიორგი ხომ ერთი წლის წინ დაიჭირეს... თუ ქალი პოლიციაში ქმრის მიერ გაუპატიურების შესახებ ირწმუნებოდა, 3 წლის განმავლობაში რატომ დუმდა?**

— საქმეც მაგაშია, რომ გაუპატიურების შესახებ **ვ.ს**-ს 3 წლის განმავლობაში, ანუ გიორგის დაპატიმრებამდე სიტყვა არავისთან დასცდენია! ანდა რაში უნდა დასჭირვებოდა გიორგის ცოლის ღამით საპირფარეშოში გაუპატიურება, როცა მთელი სახლი ოჯახის განკარგულებაში იყო?! ამიტომაც ქალის განცხადება აბსურდი და ცილისწამებაა, მით უფრო, რომ ამ მითიური გაუპატიურების შემდეგ წყვილს შვილიც ეყოლა და მათი ოჯახური თანაცხოვრება კიდევ 3 წელიწადს გაგრძელდა!

**— ამ შემთხვევის გარდა სხვა მსგავსი ფაქტიც დაასახელა?**

— დიახ, 2023 წლის აპრილში „მომხდარ მეორე ეპიზოდზეც“ ისაუბრა, როცა ინტიმური ურთიერთობის მომენტში ქმარს ტკივილის განცდის გამო შესჩივლა, თუმცა, მან ურთიერთობა არ შეწყვიტა. ქალბატონმა **ვ.ს**-მა ესეც მისი ნების საწინააღმდეგო სექსუალურ ქმედებად გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ თვეები იყო გასული, წყვილის ოჯახური თანაცხოვრება გრძელდებოდა და გაუპატიურების დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნა ან სხვა რამ მტკიცებულება არ არსებობდა! **ისე გამოვიდა, რომ ოჯახურ ძალადობასა და მუქარასთან ერთად საწყალ კაცს ბრალი ცოლის ნების საწინააღმდეგოდ დამყარებული ინტიმური ურთიერთობების გამოც წაუყენეს, რასაც ადგილი არამც და არამც არ ჰქონია!** შესაბამისად, უკანონოა 11-წლიანი სასჯელი, რაც **გიორგი სიქტურაშვილს** მოსამართლე **ნათია გუდაძემ** მიუსაჯა!

**— ცოლ-ქმარს შორის დაძაბულობა რით იყო გამოწვეული?**

— ოჯახი ქალის ბინაში ცხოვრობდა, თუმცა, **სიქტურაშვილმა** საკუთარი სამოთახიანი ბინა გაყიდა და აღებული თანხა ოჯახს მოახმარა. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გიორგი გარკვეული ხნით ევროპაშიც იყო წასული. მისი თქმით, მეუღლისგან განსხვავებით სამსახური არ ჰქონდა, მეუღლე კი სამსახურიდან (სალონში მუშაობდა) სახლში გვიან ბრუნდებოდა და მცირეწლოვან შვილებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა. **ვ.ს**-ის სახლში არყოფნის პერიოდში ბავშვებზე იმავე კორპუსში მცხოვრები გიორგის სიდედრი ზრუნავდა.

მე, როგორც ადვოკატს, გამაჩნია გონივრული ვარაუდი, რომ ქალბატონი **ვ.ს.** ვიღაცამ საჩივლელად წააქეზა. **გიორგი სიქტურაშვილი განმარტავს, რომ მის ცოლს ჰყავდა საეჭვო ზნეობის მქონე მეგობარი, რომელიც ცდილობდა, ვ.ს. თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.** არც იმას გამოვრიცხავ, რომ არსებობს მამაკაცი, რომლის ინტერესებშიც შედიოდა გიორგის ჩამოცილება. ამ ვარაუდის საფუძველს მაძლევს გარემოება, რომ გიორგის მეუღლემ არ იკმარა მუქარის გამო პოლიციისთვის შეტყობინება და წლების წინ „გაუპატიურებასთან“ დაკავშირებითაც შეიტანა საჩივარი იმ განზრახვით, რომ მეუღლისთვის კანონიერი სასჯელი უკანონოდ და ცილისწამებით დაემძიმებინა.

ფაქტია, რომ თავდაპირველად პოლიციაში მისვლისას, გაუპატიურებაზე არაფერი უთქვამს. ეს ბრალდება რომ არა, ყველაზე უარეს შემთხვევაში გიორგის 2 წელს მიუსჯიდნენ, უკეთეს ვარიანტში კი, 6 თვიდან 1 წლამდე პატიმრობით დასრულდებოდა ყველაფერი.

**— და მაინც, რასთან გვაქვს საქმე — კანონის პრობლემასთან თუ უკანონობასთან?**

— სახეზეა როგორც კანონის, ასევე უსამართლო სასამართლოს პრობლემა! საქმე უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრეთ და იმედია, რომ სამართლიანობა ამჯერად მაინც იზეიმებს. ბრალდების მხარის ვალდებულებაა მყარი მტკიცებულების წარმოდგენა, რაც ამ შემთხვევაში ბრალდებამ ვერ შეძლო და ამხელა სასჯელი კაცს მხოლოდ ქალის ჩვენებაზე დაყრდნობით მიუსაჯეს! **ასე ნებისმიერ ქალს შეუძლია, ქმარს მასთან შეუთანხმებელი ინტიმური კავშირის გამო უჩივლოს და დააჭერინოს.** გამოდის, მამაკაცმა მეუღლესთან ინტიმური კავშირი რომ დაამყაროს, წინასწარ მისგან ნოტარიული წესით თანხმობა უნდა მოიპოვოს, ხოლო სქესობრივი აქტის შემდეგ ხელწერილი დააწერინოს, რომ ყველაფერი ცოლისთვის მისაღებ ფორმაში მოხდა!

*ესაუბრა*

**ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

დამოუკიდებლობისთვის, თურმე, იმიტომ ვიბრძოლეთ, რომ **სხვა ქვეყნის საელჩოებმა დაგვინიშნონ მოსამართლეები, სხვა ქვეყნიდან დაფინანსებულმა ენჯეოებმა დაგვინიშნონ მთავრობის წევრები** და პარლამენტში კანონების წერა გვიკარნახონ. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

„იმედინიუსი“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

თურმე, **საელჩოებმა და უცხოეთიდან დაფინანსებულმა „ენჯეოებმა“** ქვეყნის პოლიტიკის ფორმირების ყველა სფეროში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ, **დეპუტატს კი ელჩისადმი კითხვის დასმის უფლებაც არა აქვს.**

„იმედინიუსი“



**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*

ეგ **სალომე ზურაბიშვილი** რომ საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მე აქ **რუსეთის წინააღმდეგ ვიბრძოდი.** ამიტომ ცოტა მეტი კონკრეტიკა მისგან და **ნაკლები პროვოკატორობა.**

„რეზონანსი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

**სალომე ზურაბიშვილი** არა **ქვეყნის გამაერთიანებლის,** არამედ **ნაცმოძრაობის გამაერთიანებლის** ფუნქციის შესრულებას ლამობს.

„რეზონანსი“

# ესენი ჩვენს ქვეყანაში ვერ უნდა ჩამოდიოდნენ!






ვიოლა ფონ კრამონი, ანდრიუს კუბილიუსი, ანა ფოტიგა, ჟიგიმანტას პავილიონისი

***არამხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო ინტერნეტსივრცეში არნახული პოპულარობით სარგებლობს ქართული მუსიკალური ჯგუფის „ნიკოს ბენდის“ სიმღერა „ქართული დისკო“, რომელიც სოციალურ ქსელებში უკვე ასეულობით მილიონმა ადამიანმა მოისმინა. ეს გახლავთ იტალიური პოპ-როკ ჯგუფის „ფერების“ (The Kolors) სიმღერის „იტალიური დისკოს“ გადმოქართულებული ვარიანტი, რომელიც ორიგინალზე უფრო წარმატებული და რეზონანსული აღმოჩნდა.***

## პოლიტიკური ფიქრები სუპერპოპულარული სიმღერის „ქართული დისკოს“ გარშემო

**„ქართული დისკო“** თავისი შინაარსითა და ტემპო-რიტმით თითქოს სალაღობო-იუმორისტული კომპოზიციაა, რომელიც ე.წ. საცეკვაო სიმღერების კატეგორიაში გადის, მაგრამ მის ტექსტში ეროვნულ-პატრიოტულ კონტექსტიც შეიძლება აღმოვაჩინოთ:

**მაშ, მოდით, ვნახოთ „ქართული დისკოს“ ტექსტი:**

„ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან
„ქილერსი“, „მარონ ფაივი“,
(აქ იყო ჯეიმს ბრაუნი);
სტინგი
სამჯერაც ნამყოფია,
მე თვითონ ვნახე ლაივი,
ჯიფსიმ იცეკვა ჯაივი.

შაკირამაც იმღერა,
ელტონ ჯონმაც დაუკრა,
„ბონიემზეც“ ვიცეკვეთ,
დავიღალეთ...
იმხელა სტადიონი
„დრაკონებმა“ დახურა,
ბრუნო მარსიც ჩამოვა
სულ მალე.
როცა გავისტუმრებთ
ყველას,
შენი ჯერია, დიჯეი.

დღეს შენ უნდა გარისკო —
ქართული დისკო,
რა სან-ფრანცისკო,
დროა, დაიწყო,
გაგვაგონე
ჩვენი ქართული დისკო.
ეს არ არის იბიცა,
აქ ხაჭაპური ჯობია პიცას,
ნუ წახვალ სხვაგან,
მოდი, დაიცა,
როცა მორჩება ყველა,
მერე ჩვენ დავიწყოთ
ეს ქართული დისკო“.

როგორც ხედავთ, სიმღერის ტექსტში ახსენებენ ცნობილ უცხოელ მომღერლებსა და მუსიკალურ ბენდებს, რომლებიც სხვადასხვა დროს **საქართველოში ჩამოვიდნენ** და კონცერტები გამართეს — ზოგმა თბილისში, ბორის პაიჭაძისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებზე იმღერა, ზოგმა შეკვეთილში — „ბლექსი არენას“ საკონცერტო დარბაზის სცენაზე და ზოგმა კიდევ — სად... **თუმცა, ესენი გასტროლიორები არიან, რომლებიც მიდიან და მოდიან, ქართველები კი აქ ვრჩებით — ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მშობლიურ სივრცეში, ჩვენს ეროვნულ სცენაზე, სადაც ჩვენებურად უნდა ვინავარდოთ და გავილაღოთ ჩვენებური, ქართული დავაგუგუნოთ და მთელ მსოფლიოს გავაგონოთ...** სან-ფრანცისკოც კარგია, იბიცაც გადასარევია, პიცაც გემრიელია, მაგრამ ჩვენ ხაჭაპური, ანუ ქართული, ეროვნული, ჩვენეული გვიჯობს და გვირჩევნია...



მუსიკალური ჯგუფი „ნიკოს ბენდი“ „ქართული დისკოს“ შესრულებისას

ვერ გეტყვით, **„ქართული დისკოს“** ტექსტის ავტორი სიმღერაში ამგვარი კონტექსტის ჩადებაზე ფიქრობდა თუ არა, მაგრამ ასე კი გამოვიდა... ყოველ შემთხვევაში, სიმღერის ტექსტი ასეთი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ეს ძალიან კარგია, რადგან შეიძლება, მსმენელს იმაზე მეტი უთხრას და მისცეს, ვიდრე, უბრალოდ, კარგ ხასიათზე დაყენება და ცეკვა-თამაშის იშტაზე მოყვანაა.

ინტერპრეტაცია ვახსენეთ და „ქართული დისკოს“ პოლიტიკურად გარემიქსებაც საინტერესო იქნება. ვთქვათ, ასე: სიმღერის ტექსტში უცხოელი მომღერლები და მუსიკალური ბენდები, რომლებიც **ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან,** ჩავანაცვლოთ უცხოელ პოლიტიკოსთა თუ პოლიტიკანთა ბანდებით, რომლებიც **ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან,** თუმცა, **ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული** „ქილერსი“, „მარონ ფაივი“, „ჯიფსი კინგი“, ელტონ ჯონი თუ სტინგი ქართველი მსმენელის ყურთასმენას ატკბობენ და მათ კონცერტებზე მისულ ხალხს სიამოვნებას ჰგვრიან, ხოლო **ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული კუბილიუსები, ფოტიგები, ფონ კრამონები, ჟიგიმანტასები** და მათი პოლიტიკური მეგვარტომენი ქართველ საზოგადოებას სასიამოვნოსა და სასარგებლოს არაფერს სთავაზობენ. პირიქით, **ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული** უცხოური მუსიკალური **ბენდებისაგან განსხვავებით ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოურ პოლიტიკურ ბანდებს** საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვთ.

რაც ყველაზე მთავარია, **ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული** უცხოური მუსიკალური **ბენდების** დაკრულზე ცეკვა ქართველებისათვის სრულიად უვნებელია, მაგრამ **ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული** უცხოური პოლიტიკური **ბანდების** დაკრულზე ცეკვა ქართული სახელმწიფოსათვის დამამცირებელი და მომაკვდინებელი გახლავთ.

**აბა, ვცადოთ და „ნიკოს ბენდის“ სუპერპოპულარულ სიმღერას „ქართულ დისკოს“ პოლიტიკური ჟღერადობა მივცეთ:**

ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან
ფოტიგა, კუბილიუსი,
(აქ იყო კელი დეგნანი);
კრამონი სამჯერ ნამყოფია,
მე თვითონ ვნახე ნიუსი,
ცეკვავდა ჯორჯ ბუშიუსი.

კარლ ჰარცელმაც იმღერა,
დანიგანმა დაუკრა,
ჯორჯ სოროსზეც ვიცეკვეთ,
დავიღალეთ...
იმხელა პარლამენტი
გავრილოვმა დახურა,
სი ძინპინიც ჩამოვა
სულ მალე.

როცა გავისტუმრებთ
ყველას,
შენი ჯერია, ქართველო!
დღეს შენ უნდა გარისკო,
ქართულად მისცხო!

**ქართულმა სახელმწიფომ იმდენი უნდა გაბედოს და გარისკოს, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ ჩამოუშვას უცხოური პოლიტიკური ბანდები, რომელთა ერთადერთი მიზანიც ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნებაა!**

## კვირგვინოსნები



**გიორგი ვაშაძე**
„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი

სად არის **ის დიდი წარმოებები,** რომელსაც **ივანიშვილი** და მისი გარემოცვა საზოგადოებას ჰპირდებოდა? — არსად! ამიტომ გეუბნებით, ჩვენი გამარჯვებისკენ გზა არის ცვლილებები — **დიახ, ვცვლით ხელისუფლებას!**

„ინტერპრესნიუსი“



**სალომე სამადაშვილი**
„ლელოს“ წევრი

12 წელიწადია, **პაპუაშვილის** პარტია მართავს ქვეყანას და რაც მოხდა, არის ის, რომ **გირგვლიანის საქმის მოსამართლე მურუსიძის „კლანი“ გაძლიერდა,** გაიფურჩქნა და დაიქვემდებარა სასამართლო სისტემა.

„ინტერპრესნიუსი“



**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
ნაციონალური მოძრაობის წევრი

**ნაციონალური მოძრაობა გაიმარჯვებს ამ არჩევნებში** ზუსტად იმიტომ, რომ ძალიან კონკრეტული და ზუსტი ხედვა გვაქვს.

„აიპრესი“



**სერგო ჩიხლაძე**
„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი

„ქართული ოცნება“ ძლიერია იმაში, რომ **მთავარი საკითხები გვერდით გადადოს და მეათეხარისხოვანი თემებით და ვითომ კანონებით დაგვხუნძლოს.**

„პალიტრანიუსი“



**გიორგი გუგავა**
ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი

**მორიელი შხამიანი კუდის გარეშე არსებობს?** არ არსებობს და **ეგრე არიან ნაცმოძრაობა და ბჰარამია.**

„ალია“

**ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული „ქილერსი“, „მარონ ფაივი“, „ჯიფსი კინგი“, ელტონ ჯონი თუ სტინგი ქართველი მსმენელის ყურთასმენას ატკბობენ, ხოლო ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ კუბილიუსებს, ფოტიგებს, ფონ კრამონებსა და ჟიგიმანტასებს ქართველი ხალხისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვთ!**









რა სან-ფრანცისკო,
რა ვაშინგტონი,
გააგონე ყველას
ჩვენი ქართული ტონი.

ჩვენ არ ვედრებით
საფრანგეთს,
აქ შოთის პური
ჯობია ბაგეტს,
ნუ ეძებ სხვაგან
მტერსა და აგენტს,
როცა აქ არის, აგერ...
ყველა არამკითხეს
ჯობს, ქართულად მისცხო!

**მაგალითად, ქართულად უნდა მისცხო ისეთ არამკითხეს, როგორიც არის პოლონელი ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა,** რომელმაც რამდენიმე დღის წინათ განაცხადა:

*„მიხეილ სააკაშვილი პუტინის პირადი მტერი და პატიმარია, არ დავუშვებთ, რომ ციხეში დაიღუპოს“.*

**არამკითხე ფოტიგა** მხოლოდ იმას როდი იტყუება, რომ სააკაშვილი პუტინის პირადი მტერი და პატიმარია, არამედ იმის შესახებაც ცრუობს, რომ იგი ციხეში ზის და დაღუპვის საფრთხე ემუქრება. რეალურად, **„პუტინის პირადმა მტერმა“ სააკაშვილმა** რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ჩააბარა, ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა უბრძოლველად დაუთმო, საქართველოს სტრატეგიული ობიექტებიც მიჰყიდა და ბოლოს ევროსაბჭოს იმ რეზოლუციასაც მოაწერა ხელი, რომელშიც 2008 წლის აგვისტოს ომის დამწყებად ქართული მხარე იყო მოხსენიებული. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **„პუტინის პირადი პატიმარი“ სააკაშვილი** ციხეში კი არ ზის, არამედ კერძო კლინიკის ლუქსპალატაში კოტრიალობს და არათუ დასაღუპად აქვს საქმე, ყოველდღე უფრო ფერ-ხორციანი და ჯან-ღონიანი ხდება.

მაშ, რას იმსახურებს და რისი ღირსია **არამკითხე ანა ფოტიგა,** რომელიც სააკაშვილს პუტინის პირად პატიმრად მოიხსენიებს და ამბობს, რომ ციხეში მის დაღუპვას არ დაუშვებს? **ასეთ პროვოკატორებს დიახაც, ქართულად უნდა მისცხო, რაც იმას გულისხმობს, რომ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადო და საქართველოში ფეხის დადგმა აუკრძალო!**

ასევე პერსონა ნონ გრატად უნდა გამოცხადდეს და **ჩვენს ქვეყანაში ვეღარ ჩამოვიდეს** ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი,** რომელიც თბილისში დროგამოშვებით დაიარება, რათა ნაცლიბერასტულ აქციებზე სოლიდარობა გამოუცხადოს **„მოლოტოვის კოქტეილების“ მსროლელ და ქართველი პოლიციელების ცოცხლად დაწვის მოსურნე ლაზარე გრიგორიადისს.**

ზოგადად, **ჩვენს ქვეყანაში ვერ უნდა ჩამოდიოდეს** ვერცერთი უცხოელი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკანი, რომელიც ღიად უჭერს მხარს ქართული სახელმწიფოს გამოკვეთილ მტერს — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ ნაცბანდას.

ქართულმა სახელმწიფომ, ასე თუ ისე, მიაღწია სუვერენიტეტის იმ დონეს, როცა **კოლექტიურ ფოტიგა-კუბილიუსთა** დაკრულზე აღარ ცეკვავს, მაგრამ მხოლოდ ეს აღარ არის საკმარისი... ქართულმა სახელმწიფომ იმდენიც უნდა გაბედოს და გარისკოს, რომ **ჩვენს ქვეყანაში აღარ ჩამოუშვას** უცხოური პოლიტიკური ბანდები, რომელთა ერთადერთი მიზანიც ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება, ანუ საქართველოს გაუბედურებაა.

რაც შეეხება უცხოურ მუსიკალურ **ბენდებს,** მათთვის, როგორც ყველა კეთილი სტუმრისათვის, საქართველოს კარიც და ქართველი მსმენელის გულიც მუდამ ღიაა!

**ჯაბა ხუბუა**






# ეს უნდა თქმულიყო!

***ორი კვირის წინათ „ასავალ-დასავალის“ მე-9 ნომერში ვწერდით საქართველოს ვითომ სტრატეგიული პარტნიორების შესახებ, რომლებიც, სინამდვილეში, სტრატეგიული პარტნოები, ანუ მკერავები არიან და ცდილობენ, საქართველოს აწმყოცა და მომავალიც თავიანთი პოლიტიკისა თუ იდეოლოგიის შესაბამისად შეკერონ.***

**სტრატეგიულმა პარტნოებმა** თავიანთი თავი კიდევ ერთხელ გამოავლინეს 2024 წლის 29 თებერვალს, როცა ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩაწერეს მოთხოვნა **მიხეილ სააკაშვილის „ჰუმანიტარული ნიშნით“ გათავისუფლებასთან დაკავშირებით.** უფრო ზუსტად, ევროპარლამენტის რეზოლუციაში ეს ჩანაწერი შესწორების სახით იქნა შეტანილი და მისი ინიციატორი გახლდათ **სტრატეგიული პარტნოების** ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი — პოლონელი ევროდეპუტატი **ანა ფოტიგა,** რომელმაც სააკაშვილს „პუტინის პირადი მტერი და პატიმარი“ უწოდა.

საერთოდ, ევროპარლამენტის რეზოლუციებმა ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში ყოველგვარი წონა და ძალა დაკარგა მას შემდეგ, რაც 2022 წელს, 308 ევროდეპუტატმა, ანუ **308 სტრატეგიულმა პარტნომ** სრულიად სამარცხვინო რეზოლუცია შეკერა, რომელშიც ბიძინა ივანიშვილს „პრორუსი ოლიგარქი“ დაარქვა და მისთვის სანქციების დაწესება მოითხოვა, ხოლო ძებნილი ოლიგარქი, ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი **დავით კეზერაშვილი** პოლიტიკურად დევნილ მედიამენეჯერად მონათლა.

შესაბამისად, ევროკავშირის ახლანდელი რეზოლუციაც, რომელშიც **კოლექტიური ფოტიგა-ფონ კრამონები და კუბილიუს-იუქნევიჩიენეები** სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ, ქართველი საზოგადოებისათვის მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ კიდევ ერთხელ ააშკარავებს, თუ რა პოლიტიკური ზნისა და მორალის ხალხია **საქართველოს სტრატეგიული პარტნოები,** რომლებსაც ორი კვირისწინანდელ **პუბლიკაციაში პოლიტიკური ნაგვების რასა** ვუწოდეთ.

თუმცა, „ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 19-25 თებერვლის მე-9 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც **სტრატეგიული პარტნოების** შესახებ ვსაუბრობდით, არაფერი გვითქვამს **საქართველოს სტრატეგიული პატრონის** თაობაზე.

ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც საქართველოს **სტრატეგიული პარ-**

გაგრძელება მე-8 გვერდზე


ნაგვების რასა და სტრატეგიული პარტნოები
„ა-დ“. 2024 წლის №9

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**საქართველოს არც ევროპელი სტრატეგიული პარტნოები სჭირდება და არც – ამერიკელი სტრატეგიული პატრონები!**





**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*

რასაც ვუყურებ, **ნაცმოძრაობას ფეხებზე ჰკიდია სააკაშვილის ჰუმანიტარული განზომილება,** ერთადერთი იმაზე ფიქრობენ, **როგორმე პოლიტიკურად გამოიყენონ.**



**სოფო ჯაფარიძე**
*მიხეილ სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი*

მოქალაქეები ითხოვენ, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, **გადავარჩინოთ მესამე პრეზიდენტის სიცოცხლე** და ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად დავაყენოთ დასავლურ რელსებზე!



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

ხელმოწერების კამპანია ადასტურებს, **რამხელა მუხტია დაგროვილი ხალხში,** რომელსაც უიმედობა ყელში ამოუვიდა და ენატრება საკუთარ ქვეყანაში ადამიანური ცხოვრება — **გთხოვთ, კიდევ ცოტა გაძლოთ.**



**ვალერი გელბახიანი**
*ოკულისტი*

2011 წელს, როდესაც გამოვიდა **ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკურ ასპარეზზე და გამოაქვეყნა წერილი, მაშინ თქვა, რომ **ჩემმა შვილმა მაიძულა პოლიტიკაში მოსვლა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.** 12 წლის შემდეგ უკვე მომწიფებულია და მზად არის უტა პოლიტიკისთვის, ასე ფიქრობს **ბიძინა ივანიშვილი.**



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

გამორიცხული ნამდვილად არ არის **ჩემი და ნიკა გვარამიას ერთად ყოფნა,** ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობიდან გამომდინარე.

# ეს უნდა თქმულიყო!

დასაწყისი მე-7 გვერდზე

**ტნიორი** ჰქვია, მაგრამ თავი საქართველოს **სტრატეგიულ პატრონად** მიაჩნია.

უკეთ რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საქართველოს თანაბარუფლებიან **სტრატეგიულ პარტნიორად** კი არა, უუფლებო კოლონიად განიხილავს, რომელსაც ისე უნდა მოექცეს, **როგორც პატრონი — საკუთარ ყმას.**

აშშ-ის ადმინისტრაციას საქართველოს მიმართ აგდებული, ზერელე, უგულისყურო და უპატივცემულო დამოკიდებულება რომ გააჩნია, ეს კარგად იკითხება პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** განცხადებაშიც, რომელიც მან ჩინეთის მიერ საქართველოსათვის უვიზო რეჟიმის შემოღების კვალდაკვალ გააკეთა:

*„ჩვენ ვხედავთ ჩინეთის მხრიდან ძალიან დიდ ინტერესს საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, რაც კონკრეტულ ნაბიჯებშიც გამოიხატება. მაგალითად, ძალიან გააქტიურებული გვაქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკურ პროექტებში ძალიან აქტიურად არიან ჩართული ჩინური კომპანიები. ასევე ჩინეთთან ხელმოწერილი გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რაც ამ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას უწყობს ხელს. გვაქვს პირდაპირი ფრენები ჩინეთთან, ასევე, როცა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იყო ჩასული ჩინეთში, უმაღლეს დონეზე მოუწყეს დახვედრა. ყველა კუთხით ჩანს ჩინეთის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ და ჩანს, რომ მათ სურთ ამ **სტრატეგიული პარტნიორობის** მაქსიმალურად განვითარება და გაღრმავება“.*

ესე იგი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელთანაც საქართველომ **სტრატეგიული პარტნიორობის** ხელშეკრულება სულ რამდენიმე თვის წინათ გააფორმა, ისე იქცევა, როგორც **ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორი** უნდა იქცეოდეს — ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციებს დებს, ეკონომიკურ აქტივობებს ახორციელებს და ახლა უკვე სავიზო რეჟიმიც გაგვიუქმა, ანუ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ჩინეთს უვიზოდ ესტუმრონ და მის ტერიტორიაზე ზედიზედ 30 დღის განმავლობაში დარჩნენ.

ამ ფონზე, როგორ იქცევა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში **საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად** იწოდება? ისევ **პრემიერ-მინისტრ კობახიძეს** მოვუსმინოთ:

*„რაც შეეხება აშშ-ს, აქ წლების განმავლობაში გვქონდა გარკვეული სისუსტე, თითქოს შესუსტებული იყო ინტერესი სტრატეგიული პარტნიორობის კუთხით. კონკრეტულ დეტალებშიც იყო ეს გამოხატული, მაგალითად, უმაღლესი დონის ვიზიტები ქვეყნებს შორის არ შემდგარა უკვე არაერთი წელია, დაახლოებით 6-7 წელი იქნება. ეს გამოიხატება მათ შორის, პროტოკოლურ საკითხებშიც, მაგალითად, დაახლოებით მე-8 წელია, უმაღლეს დონეზე არცერთ პრეზიდენტსა თუ პრემიერ-მინისტრს არ მიუღია მილოცვა აშშ-დან. არის შედარებით საშუალო დონე, რა დონეზეც იგზავნება ეს მილოცვები. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის კუთხითაც არ გვაქვს მაინცდამაინც კარგი ვითარება, არ გვაქვს პირდაპირ ფრენები, უვიზო მიმოსვლა“.*

ამერიკიდან საქართველოში მაღალი რანგის ოფიციალური ვიზიტი ბოლოს 2020 წლის ნოემბერში, **ტრამპის პრეზიდენტობისა და გახარიას პრემიერ-მინისტრობის დროს** შედგა, როცა თბილისში სახელმწიფო მდივანი **მაიკ პომპეო** ჩამოვიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც აშშ-ის სათავეში ბაიდენის ადმინისტრაცია დაჯდა, ოფიციალურ თბილისთან ოფიციალური ვაშინგტონის „სტრატეგიული ურთიერთობა“ მეორე მოადგილის მეხუთე თანაშემწისა თუ მესამე თანაშემწის მეორე მოადგილის დონეს არ გასცილებია.

ეს კი არა, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, **საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად** წოდებული აშშ-ის ხელისუფლების პირველი პირები ბოლო წლებში იმასაც აღარ კადრულობდნენ, რომ საქართველოს რომელიმე პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრისათვის თანამდებობაზე არჩევა თუ დანიშვნა მიელოცათ. აბა, რა — **მეტროპოლიის უფროსობამ რატომ უნდა შეიწუხოს თავი დაქვემდებარებულ პერიფერიაში მისალოცი ბარათების გაგზავნით? სტრატეგიული პატრონი რა ვალდებულია, თავის საყმოში დაწინაურებული რომელიღაც პლებეის მიმართ პოლიტიკური და დიპლომატიური ეტიკეტი დაიცვას? როდის იყო, თეთრი კოლონიზატორი შავკანიან მონას რევერანსებს უძღვნიდა?** კი, სწორედ ასეთია ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ამ დამოკიდებულებას **„სტრატეგიული პარტნიორობა“** კი არა, **„სტრატეგიული პატრონ-ყმობა“** ჰქვია.

ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოს **სტრატეგიული პარტნიორის** კი არა, **სტრატეგიული პატრონის** თვალით რომ უყურებს, სწორედ ამიტომ გაბედა ამერიკის აწ უკვე ყოფილმა ელჩმა **კელი დეგნანმა,** ქართველი მოსამართლისათვის საქმე გაერჩია — **როგორ გაბედე და ნიკა გვარამიას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეო!**

ბაიდენის ადმინისტრაცია თავს საქართველოს**სტრატეგიულ პარტნიორად** კი არა, **სტრატეგიულ პატრონად** რომ მიიჩნევს, სწორედ ამიტომ არ თვლის საჭიროდ საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირი ფრენების შემოღებას, მაგრამ როცა რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ავიარეისები აღადგინა და უვიზო რეჟიმი დააწესა, ამერიკის ელჩი პირველი იყო, ვინც ეს ფაქტი დაგმო — საქართველო კვლავ რუსეთზე დამოკიდებული არ უნდა გახდესო!

ცინიზმისა და უტიფრობის დონე ნახეთ... **სტრატეგიული პატრონი** თვითონ ხომ არ გაძლევს უფლებას, მის ქვეყანაში პირდაპირი ავიარეისით და უვიზოდ ჩახვიდე, მაგრამ ცდილობს, არც იმის უფლება მოგცეს, პირდაპირი ავიარეისით და უვიზოდ სხვა ქვეყანაში იარო!

ეს არის სწორედ**სტრატეგიული პატრონის** ფსიქოლოგია!

**სტრატეგიული პატრონი** შენგან **სტრატეგიულ მორჩილებას** მოითხოვს!

**სტრატეგიულმა პატრონმა** შენ მაგივრად უნდა გადაწყვიტოს შენი ბედი!

**სტრატეგიულმა პატრონმა** უკეთ იცის, რა გჭირდება შენ!

ძალიან კარგია, რომ **პრემიერ-მინისტრმა კობახიძემ** გაბედა და თუნდაც ირიბად მიანიშნა იმაზე, რის თქმასაც საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები აქამდე ერიდებოდნენ — ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება საქართველოს **სტრატეგიული პარტნიორის** კი არა, **სტრატეგიული პატრონის** თვალით უყურებს!

საქართველოს ხელისუფლის პირით ეს უნდა თქმულიყო და ითქვა კიდეც!

სხვათაშორის, საქართველოს მთავრობის მეთაურის სწორედ ამ მრავლისმთქმელი განცხადების კვალდაკვალ, საქართველოში აშშ-ის ელჩმა **რობინ დანიზანმა** ქართული მედიის წარმომადგენლებს ღიმილიანი სახით უთხრა — **32 წლის განმავლობაში ამერიკამ საქართველოში 6 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელაო!**

6 მილიარდი 32 წლის განმავლობაში!

„იმერული ესკიზების“ პატარა გმირის წამოძახილისა არ იყოს — ტიტუუ, რა ბევრია!

მერე სოციალურ ქსელში ვიღაცამ — არითმეტიკაში კარგად გამეცადინებულმა — გამოითვალა, რომ **ამერიკის მიერ საქართველოში 32 წლის განმავლობაში ინვესტირებული 6 მილიარდი დოლარი საქართველოს ერთი მოქალაქისათვის თვეში — 4 დოლარს, ხოლო დღეში — 13 ცენტს უდრის.**

თუმცა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოში 32 წლის განმავლობაში ინვესტირებული 6 მილიარდი დოლარის უდიდესი ნაწილი ე.წ. ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციების ჯიბეებში გრანტების სახით დაილექა და, ძირითადად, ანტიქართულ და ანტიმართლმადიდებლურ საქმიანობას მოხმარდა, შეიძლება, საქართველოს საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეს ამერიკული ინვესტიციიდან თვეში 4 დოლარის სარგებელიც არ უნახავს.

**სტრატეგიული პატრონისაგან, ალბათ, ესეც ხეირად უნდა ჩავთვალოთ!**

ალბათ, **სტრატეგიულ პატრონს** მიაჩნია, რომ მისი **სტრატეგიული საყმო** ამისთვისაც მადლობელი უნდა იყოს!

მაგრამ საქართველოს არც ევროპელი **სტრატეგიული პარტნიორები** სჭირდება და არც — ამერიკელი **სტრატეგიული პატრონები!**

**საქართველოს სტრატეგიული პატრონი** ქართველი ხალხია, რომლის ეროვნული ღირსება და სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა 32 წელიწადში 6 მილიარდ დოლარად, ანუ თვეში 4 დოლარად არ იყიდება!

**ჯაბა ხუბუა**




**ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის კი არა, სტრატეგიული პატრონის თვალით უყურებს!**




**„დიდი ძმა გიყურებს შენ“ – პოსტერი ჯორჯ ორუელის ლეგენდარული რომანის „1984“-ის მიხედვით**

**საქართველოს სტრატეგიული პატრონი ქართველი ხალხია, რომლის ეროვნული ღირსება და სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა 32 წელიწადში 6 მილიარდ დოლარად, ანუ თვეში 4 დოლარად არ იყიდება!**

# ბიძინა ივანიშვილმა ღარიბაშვილს დიდი პრობლემები ააცილა თავიდან!



არნო ხიდირბეგიშვილი

***ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში პრემიერ-მინისტრის რანგში, ბიძინა ივანიშვილი სისტემატურად აწყობდა შეხვედრებს მედიამენეჯერებთან და ე.წ. ექსპერტებთან, რა დროსაც სთავაზობდა მათ საკითხებისადმი ანალიტიკურ მიდგომას, მაგრამ რაკიღა ვერ მიაღწია შემხვედრ სოლიდარობას, შეწყვიტა პარტნიორული დიალოგის დამყარების მცდელობა და გამოიყენა დიდი ბიზნესის მეთოდები — უბრალოდ, დაიწყო მათი მართვა საკუთარი შეხედულებისამებრ, პირდაპირ და ირიბად, ღიად და ფარულად, როგორც ისინი ამას იმსახურებდნენ.***

სწორედ ამიტომ **საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აღარაფერი ხდება ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე.** ავიღოთ თუნდაც **„ლელოს“** მაგალითი, რომლის ქოლგის ქვეშაც ივანიშვილმა შეკრიბა **ფულმიდრეკილი რადიკალი ოპოზიციონერები,** რომლებსაც 2012 წელს მილიონობით დოლარი დაურიგა და მაინც მხოლოდ მათი უმადურობა მოიმკო. ამით ივანიშვილმა, პრაქტიკულად, აიძულა **ბანკირი ხაზარაძე,** ყველა ეს **უსუფაშვილ-ნაცვლიშვილი** თავისი ჯიბიდან გამოკვებოს, რითიც საკუთარი ფული დაზოგა. უფრო მეტიც, **სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ივანიშვილი ყველა ოპოზიციურ პარტიას, მათ ლიდერებს, ტელეკომპანიებსა და მარიონეტ პრეზიდენტს მიმართავს მხოლოდ მისთვის სასურველი მიმართულებით და საჭიროებისამებრ უპირისპირებს ერთმანეთს,** ხალხს კი მათი ატანა ისედაც არა აქვს.

გამორიცხული როდია, რომ თვით სააკაშვილიც კი „ვივამედის“ კლინიკაში ივანიშვილის პასიური ზემოქმედებით აწყობს სპექტაკლებს და წამლებთან ერთად ძველებურად იღებს დივიდენდებს. **ანუ, შესაძლოა, ივანიშვილი ღირსეულად ინახავს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს და გულუხვად ანაზღაურებს მის იძულებით დასვენებას ისევ და ისევ საქართველოსათვის სასარგებლო პოლიტიკური ვარიაციების გასათამაშებლად.**

ბრძნული პოლიტიკის წყალობით, ბიძინა ივანიშვილმა გლობალური აღრეულობის ჟამს კიდევ ერთი საშვილიშვილო საქმის მოგვარება შეძლო: **რუსეთის მოქალაქეთა გამოყენებით, რომლებიც სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ ბათუმში გადავიდნენ საცხოვრებლად, გახსნეს ბიზნესი და იყიდეს უძრავი ქონება** (რაც საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახა და ინფლაცია შეაჩერა), **აჭარა, რომელიც კინაღამ თურქეთის პროვინციად იქცა, ისევ ქართული გახდა და ჩაიფუშა სააკაშვილისა და დედა-ბიჭულის ვერაგი ჩანაფიქრი!**

დიახ, აჭარაში თურქეთის მოქალაქეთა სასარგებლოდ არსებული დისბალანსი შეიცვალა და ყარსის ხელშეკრულების გამო ამდენი წლის განმავლობაში საქართველოს თავზე მახვილივით დაკიდებული საფრთხეც აღმოიფხვრა!

## ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკამ დაიცვა აჭარა ფიზიკური, ეკონომიკური და სულიერი ექსპანსიისგან და განა ეს საკმარისი არაა?!

რატომ ვერავინ ამჩნევს ამას? ტყუილუბრალოდ როდი ბორგავს ისტერიკაში ჩავარდნილი **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც ითხოვს რუსების საქართველოდან გაძევებას, რითიც ასახავს ოპოზიციისა და მისი ელექტორატის რუსოფობიურ განწყობებს, უგულებელყოფილს ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ მიერ. ამით სალომეა საკუთარი თავისა და ე.წ. ოპოზიციის მიმართ ხალხის ზიზღს აძლიერებს, მითუმეტეს, იმ ფონზე, როცა საქართველოში სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრებისგან განსხვავებით, რუსები კულტურულად იქცევიან!

პრეზიდენტ ზურაბიშვილზე ჩამოვარდა სიტყვა და რით დაიწერდა „ქართული ოცნება“ უფრო მეტ ქულას ქართველი ამომრჩევლის წინაშე, თუ არა იმ ამაზრზენი ქმედებით, რაც სალომეა ზურაბიშვილის მხრიდან უწმინდესის შეურაცხყოფაში გამოიხატა?!



უფრო მეტიც — **არცერთი გუნდის წევრი, ვინც მაღალ თანამდებობაზე ზედმეტი ამბიციებით საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და სამსახურებრივი მოვალეობები საკუთარი კეთილდღეობისთვის ბოროტად გამოიყენა, დაუსჯელი არ დარჩება! ყველა მინისტრი, ვინც პრემიერ ღარიბაშვილის გადადგომისას თანამდებობა უნდა დაეტოვებინა, აუცილებლად წავა და მათ ბევრი მაღალი და შედარებით დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელეც მიჰყვება, რადგანაც არჩევნებზე „ოცნება“ ძირეულად ახალი გუნდით უნდა მივიდეს, რაც 2030 წელს დიდი გამარჯვების საწინდარი იქნება!**



**ბიძინა ივანიშვილი** ყველა თავის დანაპირებს 2030 წლისთვის შეასრულებს და ეს თარიღი თავიდანვე შემთხვევით როდი ფიგურირებდა მის პროგრამებსა თუ გამოსვლებში, თუმცა, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა! იქნებ იმას მაინც მიაქციოს ყურადღება ზოგიერთი ქვეყნის მბრძანებელმა, რომ თბილისის გარეუბნებსა და საქართველოს რეგიონებში უცხოური ძვირადღირებული საკოლმეურნეო ტექნიკა გზის პირას დგას და კაპიკებში იყიდება?! ეს, შემთხვევით, ივანიშვილის ან სახელმწიფოს მიერ გლეხებისთვის ნაყიდი ტრაქტორები ხომ არ არის?!

დაბოლოს, არ შემიძლია არ ვთქვა — **ივანიშვილმა ღარიბაშვილი კი არ მოხსნა და დასაჯა, არამედ დიდ პრობლემებს აარიდა.** საქმე ისაა, რომ **სომხეთის პრემიერი ფაშინიანი,** რომელმაც ღარიბაშვილთან ამ უკანასკნელის გადადგომამდე ორი დღით ადრე **საქართველო-სომხეთის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას** მოაწერა ხელი, ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, 2004 წელს, ბათუმში გადაბირებული იქნა დიდი ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის MI6-ის მიერ. ახალ აგენტს მეტსახელი **„რედაქტორი“** მიანიჭეს და ერევანში 2008 წლის 1 მარტს მასობრივი არეულობის მოწყობა დაავალეს, რაც მან პირნათლად შეასრულა. **ფაშინიანი** დაიჭირეს, მაგრამ MI6-ის მხრიდან სომხეთის ხელისუფლებაზე ზეწოლის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს და 2015 წლიდან დააკომპლექტა გუნდი, რომლითაც 2018 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და პრემიერ-მინისტრი გახდა. ივანიშვილმა ეს იცის და ისიც უწყის, რომ საქმის კურსში არიან ჩვენს სამეზობლოშიც, ამიტომ არ დაუშვებს, რომ მის ხელში მენეჯერიდან პრემიერამდე გაზრდილი **ირაკლი ღარიბაშვილი** ამ ბინძურ თამაშში ჩაებას და ყველა ეს პრობლემა ერთი ხელის მოსმით მოაცილა!

მაგრამ **ფაშინიანი,** რომელიც მიუნხენის კონფერენციის კულუარებში MI6-ის ხელმძღვანელს, თურქეთში დიდი ბრიტანეთის ყოფილ ელჩს შეხვდა, ვერ ისვენებს — უკვე დაურეკა **ირაკლი კობახიძეს,** უკვე დაპატიჟა ერევანში და აპირებს, ხშირად ესტუმროს თბილისს. ალბათ, ბატონმა ბიძინამ ისიც იცის, რომ დაზვერვის საიდუმლო სამსახურის უფროს **რიჩარდ მურთან** სალომეა ზურაბიშვილსაც ჰქონდა კონფიდენციალური საუბარი.

მინდა, მჯეროდეს, რომ **ბიძინა ივანიშვილი** არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ქვეყნის **პრემიერ-მინისტრად მოგვევლინება,** მტრების მიერ ხელოვნურად შექმნილ **საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გაყოფის რეგიონალურ პრინციპს** გააუქმებს და ისტორიაში **ბიძინა გამაერთიანებლად** შევა!



**ამით ივანიშვილმა, პრაქტიკულად, აიძულა ბანკირი ხაზარაძე, ყველა ეს უსუფაშვილ-ნაცვლიშვილი თავისი ჯიბიდან გამოკვებოს, რითიც საკუთარი ფული დაზოგა!**



**ბიძინა ივანიშვილი ყველა თავის დანაპირებს 2030 წლისთვის შეასრულებს და ეს თარიღი თავიდანვე შემთხვევით როდი ფიგურირებდა მის პროგრამებსა თუ გამოსვლებში, თუმცა, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა!**

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# გამოათრევენ!



სალომე ზურაბიშვილი პატრიარქსა და ეკლესიაზე: ძალიან კომპლექსური ვითარებაა, რისი მიზეზიც დღეს პატრიარქის სისუსტეა. დარწმუნებული ვარ, ქართული ეკლესია მოახერხებს პროქართული და პროევროპული პატრიარქის არჩევას და არა პრორუსის

მის უწმინდესობასაც მიადგა — **ეს სუსტია, პროევროპელი პატრიარქი გვჭირდება და არა პრორუსიო!**

აშკარად ჩანს, **მადამ პლეზიდანს** აკვიატებული მოჩვენებები აქვს — ყოველ ნაბიჯზე სუ **რუსი, რუსეთი** და **რუსები** ელანდება. როგორც კი ჩასთვლემს, სიზმარში თანაშემწე **დავით თევზაძე** აღვიძებს — **არიქა, რუსები მოდიან, ევროპელები უკან იხევენო.**

ამას გენეტიკური შიში აქვს — 1921-ში რუსები რო შემოვიდნენ, ინგლისელებმა უკან მოუხედავად გაქუსლეს და მაგისი წინაპრებიც იმ ინგლისელებს გაჰყვნენ.

☺

რაღა დაგიმალოთ და... **სალომე ბაბო** ყველაფერთან ერთად გონებაშეზღუდულიც ყოფილა — **ქალი არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და ამ დროს მის უწმინდესობას უტევს, უნდა გამოვცვალოთო.**

არა, მესმის, **დაავალეს და არაკუნებს,** მაგრამ თავის პოლიტიკურ მომავალს ეჭვის ქვეშ რეიზა აყენებს?

კახეთში ეგეთზე იტყვიან ხოლმე — სადაც არ გვეფხანება, იქა გვფხანსო. ისე კი, სანამ **სალომე ბაბო** „ნაცების" მხარეს გადაბარგდებოდა, **ბიძინა ივანიშვილი** ემუქრებოდა — **ორბელიანების სასახლიდან თმებით უნდა გამოვათრიოთო.**

იგეთი სუნი მცემს, **ამას მართლა გამოათრევენ,** მაგრამ ახლა უკვე **ვინ გამოათრევს,** ეგ აღარ ვიცი...

# ცეცხლოვანი და ალტყინებული



სიმართლე თქვა ამასწინებზე **ვარელი ბელბახიანმა** — მიშას გამოხედვაში **ცეცხლოვანება და ალტყინებულობა** აღარ იგრძნობაო. **არადა, როგორი გამოხედვა ჰქონდა, სანამ არაყის კონტეინერში ჩაჯდებოდა და სამშობლოს გამოსახსნელად ჩამოვიდოდა.**

მართალია, მთელი ცივილიზებული სამყარო აღსდგა მისი **ცეცხლოვანი გამოხედვის** აღსადგენად, მაგრამ ამაოდ.

☺

არა, ბიჭო და... ეგეთ **გამჭოლმზერიან ლიდერს** სადღა იპოვით!

თავისი **ოღრაშული გამოხედვით** ერთ-ორ კაცს კიდე მიიმხრობდა, თორემ **მამუკა ხაზარაძის როჟას** ჩვენმა მტერმა უყურა.

# პამპადურთან მიპამპადურებულები

ამას წინებზე **მადამ ლობიო პამპადურ პლეზიდანს** ქართველი **მწერლები და საზოგადო „მოღვაწეები"** დაუპატიჟნია, ერთი მეტად მნიშვნელოვანი საიდუმლო უნდა გაგანდოთო. ესენიც, ეს ქართველი **მწერლები და საზოგადო „მოღვაწეებიც",** მისულან კი არა, მისკდომიან და კი ხედავთ, „რამფრა" შესცი...ცინებენ ერთმანეთს.

ამასაც, ამ **მადამ ლობიო პამპადურს** გაუნდვია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საიდუმლო — **რუსეთი ოკუპანტიაო.**

საზოგადო „მოღვაწეებს" უპასუხნიათ — **მაშ, მაშ, სწორედაც რო ეგრეაო.**

**მადამ ლობიო პამპადურს** მიუგია — **1921-ში რუსეთმა რო დაგვიპყრო, ეგ იცოდითო?**

„მოღვაწეებს" მხრები აუჩეჩნიათ — **ყური მოგვიკრავს, მაგრამ ეგრე დანამდვილებით არ ვიცოდით, აწი გვეცოდინებაო.**



☺

ამ ამბავმა ერთი მომენტი გამახსენა: პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** უკითხავს **ჯაბა იოსელიანისთვის** — **ამა და ამ ქურდს თუ იცნობო?**

**არ ვიცნობ და იმ ქურდის დედაც მოვტ...ან, მე რო არ ვიცნობო!**

ჰოდა, ახლაც იგივე სიტუაციაა — **იმ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს** დააფუსფუსოს **დეპუტატმა მაჭუტაძემ,** მე და თქვენ რო არაფერი გაგვიგია!

☺

ისე, ძაან საინტერესოა, **მადამ ლობიო პამპადურ პლეზიდანი** საიდან ადგენს, ამ ქვეყანაში **ვინ მწერალია და ვინ — საზოგადო მოღვაწე,** აეგრე „ოპტომ" რო ეპატიჟება და მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფო საიდუმლოებებს ანდობს?

☺

**ისე, რაღა დაგიმალოთ და მადამ პამპადურს ორბელიანების სასახლის ეზოში ერთი-ორი „კამაზი" ქვიშაც რო დაუყაროთ, უფრო კარგად გეერთობა და შეიძლება, ნეხვით აქოთებულ ევროპიულ ქვეყნებში დაუკითხავად აღარც იაროს.**

არა, კი გაჰკრამს პერიოდულად **„პუწიოვკის" გარეშე,** მაგრამ, ძირითადად, მაინც აქ იქნება დამაგრებული!

## კვირგვინოსნები

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**როდესაც „ქართული ოცნება" დამარცხდება,** ყველა პარტია იქნება არჩევანის წინაშე: **დავდგეთ ერთად თუ რუსულ რეჟიმს შევუქმნათ უმრავლესობა** — რაც შეეხება **გახარიას** პარტიას, მათთან მომავალში კი არა, დღესაც ვთანამშრომლობთ.

„რეზონანსი"

**გიგი უგულავა**
*პოლიტიკოსი*



**ეს არ იქნება „სექსი" არჩევნები,** ჯერჯერობით არცერთი პარტია ისე არ გამოიყურება. **ნიკა გვარამია** ნაციონალური მოძრაობის მთავარი მოტორი იყო, მათ შორის იმ პიროებებში, როდესაც **სააკაშვილი** აქ არ იყო.

„TV პირველი"

**ხათია დეკანოიძე**
*„ევროოპტიმისტების" წევრი, პარლამენტარი*



თუ არ იქნება **„ქართული ოცნების" ალტერნატივა,** თუ ადამიანებმა არ დაინახეს, **ვის უნდა გადააბარონ ხელისუფლება,** ძალიან რთული იქნება **ივანიშვილის** შეცვლა.

„პალიტრანიუსი"

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სალომე ზურაბიშვილთან** ქვეყნის ევროპული მომავლის ფარგლებში **სააკაშვილის თავისუფლებაზე ვისაუბრეთ,** არ მივცემ თავს უფლებას, პრეზიდენტის ნაცვლად მის განწყობაზე განმარტებები გავაკეთო.

„პირველი არხი"

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



მნიშვნელოვანია, **2024 წლის არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილი იყოს თავისუფალი,** რათა არჩევნები ჩატარდეს სამართლიან გარემოში, ამის უზრუნველყოფა კი შეუძლია **სალომე ზურაბიშვილს.**

„პირველი არხი"




# ცხოველების ფირმა (ჯორჯ ორუელის მოტივებზე)

ბიბამ ლობიოთი სავსე მათლაფა ამოტლაკა, არყი რუმკა ტუჩებთან მიიტანა, ამოიხვნეშა, თვალები მოწკურა და გადაყლურწა. კმაყოფილი ჩანდა არა მხოლოდ სიმაძღრით, წინასაარჩევნო გამოკითხვებითაც — **ყველა სახის გამოკვლევებულობამ აჩვენა, რომ წლის ბოლოს ძალაუფლება უნდა გადაიბაროს.** გიგამ დაამთქნარა, მერე კისერი გადააქან-გადმოაქანა და აივანზე გავიდა.

— **დედაკაცო, რას აკეთებ მანდა?!** — გასძახა თავის კნეინას, რომელიც ღორს ელაპარაკებოდა. ჩერბომ არ უპასუხა, ვერაფერი გაიგო თუ არ ეცალა, მხოლოდ ეშმაკმა უწყის.

— **დედაკაცო-მეთქი!** — ხმას აუწია ბიბამ.

— **რა იყო, რა მოუთმენლობა გეტაკა, ვერ ხედავ, წინასაარჩევნო კამპანიას ვაწარმოებ!** — გამოსძახა ჩერბომ.

— **ჯერ ადრე ხო არ არი?**

— **რაღა ადრეა? რვა თვეში ხელისუფლება უნდა გადმოვიბაროთ!**

— **ჰოოო, მაშინ ჰოოოო!**

**— აგე, ხაზარაძე თხებს ელაპარაკება, შინაური ცხოველების ხმებზე ნადირობს, ანა ნაცვლიშვილმა ძაღლები გადაიბირა, აქაც თუ დაგვასწრეს, პრემიერ-მინისტრობაზე აღარც იოცნებო! —** მრუმე მომავალი დახატა ჩერბომ.

— **გავიგე, ხაზარაძეს თხები გადაუბირებია, მეწყინა, მაგრამ არა მგონია, რამე გამოუვიდეს.**

— **ვითამ რატო?!**

— **იმათა, რომე მაგათ იმედზე ჩემი მტერი და დუშმანი დადგა, თხებთან თავის დროზე საქმე როლანდ ახალაიამაც ჩაგვიწყო, მაგრამ ბედის ბორბალი უკუღმა დაგვიტრიალდა!** — გაიხსენა ბიბამ.

— **ჰო, ეგეც კი არი, მაგრამ ჩვენ შინაურ ცხოველებთან მოლაპარაკებები მაინც უნდა გავმართოთ.**

— **მეც მაგ აზრზე ვარ.**

— **თუ მაგ აზრზე ხარ, ჩამოდი და ინდაურებს დაელაპარაკე!**

— **დაველაპარაკები, მა რას ვიზამ? სხვათაშორის, გუშინაც ველაპარაკე,** — გამოტყდა ბიბა.

— **მერე, რაო?**

— **თქვენ მხარეზე ვართო.**

— **კარგია, თუ ინდაურები ჩვენ მხარეზე არიან, აწი აღარაფერი გვიჭირს, მამუკას თხები ვეღარაფერს დაგვაკლებენ,** — იმედი გაკრთა ჩერბოს თვალებში.

— **რა იცი, თხა მაინც ეშმაკის მეგობარია.**

— **იიიჰ... შენა, ინდაურები ნაკლები ეშმაკუნები გგონია?! ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათამდე სუ გატრუნულები ივლიან, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტი არ შეიწყალებს.**

— **თუ, ეგრეა, მე იმასა ვჩივი, რომ არჩევნებამდე სალომეამ „ვივამედში“ გამოშწყვდეული ჩვენი ინდაური არ შეიწყალოს!** — დაეჭვდა ბიბა.

— **ეგ შეწყალებულიც არის და გადაწყალებულიც...**

— **თუ გადაწყალებულია, გამოდის, რომ კანალიზაციასაც უნდა გავაყოლოთ...**

— **თუ იმას გავიხსენებთ, როგორ ისროდა საკუთარ ფეკალიებს, დიდი ხნის წინათ უნდა ჩაერეცხა ბიძინას,** — გაიხსენა ჩერბომ „ვივამედში“ სააკაშვილის ცელქობანი.

— **მერე არ ჩარეცხა, რო? მაგას უკვე გიულა-ხანუმაც აღარ კითხულობს...**

— **მაშა-მაშა...**

— **რა, მაშა-მაშა გაგიდის, ქალო, ემანდ, ისევ „მიშამიშას“ არ გამოვკრათ ხელი!**

— **აბა-აბ-ბა...**

— **ეგ აბ-ბა მთლად კარგი რამეა — მაქედან „მანი-მანიც“ ახლოა!**









— აწი აღარაფერი გვიჭირს, მამუკას თხები ვეღარაფერს დაგვაკლებენ.
— რა იცი, თხა მაინც ეშმაკის მეგობარია.





## ნეტა, ამათ ტექდათვალიერება გავლილი აქვთ?




ამან მართლა დაიჯერა, რომ **ცეცხლოვანი „მუსტანგის“** პატრონია! ცეცხლოვანი არა, ჩემი ფეხები... ა**მ ჯაგლაგით იმიტომ აპირებს თოხარიკს აღმა-დაღმა, არჩევნებში რო ჩაიფეხვება, ყველაფერი მაგას დააბრალოს.** აბა, თვითონ ხო არ დაიბრალებს? თუ იტყვის, **ბრიშა ბეგელიამ, უცხვირპირო სალომემ, ბადრი ჯაფარამ** და **ტაივანის ჯაშუშის ქმარმა** წამაგებინესო, ისინი მოუტრიალდებიან და რაც ავკაცობა ჩაუდენია, ყველაფერს წამოაძახებენ.

☺

არჩევნებში პროცენტნახევარს რო მიიღებს, აემ **ჯაგლაგ „მუსტანგს“** წაუშენს წიხლებს.

ეს კიდე რას იზამს? — ვერც ვერაფერს, დიდი-დიდი, ძრავიდან ცეცხლი ამოუვარდეს და „გლუშიტელიდან“ ბოლი გავარდეს.

**ჩვენში დარჩეს და... ნეტა, ამათ ტექდათვალიერება გავლილი აქვთ? შანსი არ არი, ვერ გაივლიდნენ!**

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
ანალიტიკოსი



ნაცმოძრაობის დეპუტატის წამოცდენა — **სააკაშვილი გასათავისუფლებელია წინასარევოლუციო პროცესებისთვისო,** მექანიკური შეცდომა არ იყო. მათ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მობრუნების საშუალება არ აქვთ და **ეს ერთადერთი გზა რჩებათ — რევოლუციური პროცესები.**

„რეზონანსი“

**ლია მუხაშავრია**
იურისტი, ადვოკატი



მოსამართლეები **საკუთარი ქონების წარმომავლობას თუ ვერ დაასაბუთებენ,** სისტემიდან უნდა წავიდნენ. კომისია უნდა შეიქმნას, რომელმაც მუხლჩაუხრელად უნდა იმუშაოს, **საქმეები გადასინჯოს.** სისტემიდან მოსამართლეების გაშვება ამის მიხედვით უნდა მოხდეს.

„ახალი თაობა“

# ვიქტორ ორბანი და ქართველი ყურბანები



***2024 წლის 16 თებერვალს რუსეთში, იამალ-ნენცთა ავტონომიურ ოლქში მდებარე №3 კოლონიაში, გარდაიცვალა პატიმრობაში მყოფი რუსი ბლოგერი ალექსეი ნავალნი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და, ზოგადად, დასავლეთის ე.წ. „უფლებადამცველთა“ მიერ დღემდე „პუტინის პირად პატიმრად“ იყო შერაცხილი.***



თუ რამ გამოიწვია ნავალნის სიკვდილი და სად წამოეწია მიქელ-გაბრიელი 47 წლის კაცს, **რომელიც რუს გენერლებს საქართველოს მიწასთან გასწორებისკენ მოუწოდებდა,** ზუსტად არავინ იცის.

არადა, **ნავალნი** ათი დღის მკვდარი იყო და **ქართველი ყურბანები** ჯერ კიდევ ღაწვებს იხოკავდნენ, როცა 2024 წლის 26 თებერვალს ევროკავშირისა და ნატოს წევრი უნგრეთის პარლამენტში საინტერესო ამბავი მოხდა — შვედეთის ნატოში გაწევრიანების რატიფიცირებასთან დაკავშირებულ სხდომაზე ოპოზიციური „მწვანეთა პარტიის“ წარმომადგენელმა განაცხადა — **დიდი რუსი დემოკრატის, პუტინის რეჟიმის მიერ ციხეში მოკლული ალექსეი ნავალნის ხსოვნას ფეხზე წამოდგომით პატივი მივაგოთო!**

ოპოზიციონერები მართლაც წამოხტნენ და ნავალნის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, თუმცა, ამ ინიციატივას კატეგორიულად დაუპირისპირდნენ **უნგრეთის მმართველი პარტია „ფიდესის“ წევრები და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი,** რომელმაც სამთავრობო გუნდის პოზიცია ასე ახსნა —

## ისინი, რომლებიც რუსეთ–საქართველოს ომის დროს ქართველებს „მღრღნელებს“ უწოდებდნენ, პატივისცემას არ იმსახურებენო!

მომხდარის გამო **სააკაშვილის ხროვა და მთელი მისი სამყაყეთი** ვიქტორ ორბანსა და დამოუკიდებელ უნგრეთს მოსდგნენ და ლანძღვა დაუწყეს! კერძოდ, **სააკაშვილის „უბორნიაში“ ნათრევი ყურბანები** აყეფდნენ — რუსეთის აგენტი **ვიქტორ ორბანი,** ცხადია, პუტინის მიერ მოკლულ **ნავალნის** ფეხზე არ წამოუდგებოდაო!

მოკლედ, **უნგრელმა ვიქტორ ორბანმა ქართველი ყურბანებისგან** განსხვავებით, პატივი არ მიაგო იმ კაცის ხსოვნას, რომელიც ქართველებს **„გრიზუნებს“,** ანუ **„მღრღნელებს“** გვიწოდებდა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუს გენერლებს მოუწოდებდა, დაებომბათ საქართველოს გენშტაბი. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **ალექსეი ნავალნი** ბოლომდე მხარს უჭერდა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას და რუსეთის ფედერაციის მიერ მათი **სახელმწიფოებრიობის** აღიარებას. თუმცა, „ამერიკის ხმას“ თუ დავუჯერებთ, მოგვიანებით **ალექსეი ნავალნიმ** საქართველოსა და ქართველების მიმართ პოზიცია მკვეთრად შეცვალა და 2013 წელს ასეთი რამ განაცხადა:

***„ჩემდა სამარცხვინოდ, 2008 წელს მე დავწერე პოსტი, სადაც შეურაცხყოფა მივაყენე ქართველებს, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ჩემი მეგობარი ცხინვალში დაიბომბა. მე ბოდიში მოვიხადე ამისთვის და კვლავ ბოდიშს ვიხდი, თუმცა, ვიცი, რომ ამის გამო ჩემი აზრი საქართველოში დიდად არ ფასობს. პოლიტიკოსი ვარ და შეცდომის აღიარება შემიძლია, მაგრამ ჩემი პოლიტიკური შეხედულებები არ შეცვლილა.*** *2008 წლის ომი საქართველოსა და რუსეთს შორის საქართველოს მთავრობის ქმედებებს მოჰყვა. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რეგიონები წლების განმავლობაში არ იმართებოდა თბილისის მიერ, მათი მთავარი დამფინანსებელი კი წლებია, რუსეთია.* ***მე თუ პრეზიდენტი გავხდები, რაღაც პერიოდის განმავლობაში რუსული ბაზები შენარჩუნდება ამ ტერიტორიებზე, მაგრამ დარჩება თუ არა სულ, ამაზე პასუხისთვის ახლა მზად არ ვარ. მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს სამსჯელო და კომპლექსური საკითხებია. მაგრამ რუსეთმა ხვალ რომ შეწყვიტოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაფინანსება, რა მოხდება, რა შეიცვლება? საქართველოს დაუბრუნდებიან?“***

როგორც ვხედავთ, ჩვენ წინაშეა ტიპური რუსი, რომელიც მზად არის, იმპერიის დიდებისთვის მსოფლიოს დაუპირისპირდეს და მოკვდეს!

ისტორია გვიმტკიცებს, როცა რუსეთის იმპერიალისტურ მიზნებსა და ერთიანობას ეხება საქმე, ლევ ტოლსტოის, ალექსანდრე პუშკინს, ალიხანოვ-ავარსკის, ივანე პასკევიჩს, ალექსეი ნავალნის, ვლადიმერ პუტინსა და იგორ როდიონოვს შორის განსხვავება არ არსებობს! ასეთ დროს მათ შორის ყველა ზღვარი წაშლილია და ყველა გამეტებით იბრძვის რუსეთის საზღვრების გასავრცობად. **სწორედ ასე ებრძოდა პუშკინი „რუსეთის დამაწყევრებს“ და ასე დაუნდობლად ხმარობდა რუსულ ხიშტს კავკასიის ჰიუხებში გენიალური ტოლსტოი, რომელმაც კაცობრიობას „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“ და „ჰაჯი მურატი“ დაუტოვა.**

თვით დეკაბრისტებიც კი, რომლებიც რუსეთის ევროპულ გზაზე დასაყენებლად იბრძოდნენ, იმპერიის ერთიანობის შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, მთელი კავკასიის მოსახლეობა ამოეჟლიტათ ანდა ციმბირში გადაესახლებინათ და აქაურობა რუსი კოლონისტებისთვის მიეზომათ.



ვოლოდიმირ ზელენსკი და სალომე ზურაბიშვილი



ალექსეი ნავალნი

რომ შეიტყო, ნავალნი მოკვდაო, საკუთარი განავლით მოთამაშე და „ვივამედში“ წამოკოტრიალებული სააკაშვილი მაშინვე პიტკინივით გამოხტა და სოციალურ ქსელებში ასეთი განცხადება გაავრცელა:

***„პუტინმა ციხეში მოკლა ალექსეი ნავალნი. შარშან ნავალნიმ ციხიდან ჩემ მხარდასაჭერად წერილი გამოაგზავნა. პუტინი ნავალნის მე ხშირად მადარებდა და, რა თქმა უნდა, ერთიანად ვეზიზღებოდით.*** *შარშან პუტინის დავალებით ოლიგარქის პრორუსულმა რეჟიმმა მომწამლა ციხეში და მაშინ ღმერთმა გადამარჩინა. რა თქმა უნდა, ივანიშვილს ხელი არ აუღია პუტინის დავალების შესრულებაზე* ***და მეც, ნავალნის მსგავსად, ბოლომდე ვიბრძოლებ პუტინიზმის დამარცხებისთვის საქართველოში!“***

ერთი სიტყვით, სააკაშვილი თავის სტიქიაშია და შანსს არ უშვებს, ტირილისა და ღნავილის მორიგი სამარცხვინო კამპანიით ქვეყანა შეძრას — არიქა, მიშველეთ, კიდევ მომწამლავენო!

მოკლედ, **ვიქტორ ორბანმა** ნავალნის ხსოვნას პატივი არ მიაგო და ფეხზე არ წამოუდგა — **ეს კაცი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქართველებს „მღრღნელებს“ უწოდებდაო!** ხოლო 2023 წლის დეკემბერში იმავე ორბანმა ევროკავშირს ორბივით გადაუფრინა და ვიდრე დაპირებული 10 მილიარდი ევრო შინ არ წაიღო, მანამდე უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების გახსნას მხარი არ დაუჭირა, აქაოდა, უკრაინა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული ქვეყანააო!

ამ ყველაფერს ორბანი სჩადიოდა და სჩადის იმ დროს, როცა **ქართველი ყურბანები** საქართველოს მტერს — **ნავალნის** საფლავში მიჰყვებიან, ხოლო **ზელენსკის,** რომელიც დაგვცინოდა და შეურაცხყოფას გვაყენებდა, აღმერთებენ და ხოტბას უძღვნიან!

**ქართველ ყურბანთა** ამ თვისებას საქართველო ბევრჯერ დაუღუპავს.

**ამ ყველაფერს ორბანი სჩადიოდა და სჩადის იმ დროს, როცა ქართველი ყურბანები საქართველოს მტერს – ნავალნის საფლავში მიჰყვებიან, ხოლო ზელენსკის, რომელიც დაგვცინოდა და შეურაცხყოფას გვაყენებდა, აღმერთებენ და ხოტბას უძღვნიან!**

## საქართველო მაშინ გაიმარჯვებს, როცა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ორბანები ყურბანებს აჯობებენ!

*დითო ჩუბინიძე*

*წინა კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალურ კრებასთან ორსაათიანი თათბირი გამართა და სიამაყით გამოაცხადა — უახლოეს მომავალში ოკეანეში რუსეთის ახალი ატომური ყინულმჭრელი, „სტალინგრადი“ ჩაეშვებაო!*


# გენერალისიმუსი

№14-15 (250-251) ★ 2024 წლის 4 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან





# ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, რიურიკების ხსენება რომ არ გრცხვენია, სტალინი რატომ „გეპაზორება“?

**სტალინგრადისა** და, მით უფრო, **სტალინის** შესახებ პუტინს მეტი არაფერი უთქვამს და არ უხსენებია ის დიადი ისტორია, რომელიც სწორედ **სტალინისა** და **სტალინგრადის** სახელს უკავშირდება. არადა, პუტინს ისტორია უყვარს. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელ **ტაკერ კარლსონს ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი** ამასწინათ სიამაყით ესაუბრებოდა **რუსეთის ისტორიის არცთუ საამაყო პერიოდზე,** როცა 862 წელს ნოვგოროდელი რუსები სკანდინავიაში **ვარიაგებთან, ანუ ვიკინგებთან** ჩავიდნენ და სთხოვეს — **ჩვენი მდინარეები სავსეა თევზით, ხოლო ყანები — პურით, მაგრამ არ ვიცით ქვეყნის მართვა... ამიტომ მობრძანდით, იმეფეთ ჩვენზე და მართეთ ჩვენი ხალხი და ქვეყანა, დაგემორჩილებითო!**

ეს ყველაფერი უძველეს რუსულ მატიანეში — **„გარდასულ წელთა ამბავში“** თავად რუსმა ავტორმა **ნესტორმა** ჩაწერა დაახლოებით 1110 წელს, როცა ის **კიევ-პეჩორის ლავრაში** მოღვაწეობდა. სწორედ ამ ცნობამ დაუდო საფუძველი რუსეთის ისტორიის „ნორმანულ თეორიას“, რომელიც მე-18 საუკუნეში რუსეთში მოღვაწე **ბაიერმა, შლეცერმა** და სხვა გერმანელმა მეცნიერებმა სრულქმნეს და დაასკვნეს, რომ **რუსებს სახელმწიფო გერმანელმა ტომებმა, კერძოდ, ნორმანებმა შეუქმნეს!**

ამ თეორიის გამო საშინლად შეურაცხყოფილი იყო **მიხეილ ლომონოსოვი,** რომელიც, როგორც რუსი, ნოვგოროდელების მიერ 862 წელს სკანდინავიიდან სამი ძმა ვარიაგის — **რიურიკის, სინეუსისა და ტრუვორის** მოწვევის ფაქტს გამოგონილ ზღაპრად მიიჩნევდა, მაგრამ უკანასკნელ ხანს კიევის რუსეთის მთავრების გენეტიკურმა ანალიზმა და **დნმ** ტესტმა დაადასტურა, რომ თვალუწვდენელ რუსეთზე საბატონოდ გერმანელების მოწვევის ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი!

მთელ ამ ისტორიას თავისი მრჩევლებისგან **პუტინი** აშკარად კარგად იცნობს და როგორც კი საშუალება მიეცემა, რუსეთის ნორმანულ წარსულს სიამაყით იხსენებს, **მაგრამ, როცა საქართველოსა და სტალინზე მიდგება საქმე, იქ რუსეთის პრეზიდენტი ან დუმს, ანდა საქართველოს დაუძინებელი მტრების — ანდრანიკ მიგრანიანის, აშოტ მანუჩარიანისა და სხვა გარეწრების მიერ შეთითხნილ აბდაუბდას ისტორიად გვისაღებს.**

ასე, მაგალითად, ამ სამიოდე წლის წინათ, პუტინმა ქართველებს აგვიხსნა — **ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში 1774 წელს შევიდაო!**

ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ 1774 წელს, ანუ მაშინ, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის ქუჩუკ-კაინარჯის ზავი გაფორმდა, რუსეთს ყაბარდო შეუერთდა და არა ოსეთი. ასეთი და ამ სახელწოდების ქვეყანა — **„ოსეთი“,** მაშინ არც არსებობდა, მაგრამ დავუშვათ, არსებობდა... რომელი **„ოსეთი“** შეიერთა რუსეთმა 1774 წელს, ანუ გეორგიევსკის ტრაქტატამდე ცხრა წლით ადრე — **ის, მიწა, რომელსაც სახელოვანი ერეკლე მეფე მართავდა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე დღევანდელი „ალანია“?**

ნუთუ ძნელი დასადგენია **ვლადიმერ პუტინისთვის** და რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ელიტისთვის, რა ტერიტორიებზე იყო გადაჭიმული ერეკლე მეორის დროინდელი ქართლ-კახეთის სამეფო და ვისი მოურავი იჯდა ცხინვალში **1783 წლის 24 ივლისს,** როცა **გარსევან ჭავჭავაძე** ერეკლეს სახელით რუსეთს **გეორგიევსკის ტრაქტატზე** ხელს უწერდა?

თუ ვიკინგებთან დაკავშირებულ რუსეთის ისტორიას ყოველგვარი კომპლექსის გარეშე იხსენებს, **დაე, პუტინმა ისიც გაიხსენოს, რომ დღევანდელი რუსეთისა და, საერთოდ, რუსი ერის არსებობა სწორედ სტალინთან და სტალინგრადთან არის დაკავ-**


*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*


**უმეცრების კულტი** ★





# რუსეთის ტრაგედია იმაშია, რომ დღემდე კომპარტიის მე-20 ყრილობის დადგენილებით ცხოვრობს!






# ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, რიურიკების ხსენება რომ არ გრცხვენია, სტალინი რატომ „გეპაზორება“?

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

**შირებული!** რომ არა **სტალინგრადთან მოპოვებული ტრიუმფალური გამარჯვება,** სადაც ორივე მხრიდან 2 მილიონზე მეტი ადამიანი გაიჟუჟა, მეორე მსოფლიო ომს სულ სხვა გამარჯვებული ეყოლებოდა, ხოლო რუსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ იარსებებდა.

ცხადია, ეს პუტინმა იცის და ამის შესახებ მისმა უკუღმართმა მრჩევლებმაც უწყიან, მაგრამ ამოდენა იმპერიის მმართველი პრეზიდენტი რაღაც მანქანების ზემოქმედებით დაკომპლექსებულია და ვერ ლაპარაკობს იმ სიმართლეს, რომლის გარეშეც რუსეთს მომავალი არა აქვს. **უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კრემლმა არაერთი სისხლისმღვრელი ომი გადაიხადა ავღანეთში, ანგოლაში, ჩეჩნეთში, საქართველოში, სირიაში, მაგრამ ამ ბრძოლებში, რომელიც ძირითადად უსამართლო და მტაცებლური იყო, რუსეთს გმირი არ ჰყავს!** აღარაფერს ვამბობთ უკრაინაში ატეხილ ომზე, რომელიც რახანია მსოფლიოს არყევს. სამაგიეროდ, რუსეთს ჰყავს ანტიგმირი — **ნიკიტა ხრუშჩოვი,** რომლის მე-20 ყრილობის დადგენილებითაც ქვეყანა დღემდე ცხოვრობს.

მართლაც, 1956 წლის 25 თებერვლის შემდეგ, რაც მე-20 ყრილობა დასრულდა და სტალინს სამარცხვინო და უღმერთო განაჩენი გამოუტანეს, ჯერ საბჭოთა კავშირსა და მერე რუსეთში უამრავი ყრილობა გაიმართა, მაგრამ ქვეყანამ იმ ავბედითი მე-20 ყრილობის მავნე შედეგებს, ვერაფრით გადააბიჯა!

**სწორედ ანტიგმირმა — ნიკიტა ხრუშჩოვმა მოუსპო რუსეთს გმირი — დიდი სტალინი!**

მთელი რუსეთის ხელისუფლება იმ ოთხსაათნახევრიანი მოხსენების ტყვეობაშია დარჩენილი, რომელიც ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე **„სტალინის პიროვნების კულტის“** შესახებ წაიკითხა და თუ რამ სიბინძურე იყო, ყველაფერი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ ბელადს დააბრალა.

**ჯერ არავის დაუთვლია, რამდენი გენერალი თუ პარტიული ხელმძღვანელი გაიყვანეს იმ დარბაზიდან გულის შეტევით თუ მაღალი არტერიული წნევით, სადაც ხრუშჩოვი სტალინს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დღიდან მოყოლებული, ხალხსაც და ქვეყანასაც გული ამოაცალეს!**

სწორედ ამის გამოა, რომ თვით რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებაც კი სამარცხვინო და სასაცილო მდგომარეობაშია. აი, მაგალითად, **პუტინი** ვერ ბედავს, **ვოლგოგრადს** უწოდოს **სტალინგრადი,** მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ამას ითხოვს. შექმნილ სიტუაციაში კრემლმა ტრაგიკომიკური გამოსავალი ნახა და **ვოლგოგრადის ადმინისტრაციას ნება დართო, წელიწადში სამი დღის განმავლობაში ქალაქს სტალინგრადი დაარქვას!** ვფიქრობთ, მსგავსი კურიოზი მხოლოდ რუსეთში შეიძლება მოხდეს.



თვით ის ფაქტი, რომ რუსეთმა ახლად აშენებულ ატომურ ყინულმჭრელს, რომელსაც სულ მალე ოკეანეში ჩაუშვებენ, **„სტალინგრადი“** უწოდა და არა **„სტალინი“,** იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ამოდენა იმპერია ისევ **ნიკიტა ხრუშჩოვის** მე-20 ყრილობის პოსტულატებითა და სტალინისადმი გამოტანილი უსამართლო განაჩენით იმართება!

ყოველ 9 მაისს **პუტინი** წითელ მოედანზე გამოდის, სამხედრო პარადსატარებს და მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებაზე ლაპარაკობს, **მაგრამ სულ ტყუილია ყველაფერი, რადგან არ ახსენებს და კრინტს ვერ ძრავს მთავარსარდალზე, ვინც ეს გამარჯვება მოიტანა!** ომს ხალხი ვერ იგებს, ომს ის მხედართმთავრები იგებენ, რომლებსაც ხალხი გაჰყვება. არაერთხელ გვითქვამს, რომ 1941 წლის 16-17 ოქტომბერს პანიკაში ჩავარდნილი ხალხი მოსკოვიდან გარბოდა, მაგრამ, როცა შეიტყო, რომ სტალინი კრემლიდან ფეხის მოცვლას არ აპირებდა, ნახევარ საათში მოსკოვში პანიკა შეწყდა!

აი, ამან მოიგო ომი!

**გყავდეს ასეთი ბელადი, გქონდეს ასეთი გმირული ისტორია და ტაკერ კარლსონთან ამ ყველაფერზე ენა გქონ-**


О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ

Доклад Первого секретаря ЦК КПСС тов. Хрущова Н. С.

XX съезду Коммунистической партии Советского Союза 25 февраля 1956 года

ПОЛИТБЮРО ЦК КПСС СОЧЛО ЦЕЛЕСООБРАЗНЫМ ОПУБЛИКОВАТЬ В ЖУРНАЛЕ «ИЗВЕСТИЯ ЦК КПСС» ДОКЛАД ПЕРВОГО СЕКРЕТАРЯ ЦК КПСС Н. С. ХРУЩЕВА НА ЗАКРЫТОМ ЗАСЕДАНИИ XX СЪЕЗДА КПСС 25 ФЕВРАЛЯ 1956 г. «О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ».

## მთელი რუსეთის ხელისუფლება იმ ოთხსაათნახევრიანი მოხსენების ტყვეობაშია დარჩენილი, რომელიც ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე „სტალინის პიროვნების კულტის“ შესახებ წაიკითხა და თუ რამ სიბინძურე იყო, ყველაფერი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ ბელადს დააბრალა!


ვკვდები. როგორი იქნება ხალხისა და ისტორიის მსჯავრი? შეცდომა ბევრი იყო. მაგრამ წარმატებებიც ხომ გვქონდა? შეცდომებს, ბუნებრივია, მე მომაწერენ. ჩემს საფლავს ნაგავს მიაყრიან. მაგრამ არა უშავს, მოვა დრო და ამ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს.
*bjct, cnfkbyb*

გენერალისიმუსი

პატარა გორი დიდია!

№7 (45) ★ 2004 წლის 16-22 თებერვალი

1956 წლის 14-25 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის

ყველაზე სამარცხვინო ყრილობა,

რომელმაც ყველაზე სამარცხვინო დადგენილება მიიღო!

ისტორიაში მოხვედრა სხვადასხვაგვარად შეიძლება — სადარბაზოს კიბითაც და უკანა შესასვლელითაც. შეგიძლიათ, თქვენი სახელი ოქროს ასოებით ჩაწეროთ, ანდა ტალახითა და უწმინდურობით დათხაპნოთ. შეგიძლიათ, ქვეყნის, ხალხის, მთელი კაცობრიობის ბედისწერაში წარუშლელი კვალი დატოვოთ ან ისეთი ნაფეხურები დაგრჩეთ, ათწლეულების განმავლობაში რომ არ მოირეცხება.

ისტორიაში ნიკიტა ხრუშჩოვის დატოვებული ჭუჭყიანი ნაკვალევი დღემდე ვერც რუსეთმა ჩამოირეცხა, ვერც მთელმა პოსტსაბჭოურმა სივრცემ. დღეს მკითხველს **კრემლის ყოფილი მასხარის დებიუტს** გავაცნობთ — მის ე. წ. საიდუმლო მოხსენებას სტალინის პიროვნების კულტის შესახებ, ადამიანის მიერ დამწერლობის გამოგონების მომენტიდან შექმნილ ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტს. **ამ ბინძური პასკვილის კომენტირებას არ შევუდგებით, მკითხველი თავადაც დაინახავს მის სრულ დაუსაბუთებლობას, მასში ჩაღვრილ ბალღამს, უვიცის ენაჩლუნგობას და თაღლითისა და ცილისმწამებლის შულერობას. ისტორიამ დიდი ხანია ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და თითოეულს დამსახურებისამებრ მიუზღო. და ხრუშჩოვისეული უმეცარი აბდაუბდის ფონზე დიდი ბელადის სახელი და საქმენი კიდევ უფრო გაბრწყინდა.**

სკკპ ცკ-ის პოლიტბიურომ მხოლოდ 1989 წელს ჩათვალა მიზანშეწონილად, „სკკპ ცკ-ის მოამბეში" გამოექვეყნებინა სკკპ მე-20 ყრილობის 1956 წლის 25 თებერვლის დახურულ სხდომაზე სკკპ ცკ-ის პირველი მდივნის ნ. ხრუშჩოვის მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ".

მკითხველის საყურადღებოდ — ნიკიტას პასკვილი **გენერალისიმუსის მშობლიურ ენაზე პირველად ქვეყნდება.**

გიორგი ბეზირგანი

პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ

სკკპ ცკ-ის პირველი მდივნის ამხ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე

ამხანაგებო! მე-20 ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის დელეგატთა მთელ რიგ გამოსვლებში, აგრეთვე ადრეც, სკკპ ცკ-ის პლენუმებზე ბევრი რამ ითქვა პიროვნების კულტზე და მის მავნე შედეგებზე.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად და თანმიმდევრულად დაიწყო ერთი პიროვნების მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისთვის უცხო განდიდების, ღმერთის მსგავსად ზებუნებრივი თვისებების მქონე რაღაც ზეადამიანად მისი გადაქცევის დაუშვებლობის განმარტებითი კურსის გატარება. ამ ადამიანმა თითქოს ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს, ყველას მაგივრად ფიქრობს, ყველაფრის გაკეთება შეუძლია; ის შეუმცდარია თავის საქციელში.

ამ ადამიანის და, კონკრეტულად, სტალინის შესახებ ასეთი წარმოდგენა ჩვენთან დიდი ხნის განმავლობაში ინერგებოდა.

წინამდებარე მოხსენება ამოცანად არ ისახავს სტალინის ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველმხრივ შეფასებას. სტალინის დამსახურების შესახებ მის სიცოცხლეშივე სრულიად საკმარისი რაოდენობის წიგნები, ბროშურები, გამოკვლევები დაიწერა. საყოველთაოდ არის ცნობილი სტალინის როლი სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში, სამოქალაქო ომში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში. ეს ყველამ კარგად იცის. ახლა საუბარია საკითხზე, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს პარტიის აწმყოსთვისაც და მომავლისთვისაც — საუბარია იმაზე, თანდათანობით როგორ ყალიბდებოდა სტალინის პიროვნების კულტი, რომელიც გარკვეულ ეტაპზე პარტიული პრინციპების, პარტიული დემოკრატიის, რევოლუციური კანონიერების უმსხვილესი და მეტად მძიმე დამახინჯებების წყაროდ გადაიქცა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ ყველას ვერ წარმოუდგენია, პრაქტიკულად რა შედეგი მოჰქონდა პიროვნების კულტს, რა უზარმაზარი ზიანი გამოიწვია პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის დარღვევამ და განუსაზღვრელი, უკიდეგანო ძალაუფლების ერთი პიროვნების ხელში თავმოყრამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობას ამ საკითხთან დაკავშირებული მასალები მოახსენოს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

★ ასე ებრძოდნენ ბელადს!




# იოსებ სტალინის დამარხვით რუსეთმა „მესამე რომის" იდეაც დამარხა!



**დეს ჩაგდებული, ვფიქრობთ, იმაზე ნაკლები ბოროტება არ არის, რაც ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვმა მე-20 ყრილობით ხალხსა და ქვეყანას ავნო.**

**სტალინის** უსამართლოდ შეურაცხყოფამ რუსეთის იდეოლოგიური მარცხი გამოიწვია. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე ოქტომბრის გადატრიალებამდე, რაც რუსეთმა მონღოლების ბატონობის უღელი გადაიგდო, **მოსკოვის მმართველთა ხელში „მესამე რომის" თეორია უმძლავრესი იარაღი იყო მართლმადიდებელ ხალხთა შორის პირველობის მოსაპოვებლად.** ფსკოვის იერლიზაროვის მონასტრის იღუმენის ფილოფეს მიერ **ვასილ მესამისადმი** გაგზავნილ წერილში პირდაპირ ეწერა — **„ორი რომი დაეცა, მესამე რომი — მოსკოვი დგას; მეოთხე — აღარ იქნება!"** სწორედ ეს იმპერიალისტური იდეა კვებავდა რუსეთს, როცა მსოფლიო მართლმადიდებლობის პატრონად და ავანჩავანად მიიჩნევდა თავს, მაგრამ ეს იდეა გაცვდა და **ლენინის, ტროცკისა და გერშელ ზინოვიევის** ცისფერ საწოლებთან დაილეწა. **ერთადერთი კაცი, რომელსაც რუსეთის იმპერიული იდეისთვის ახალი სულის შთაბერვა შეეძლო, სტალინია, მაგრამ პუტინი მის ხსენებას ვერ ბედავს!**

**სტალინის დამარხვით რუსეთმა „მესამე რომის" იდეაც დამარხა!**

დღეს, როცა ჩინეთის ეკონომიკა სასწაულებს ახდენს და ყველაზე პესიმისტური გათვლებითაც კი უახლოეს ათ წელიწადში ამერიკულ ეკონომიკას გვერდზე მოისვრის, ანალიტიკოსები და მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ მსოფლიო ისევ და ისევ ორპოლუსიანი გახდება, მაგრამ არა ისეთი, როგორც ეს ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქაში იყო, როცა ამერიკის შეერთებული შტატების საპირწონედ მხოლოდ საბჭოთა კავშირი განიხილებოდა. **მეცნიერთა დასკვნით, მსოფლიო დიახაც იქნება ორპოლუსიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი მოთამაშეები არა ამერიკა და რუსეთი, არამედ ამერიკა და ჩინეთი იქნებიან!** ეს რომ სიმართლეა, ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში პუტინმაც დაადასტურა, როცა ამერიკელ ჟურნალისტს თუ „ცერეუს" უშტატო თანამშრომელს პირდაპირ უთხრა — **ამერიკას რუსეთის კი არა, ჩინეთის ეშინია, რომლის ეკონომიკაც ნახტომისებური ზრდით გამოირჩევა!**

ერთი სიტყვით, რუსეთი დიდ გასაჭირშია, რადგან ქვეყანა, რომელსაც იდეოლოგიური ფრონტი მორღვეული აქვს, ვერ ბედავს უზარმაზარ ატომურ ყინულმჭრელს **„სტალინი"** უწოდოს და შემოვლითი გზებით ცდილობს, ბელადის სახელს როგორმე ამოეფაროს! **და მაინც, რუსეთის ტრაგედია იმაშია, რომ დღემდე კომპარტიის მე-20 ყრილობის იმ დადგენილებით ცხოვრობს, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დიდი ომის მომგებ სტალინს ლახვარი ჩასცა!**

***დიტო ჩუბინიძე***




## უმეცრების კულტი ★

# რუსეთის ტრაგედია იმაშია, რომ დღემდე კომპარტიის მე-20 ყრილობის დადგენილებით ცხოვრობს!

*ნაციონალურმა მოძრაობამ ნადირობა გამოაცხადა უცნობზე, რომელმაც თელავის სასაფლაოს შესასვლელთან საინფორმაციო ბანერი აღმართა. ბანერზე ქართულად და რუსულად ეწერა, რომ ამ სასაფლაოზე დაკრძალულები არიან დიდ სამამულო ომში მებრძოლი საბჭოთა ჯარისკაცები. ნაცები და „მთავარი არხი“ გაშმაგებით ითხოვენ, მოინახოს და დაისაჯოს ადამიანი, რომელმაც გაბედა და რუსულ ენაზე შეასრულა წარწერა, თანაც, „მეორე მსოფლიო ომს დიდი სამამულო ომი უწოდა“.*
*ნაცების მიერ ძებნილი ახალგაზრდა უცნობი საკუთარი ნებით გამოცხადდა „ასავალ-დასავალის“ რედაქციაში.*
*— „დიახ, ჩვენი ორგანიზაციის სახელით, მე გავაკეთე ეს ბანერი და ჩემს ამ საქციელში დანაშაულს ვერ ვხედავ!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ წევრმა* ***მიხეილ აფციაურმა:***






## მიხეილ აფციაური:

# ნაცვანდალებმა თელავში დაკრძალული დიდი სამამულო ომის მონაწილეების ხსოვნა შეურაცხყვეს!

**მოქალაქის აღშფოთება ★**

— ნაცებმა და „მთავარმა არხმა“ იდეოლოგიური ომის ნაწილად გამოაცხადეს რუსულ ენაზე წერა-კითხვა! ნაცებმა და „მთავარმა არხმა“ ისტორიის გაყალბებად გამოაცხადეს, რომ 1941-1945 წლებში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიმდინარე ომს „სამამულო ომი“ ვუწოდე! ნაცებს და „მთავარ არხს“ რუსულ ენაზე შესრულებული ტექსტიც კი საბჭოთა სიმბოლიკად მიაჩნიათ და ისტორიის გაყალბებას მე მედავებიან? სრულ უვიცობას ავლენენ! **დიდი სამამულო ომი, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, ფაშისტური ჯარების საბჭოთა კავშირზე ომის გამოუცხადებლად თავდასხმით დაიწყო, მართლაც გახლავთ მეორე მსოფლიო ომის ნაწილი და ბავშვმაც კარგად იცის, რომ მეორე მსოფლიო ომი 1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო!**

**— მაგრამ ნაცები და „მთავარი არხი“ იმაში გედავებიან, რომ საქართველოსთვის ეს არ იყო სამამულო ომი.**

— როგორ თუ არ იყო? განა როდის გადაწერეს ისტორია? **განა ვის უბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ ამ ომში ქართველები საბჭოთა კავშირთან ერთად საკუთარ მამულს არ იცავდნენ?** გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საომრად დაირაზმა 700 ათასი ქართველი! საქართველოს ისტორიის განმავლობაში ამდენ ქართველს ერთად არასოდეს უომია! ვინმეს ენა მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ ამ ომში ისინი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ წავიდნენ? ომში წასული ქართველების მხოლოდ ნახევარი დაუბრუნდა მშობლიურ კერას და ისტორიას არ ახსოვს რომელიმე ომი, რომელშიც ქართველებს ამხელა მსხვერპლი გაეღოთ! ომის შემდეგ საქართველოში არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც ახლობელი არ ჰყოლოდა ომში დაღუპული! ვინმეს ენა მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ ამდენი ქართველის სიცოცხლე საქართველოს ინტერესებს არ შეეწირა? ბოლოს და ბოლოს, ჯარს ქართველი მხედართმთავარი მეთაურობდა! **ბოლოს და ბოლოს, გამარჯვების დროშა ქართველმა აღმართა!** დიახ, ეს იყო ნამდვილი სამამულო ომი ქართველებისთვის! ამ ომში მონაწილე თითოეული ქართველი იცავდა საქართველოს და ქართველი ერის თვითმყოფადობას! პირდაპირ გეტყვით — **ისტორიას მე კი არა, ის ნაძირალები აყალბებენ, ვისაც მიაჩნია რომ ჰიტლერის ჯარი ქართველებისთვის ძეხვის და ბავარიული ლუდის დარიგებას აპირებდა!** მეტი საქმე არ ჰქონდა ჰიტლერს, რომ ქართველებისთვის გუნდრუკი ეკმია. ფაშისტებს რომ გაემარჯვათ, მე-20 საუკუნის მიწურულს ქართველი ერის სახსენებელიც არ იქნებოდა!







**— სასაფლაოს შესასვლელთან ბანერი მართლა თქვენ აღმართეთ?**

— წარმოშობით თელავიდან გახლავართ. „ევრაზიის ინსტიტუტის“ წევრები საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დროჟამისგან შელახულ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალებს ვპოულობთ და რესტავრაციას ვუკეთებთ. თავი ჩვენი თაობის ბედნიერი მომავალისთვის გაწირეს და იმსახურებენ, რომ მათ ხსოვნას პატივი მივაგოთ! თელავში დოდაშვილის ქუჩის მახლობლად სასაფლაოზე აღმოვაჩინეთ დიდ სამამულო ომში მებრძოლი ჯარისკაცების მემორიალი, რომლებმაც სამუდამო განსასვენებელი ქართულ მიწაში პოვეს.

**— როგორ აღმოჩნდა სამამულო ომის მონაწილე მეომართა ცხედრები თელავში?**

— სამამულო ომის პერიოდში თელავში ფუნქციონირებდა ჰოსპიტალი, სადაც ომში დაჭრილი მეომრები იშუშებდნენ ჭრილობებს. სამწუხაროდ, მათი ნაწილი ლაზარეთში გარდაიცვალა. ომის პირობებში ცხედრების გადასვენებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ამიტომ გარდაცვლილ მეომრებს თელავის სასაფლაოზე კრძალავდნენ. მათი საფლავები მთელ სასაფლაოზეა მიმოფანტული. დროთა განმავლობაში უპატრონო საფლავებს ეკალ-ბარდი მოედო. ზოგი მათგანი დაიკარგა; ზოგი გაიყიდა და მეომრებს გულზე ჩვეულებრივი მოქალაქეები გადაამარხეს. ამის მიუხედავად, რამდენიმე საფლავი მაინც არის შემორჩენილი და ერთ-ერთზე ობელისკიც იყო აღმართული რუსული წარწერით: „Здесь похоронены солдаты, сержанты и офицеры, погибшие в боях с немецко-фашистскими захватчиками в период Великой Отечественной войны 1941-1945 годов.“.

ჩვენ ობისაგან გავწმინდეთ სასაფლაოს ცენტრში მდებარე ისტორიული ძეგლი, ხის ვარსკვლავის ნაცვლად ძეგლზე ლითონის ვარსკვლავი დავამონტაჟეთ; ოქროს საღებავით მოვხატეთ ძეგლზე არსებული წარწერები. სასაფლაოს შესასვლელთან კი აღვმართეთ საინფორმაციო დანიშნულების ბანერი, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე ეწერა: **„აქ განისვენებენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ჭრილობებისგან გარდაცვლილი მებრძოლები“.** არ მესმის, რაში მდგომარეობს ისტორიის გაყალბება? ფაქტია და ვერავინ უარყოფს, რომ სასაფლაოს ცენტრალურ ნაწილში არის საბჭოთა პერიოდის ორიგინალური ძეგლი, რომელზე ამოტვიფრული წარწერა გვაუწყებს, რომ აქ განისვენებენ 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის მონაწილეები!

ნაციონალური მოძრაობის წევრთა მითითებით და კრიმინალი სააკაშვილის ტელევიზია „მთავარის“ წაქეზებით, **მუნიციპალურმა ორგანოებმა თუ სხვა პირებმა ჩაიდინეს ვანდალიზმის აქტი, კერძოდ, გადაშალეს საინფორმაციო სტენდი იმ მოტივით, რომ მასზე ქართულთან ერთად რუსული წარწერა იყო, ასევე გამოსახული იყო ჯვარი, ხოლო ბანერს ქვევით — წითელი ვარსკვლავი.** ვანდალებს კრუნჩხვები დაემართათ ტერმინზე — „დიდი სამამულო ომი!“ მოკლედ, **ე.წ. „პადოშას კანონი“,** რომლითაც საბჭოთა სიმბოლიკები აიკრძალა — მთელი გაქანებით მუშაობს. აიკრძალა ყველა სიმბოლო, რომლითაც ჩვენმა გმირმა პაპებმა გერმანელი ფაშისტები დაამარცხეს. „პადოშა“, იგივე **გია თორთლაძე** თავის დროზე ევერესტზე ავიდა, მაგრამ კაცად მაინც ვერ ჩამოყალიბდა. მისი ინიცირებული კანონის საფუძველზე ჩვენი ნაომარი წინაპრები საფლავებში ბორგავენ!

**— პადოშელების დამყარებული „წესრიგი“ დიდხანს ვერ გასტანს.**

— თელავის სასაფლაოს გადაღმა, ორასიოდე მეტრში არის გერმანელ სამხედრო ტყვეთა სასაფლაო, რომელიც საბჭოთა მეომრების საფლავებისგან განსხვავებით, თელავის მუნიციპალური სამსახურების მიერ საუკეთესოდ არის მოვლილი — თიბავენ, ასუფთავებენ! მე წინაპრების ტრადიციებზე გახლავართ გაზრდილი. ქართველი მუდამ თანაბარი მონდომებით უვლიდა ერთმანეთთან ბრძოლაში დაღუპული მოყმისა და ვეფხის საფლავებს და არაფერია იმაში გასაკვირი, რომ თელავში დაკრძალული გერმანელი ფაშისტების საფლავები მოვლილია! გასაკვირი ის არის, რომ თელავში დაკრძალული დიდ სამამულო ომში მებრძოლთა საფლავები ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრიდან უყურადღებოდ არის მიტოვებული, ხოლო, თუ ვინმე მათ მოსავლელად კერძო ინიციატივას იჩენს — პადოშური შემართებით სანქციებით და ჯარიმებით ემუქრებიან!

**— რას გულისხმობთ?**

— გადაშლილი საინფორმაციო სტენდის გარდა, წარწერა ხომ სასაფლაოს ცენტრში მდებარე ორიგინალურ ძეგლზეც ამოტვიფრულია, ამიტომ არსებობს საფრთხე, რომ ნაციონალვანდალები ამ ძეგლსაც, ასევე მარმარილოს დაფასაც თავიანთი ბინძური ხელებით შეეხებიან და შეურაცხყოფენ! თელავის მერიამ ეს არ უნდა დაუშვას! სხვათაშორის, ჩვენი მეზობელი სუპერსახელმწიფო — რუსეთი, რომელიც წარმატებით აგრძელებს აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიის გაწმენდას ნეონაცისტებისგან, ყურადღებით აკვირდება დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული ძეგლების მოვლა-პატრონობას. ახლახან რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ბალტიისპირეთის ქვეყნებში ადგილობრივი რეჟიმების მიერ საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლების დაზიანების მიზეზით. ძიებაში არიან გამოცხადებულნი ესტონეთის პრემიერ-მინისტრი კაია კალასი, იმავე ესტონეთის სახელმწიფო მდივანი ტაიმარ პეტერკოპი და ლიტვის კულტურის მინისტრი სიმონას კაირისი. სასურველია, რომ ანალოგიურ სიაში ქართველი ჩინოვნიკები არასოდეს მოჰყვნენ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***





## ისტორიული შანსი ★





# ლალი მოროშკინა:

# სოჭში რუსები ყველა დონეზე გვხვდებიან და გვეუბნებიან - დაგველაპარაკეთ!!!



***2024 წლის 2 მარტს სოჭში მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა, რომელსაც ქართველთა მრავალრიცხოვანი დელეგაციაც ესწრება. პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა ჩვენთან სატელეფონო საუბარში აცხადებს, რომ საქართველოს გასაერთიანებლად საუკეთესო დრო დგება და ქართველებმა ტვინი უნდა გავანძრიოთ:***

— ფესტივალს საქართველოდან ესწრებიან ბატონი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** და მისი ორგანიზაცია. თბილისიდან რომ მოვფრინავდი, ჩემთან ერთად უამრავი უცხოელი ახალგაზრდა მგზავრობდა. აღმოჩნდა, რომ სოჭში ასზე მეტი ქვეყნის 20 ათასზე მეტი ახალგაზრდა შეიკრიბა და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომელიც უკრაინასთან სისხლისმღვრელ ომშია ჩაბმული.

**— არ ეტყობა რუსეთს, რომ ქვეყანა, როგორც ამბობენ, სანქცირებული და ბლოკირებულია?**

— ჩვენი ინტერვიუს მიზანიც სწორედ ის არის, საზოგადოებას სიმართლე ვუთხრათ და გავაგებინოთ, რომ **ე.წ. სანქციები,** რომლებიც რუსეთს დაუწესეს, სოჭში არსად იგრძნობა! ქალაქში ისეთი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურაა, ისეთი მშენებლობებია, მართლაც გაოგნდებით. სოჭში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ, რუსეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ააშენა ახალი ქალაქი — სირიუსი.

**— აბა, რომ გვეუბნებიან, ევროპულმა და მსოფლიო ბრენდებმა რუსეთი დატოვესო!**

— სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! რა დატოვეს, სად დატოვეს... პირიქით, „მერსედესის" ცენტრმა ქალაქში ახალი წარმომადგენლობა გახსნა. ფესტივალზე, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება, ახალგაზრდები ინტერესთა ჯგუფების მიხედვით ხვდებიან ერთმანეთს. კულტურისა და ხელოვნების ოთახები ცალკეა, მეცნიერების — ცალკე. ვგულისხმობ სიმღერას, მუსიკას, ლიტერატურას, იურისპრუდენციას, ხელოვნურ ინტელექტს და ა.შ. ფესტივალის გახსნა იყო გრანდიოზული. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში აქ არჩევნებია და **პუტინი** მიესალმა ამომრჩევლებს. სოჭში ნათესავები მყავს და როგორც ამბობენ, ოლიმპიადის შემდეგ ასეთი ამბავი არ ახსოვთ.

## ჩვენ ეს ყველაფერი უნდა განვიხილოთ საქართველოს პერსპექტივისა და მომავლის კონტექსტში.

**— რას გულისხმობთ?**

— კიდევ ერთხელ გეუბნებით: **ჩამოდით და ნახეთ რუსეთი, რომელსაც განადგურება უწინასწარმეტყველეს, ყბადაღებულ სანქციებს ვერ გრძნობს.** პირიქით, კომუნალური გადასახადები კაპიკებია, ყველაფერი შენდება და მშვენდება! სხვათაშორის, 320 ათას ახალგაზრდას უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ სოჭმა ამდენი ხალხი ვერ დაიტია.

**— აფხაზები და ოსები თუ შეგხვდნენ?**

— აფხაზები და ოსები არ შემხვედრიან. სხვათაშორის,

## ფესტივალში მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალში ცალკე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი მოხსენიებული არ არის.

უფრო მეტიც, რუსეთის საზოგადოებრივ მაუწყებელს პირველი ინტერვიუ ფესტივალში მონაწილე ქართველმა გოგონებმა მისცეს, რომლებმაც პუტინის ინტერვიუსაც კი დაასწრეს. საქართველოდან აქ საკმაოდ სოლიდური დელეგაციაა ჩამოსული. რეალობა ეს არის, — რუსეთი ომმა და სანქციებმა კი არ ჩამოშალა, პირიქით, გააძლიერა! მიმაჩნია, რომ რუსეთთან მოლაპარაკება სასწრაფოდ არის დასაწყები! **პირდაპირ გეუბნებით: სოჭში რუსები ყველა დონეზე გვხვდებიან და გვეუბნებიან — დაგველაპარაკეთ!** საიდან დავიწყოთ ლაპარაკი? რუს პოლიტიკოსებს ვისაც კი შევხვდი, ყველას ვუთხარი და ჩემი აზრი მათთვის ცნობილია — არსებობს **ბოდენის დოკუმენტი,** სადაც დაწვრილებით არის გაწერილი გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს დევნილების დაბრუნება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**— მერედა რუსი პოლიტიკოსები რა ჭკუაზე არიან?**

— ახლა გეტყვით ერთ ექსკლუზიურ ინფორმაციას და დასკვნა თავად გამოიტანეთ — სოჭში, რომელიც, ფაქტობრივად, მიბმულია აფხაზეთზე, ამ დღეებში ყველა იმის შესახებ საუბრობს, რომ აფხაზები ძალიან შეწუხებული არიან. — ჩვენ ქართველებთან ბევრად უფრო დაცულად ვგრძნობდით თავს, ახლა კი, როცა ქვეყანა სომხებით, ჩეჩნებითა და სხვა ერის წარმომადგენლებით გაივსო, ძალიან გვიჭირს თავის დაცვაო! ეს განწყობები მოსახლეობის 20 პროცენტშია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში ომის დაწყების წინ მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტი იყო აფხაზი, მაშინ გასაგებია, რაც იქ ხდება. არც ის დაგვავიწყდეს, რომ თითქმის მთელმა აფხაზეთმა, ვისაც კი ოდნავ თავი წამოსტკივდა, უფასოდ იმკურნალა საქართველოში და ნახა, როგორი კარგი იყო მათდამი ქართველების დამოკიდებულება. მოკლედ, ძალიან შეცვლილია სურათი. სხვათაშორის, ანაკლიის პორტში ჩინეთის ინტერესები უდიდესია, ხოლო ჩინეთს რუსული გემები კონკურენციას რომ ვერ გაუწევს, ესეც ცხადზე ცხადია. ასე რომ, აფხაზეთის დაბრუნების კუთხით, ჩინეთის ფაქტორიც ფრიად მნიშვნელოვანია.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მშენებლობებია გაშლილი სოჭსა და მის შემოგარენში. როცა რუსებს რაღაცის აშენება სურთ, ძალიან სწრაფად მოქმედებენ. გაიხსენეთ, როგორ უცბად აღადგინეს მარიუპოლი. მთელი აფხაზეთი დანგრეული და დაქცეულია, მაგრამ რუსეთი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ქალაქების აღდგენას არ ჩქარობს.

## ყველა გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ დამდგარია ისტორიული მომენტი, რომელიც ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ და რუს პოლიტიკოსებს დაველაპარაკოთ!

უამრავი რესტორანი სოჭში, რომელიც ადრე იტალიური და იყო, გადაკეთებულია ქართულ რესტორნად! ყველგან ქართული სიმღერები ისმის, ყველგან ქართული კერძებია და ქართული ღვინო იყიდება! **მოკლედ, სოჭის გაქართულების პროცესია დაწყებული. ახლა მთავარია, სწორი არჩევანი გავაკეთოთ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***





ნანა კაკაბაძე

# პრო-რუსული ისტერიის შესახებ

***ანტიქართულად მოაზროვნე ქართველი პოლიტიკოსები დიდი მონდომებით ცდილობენ, რომ თავი თავგადაკლულ მედასავლეთეებად, დემოკრატებად და ანტირუსებად წარმოაჩინონ, მაგრამ ვერც კი გრძნობენ, როგორ უხერხულ და კომიკურ მდგომარეობაში იგდებენ თავს. ამ მცდელობებით ეს ნაცარქექიები სერიოზულად გვიმტკიცებენ, რომ:***

**1.** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პრო-**რუსია;**

**2.** მართლმადიდებლური რელიგია პრო-**რუსულია;**

**3.** მეფე ერეკლე მეორე, რომელმაც ცხოვრება საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაატარა და 40-მდე ჭრილობა მიიღო, პრო-**რუსია;**

**4.** ასევე პრო-**რუსია** ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც 500-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი და ისტორიული შენობა აღადგინა, დაამარცხა ქართული ფაშიზმი, აღკვეთა ახალგაზრდების ქუჩებში ჩახოცვა, ციხეებში წამება-გაუპატიურება, ხალხის განკულაკება, ბიზნეს-რეკეტი, დამონებული სასამართლო გაათავისუფლა პროკურატურის მარწუხებისგან და ა.შ. პრო-**რუსია** იმიტომ, რომ მისმა ხელისუფლებამ რუსეთს არ დაუწესა სანქციები და არ გამოუცხადა ომი აგრესორს, რითიც გმირი უკრაინელი პრეზიდენტის განრისხება გამოიწვია.

**5.** ამერიკული ფარას კანონი საქართველოსთვის პრო-**რუსულია,** რადგან ისეთი ჯგუფების საქმიანობის ფინანსურ ლუსტრაციას ეხება, რომლებიც ხელშეუხებელნი არიან.

**6.** პრო-**რუსია** ყველა, ვისაც კითხვები უჩნდებათ დასავლეთის არასამართლიანი ქმედებების მიმართ ან კრიტიკა წამოსცდებათ.

**7.** პრო-**რუსია** ყველა, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ ომში გაიმარჯვებს.

**8.** პრო-**რუსია**, ვინც არ მიესალმება საქართველოში გეი-აღლუმების ჩატარებას.

**9.** პრო-**რუსია**, ვინც არ მოითხოვს „პუტინის ტყვეობაში“ მყოფი „დემოკრატიის შუქურის“ გათავისუფლებას.

**10.** პრო-**რუსულია** ტალიავინის დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ წინასწარვე წაგებული ომის პროვოცირება სააკაშვილმა და ნაცებმა მოახდინეს.

სამაგიეროდ, პრო-**დასავლურია,** ფაქტობრივად, ტალიავინის დასკვნის საფუძველზე შედგენილი ევროპარლამენტის ის რეზოლუცია, რომელსაც ნაცებმა თავის დროზე ტაშის გრიალით მისცეს ხმა. ამის მიზეზი ისაა, რომ სწორედ ნაცები თვლიან საკუთარ თავს ყველაზე დიდ **„მედასავლეთე, დემოკრატ და ანტირუს“** გმირებად.

რაც მთავარია, **„მედასავლეთე, დემოკრატი და ანტირუსი“** გმირია ყველა, ვინც გაბედულად აგინებს პუტინსა და რუსებს, უშიშრად უქნევს მუშტებს მათ „ჟანგიან ტანკებს“, თუმცა, ამ ტანკების დანახვაზე თავქუდმოგლეჯილი გარბის წითელი ხიდისაკენ.

ასევე გმირია ყველა **„მედასავლეთე, დემოკრატი და ანტირუსი“,** ვინც მოითხოვს დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე გეი-აღლუმის ჩატარებას; ვინც ციხეებს მართავს წამებებით, ღირსების შემლახავი მოპყრობით და სახელს უტეხს ჩვენს ქვეყანას; ვინც მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო პატიმართა რაოდენობით; ვინც სასამართლოს პროკურატურის ჯიბეში მიუჩინა ადგილი; ვინც ეწევა ხალხის გაკულაკებას, ბიზნეს-რეკეტს; ვინც შექმნა ელიტური კორუფცია; ვინც ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები რუსეთზე გაასხვისა.

**მედასავლეთე ყოფილა ის, ვინც დღეს მოითხოვს პროკურორის, ცესკოს თავმჯდომარის, მოსამართლეების და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობის პირების უცხოელების მიერ დანიშვნას და სისხლით მოპოვებული სუვერენიტეტის დიდი ნაწილის „დაუძინებელი მეგობრებისთვის“ გადაცემას.**

**პროდასავლურია ყველა,** ვისაც ოკუპანტთან საქმიან მოლაპარაკებას ურჩევნია მავთულხლართებთან შარვალჩახდილ მდგომარეობაში ფოტოების გადაღება.

დაბოლოს: **ყველაზე მეტად პროდასავლურია ის, ვინც ყოფილი ომბუდსმენის ნინო ლომჯარიას და მისი ყოფილი მოადგილის მსგავსად მოგვიწოდებენ, რომ ქვეყნის თავზე რუსული ბომბების ცვენა გამოვიწვიოთ, ცალ ფეხზე დავდგეთ და ევროპისკენ ასკინკილით გავეშუროთ.**



**ეგრემც უქნიათ – ცოცხებზე გადამჯდარან და თავად გაფრენილან მოუსავლეთში. მეტი საქმე არა გვაქვს, მაგათზე ვიდარდოთ!**

**პრო-კრეტინების განკარგულებით ★**



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ 1923 წლიდან მოყოლებული, როცა ლენინი, ფაქტობრივად, შეურაცხადი გახდა, სტალინმა მისი გაწმინდანებისა და გაკერპების პროცესი დაიწყო და ბელადის დროშას ამოეფარა. სტალინი სწორედ ამ გზით შეუდგა დაუნდობელი ოპონენტების გზიდან ჩამოშორებას:***

— 1919 წლის მარტიდან, როცა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის **ნიკოლოზ მეორისა** და მთელი მისი ოჯახის ამომჟლეტი **იაკობ სვერდლოვი** მოკვდა, საბჭოთა რუსეთს სამი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა — **ლენინი, ტროცკი და ზინოვიევი.** ამ სამი ლიდერიდან 1922-1923 წლის დეკემბერ-იანვრიდან **ლენინი** საბოლოოდ გაითიშა და, ფაქტობრივად, შეურაცხადი გახდა; შესაბამისად, დარჩა ორი ლიდერი — **ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკი და გერშელ ზინოვიევი.**

ტროცკი იყო რუსეთის ფედერაციის და შემდეგ საბჭოთა კავშირის რევკომის თავმჯდომარე, რომელიც, ამავდროულად, ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ წითელ არმიას. ფაქტობრივად, ეს პარალელური ხელისუფლება გახლდათ, ხოლო **ზინოვიევი** მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელი და ბოლშევიკური პარტიის პეტროგრადის საბჭოს ლიდერი იყო, რომელიც პარტიაში ყველაზე უფრო გავლენიან, მრავალრიცხოვან და ელიტურ უჯრედს წარმოადგენდა. მოკლედ, 1923 წლიდან ლენინის სიკვდილს ყველა ელოდებოდა, რადგან ეს გარდაუვალი ჩანდა.

**— სტალინი, რომელიც 1922 წლიდან პარტიის გენერალური მდივანი იყო, 1923 წლის მდგომარეობით, ლენინის შემცვლელად არ განიხილებოდა?**

— არა, არ განიხილებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტალინი გულხელდაკრეფილი იჯდა და ელოდა, როდის მოვიდოდნენ ხელისუფლების სათავეში **ტროცკი და ზინოვიევი**. 1923 წელს ძირითადი კონკურენცია გაჩაღებული იყო **ტროცკისა და ზინოვიევს** შორის, რომლებიც, სხვათაშორის, ნათესავები იყვნენ. 1923 წელს **ტროცკიც** და **ზინოვიევიც** გულისფანცქალით ელოდნენ საბჭოთა რევოლუციას გერმანიაში, რათა გერმანია საბჭოთა კავშირში მიეღოთ. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი რეალურად სწორედ გერმანიისთვის შეიქმნა. ამბიციური და უდიდესი თვითმყოფადი კულტურისა და ისტორიის მქონე გერმანია რუსეთში შესვლას, ცხადია, არ დასთანხმდებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში გაწევრიანებაზე უარს არ იტყოდა, რაზეც გერმანელი კომუნისტები **ტროცკისთან, ლენინთან და ზინოვიევთან** შეთანხმებული იყვნენ.

იგივე პროცესები მიდიოდა ქემალისტურ თურქეთშიც, რომლის გასაწითლებლადაც კრემლი ძალ-ღონეს არ იშურებდა. მოკლედ, რუსების ყურადღება მაშინ სწორედ გერმანიისკენ გახლდათ მიპყრობილი. ამიტომ იყო, რომ 1920 წელს, როცა **ტროცკიმ და ტუხაჩევსკიმ** პოლონელებთან ჩაისვარეს, კრემლში ეს დიდად არც უდარდიათ და 1921 წელს პოლონეთთან შეთანხმებაც კი გააფორმეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის მოქცეული პოლონეთი ვერსად გაექცეოდათ და, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაწითლდებოდა! ამიტომაც ვამბობ, რომ 1921 წლის 22-23 თებერვალს **ნოე ჟორდანიას** ცოტა მეტი ვაჟკაცობა რომ გამოეჩინა და წარმატებული კონტრშეტევის მიუხედავად, თბილისი არ დაეტოვებინა, შესაძლოა, ჩვენ მაშინ ბოლშევიკურ ოკუპაციას გადავრჩენილიყავით.

**პირდაპირ გეტყვით, საქართველოს გაწითლება თავიდან ბოლომდე ქართველი ბოლშევიკების კისერზეა, თორემ რუსებს მაშინ საქართველოს თავი არ ჰქონდათ.** რუსეთისთვის იმ დროს პრიორიტეტი არ იყო საქართველოს დაპყრობა, არამედ გერმანიაში რევოლუციის მოწყობა, რისთვისაც ბერლინში მივლინებული ჰყავდათ **ალექსეი რიკოვი** და სხვა ინსტრუქტორები. 1919 წელს ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნამ, ხოლო 1923 წელს — რევოლუციამ საქსონიაში, **ტროცკისა და ზინოვიევს** გაუჩინათ ცრუ იმედები იმის შესახებ, რომ გერმანიის სოვეტიზაცია დღეს თუ ხვალ აუცილებლად მოხდებოდა.

**— სტალინს გერმანიის გასაბჭოების შესახებ რა პოზიციები ეჭირა?**

— სტალინი გერმანიის გასაბჭოებას ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდა. ამიტომ, როცა 1923 წელს საქსონიის რევოლუციამ ჩაილურის წყალი დალია და გერმანია ვერ გაწითლდა, ამან სტალინის ავტორიტეტი ბოლშევიკების ელიტაში ძალიან გაზარდა. საერთოდ, 1922-1930 წლებში სტალინის სტრატეგია მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ მიზნის მისაღწევად იგი ხშირად იცვლიდა პოზიცებს და სიტუაციის მიხედვით ცვლიდა ლოზუნგებსაც. სტალინისთვის უცხო იყო რევოლუციური ფანატიზმი, რამაც ტროცკი დაღუპა. სტალინმა დაინახა, რომ აბსოლუტურად მიგდებული იყო ადმინისტრაციული სფერო, ბიუროკრატია და პარტიული რგოლები, რასაც ტროცკი და ზინოვიევი ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ, რადგან თავი ღმერთებად წარმოედგინათ.

1922 წლის აპრილიდან, რაც პარტიის გენერალური მდივანი გახდა, **სტალინი** ყველაფერს აკეთებდა, რათა უზარმაზარი სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი და ადგილობრივი პარტიული ორგანოები ხელში ჩა-

**ისტორიკოსის თვალით ★**

## სვიმონ მასხარაშვილი:

# დღეს რომ ლენინი მავზოლეუმში წევს, მხოლოდ და მხოლოდ სტალინის დამსახურებაა, რადგან ეს მხოლოდ მას აწყობდა!







**„სტალინმა ლენინის კანონიზაცია და, ფაქტობრივად, წმინდანად გამოცხადება მოახდინა, როცა გარდაცვლილი ილიჩი სწორედ მისი ბრძანებით არ დაკრძალეს!“**

ეგდო. ლენინმა, როგორც ძალაუფლების ხელში აღების ტექნოლოგმა, ეს კარგად დაინახა, როგორც კი 1922 წლის შემოდგომაზე გონს მოვიდა და მაშინვე განგაში გამოაცხადა, მაგრამ ტროცკიმ, როგორც ბეცმა პოლიტიკოსმა, ეს საფრთხე ვერ იგრძნო. ამიტომაც იყო, რომ 1922 წლის შემოდგომაზე კრემლში სტალინის ერთადერთი მტერი ლენინი იყო, რომელმაც სტალინის წინააღმდეგ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები შემოიკრიბა.

მოკლედ, სტალინს მაშინ ღმერთი დაეხმარა, რადგან 1923 წლის დასაწყისში ლენინი საბოლოოდ გაითიშა და მისი ცნობილი მოწოდება — „წერილი ყრილობას“ — სტალინმა მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ გააცნო ბოლშევიკებს, როცა პოლიტიკური სიტუაცია აბსოლუტურად შეცვლილი იყო და ქვეყანა სხვა რეალობაში ცხოვრობდა. აი, ასეთ ვითარებაში, როცა ლენინი, ფაქტობრივად, ამ ქვეყანაზე აღარ იყო, სტალინმა ორ მთავარ კონკურენტს — **ტროცკისა და ზინოვიევს** — დაუპირისპირა მომაკვდავი ლენინის სახელი, როცა საქვეყნოდ განაცხადა — **ლენინი და მისი საქმე უკვდავია!**

**— ამით სტალინმა რას მიაღწია?**

— ამით სტალინმა 1925-1926 წლებში ლენინგრადის საბჭოდან — **გერშელ ზინოვიევი,** ხოლო მოსკოვის საბჭოდან **ლევ კამენევი** დაიფრინა. ყველაზე მთავარი — ლენინის სიკვდილის შემდეგ, 1925 წლის იანვარში, სტალინმა წითელი არმიის ხელმძღვანელობასა და სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეობას ჩამოაშორა **ტროცკი** და მის ნაცვლად დანიშნა **მიხეილ ფრუნზე.**

**— ტროცკის თანამდებობის დაკარგვა არ გაუპროტესტებია?**

— არ გაუპროტესტებია, რადგან პოლიტბიუროს წევრად მაინც დარჩა და სახალხო მეურნეობას ჩაუდგა სათავეში. და, საერთოდ, **ტროცკი და ზინოვიევი** „მსოფლიო რევოლუციის“ აკვიატებულ იდეას არ ღალატობდნენ და ყოფილ რუსეთის იმპერიას კომუნისტური გერმანიის ენერგო და წიაღისეული რესურსების სივრცედ განიხილავდნენ. **ისინი ფიქრობდნენ, რომ გერმანიის გაწითლებისა და საბჭოთა კავშირში გაწევრიანების გარეშე საბჭოთა კავშირი დაიღუპებოდა.** მათგან განსხვავებით, სტალინი მიიჩნევდა, რომ, თუ გერმანია ვერ გაწითლდებოდა, ეს არ იქნებოდა ტრაგედია, საბჭოთა კავშირს დამოუკიდებელი ეკონომიკა უნდა ჰქონოდა და მიბმული არ უნდა ყოფილიყო გერმანიის ან რომელიმე სხვა უცხო ქვეყნის ეკონომიკაზე. მოკლედ, 1923-1924 წლებში სტალინი სამი მიმართულებით მოქმედებდა — 1. გამოხატავდა აბსოლუტურ სკეფსისს გერმანიის გასაბჭოების მიმართ და ამტკიცებდა, რომ **საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირშიც კი წარმატებული იქნებოდა;** 2. სტალინმა ლენინის კანონიზაცია და, ფაქტობრივად, წმინდანად გამოცხადება მოახდინა, როცა 1924 წლის იანვარში გარდაცვლილი ილიჩი სწორედ მისი ბრძანებით არ დაკრძალეს; 3. სტალინმა ხელში ჩაიგდო მთელი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი!

**— ლენინის არდაკრძალვა მხოლოდ სტალინის ინიციატივა იყო?**

— რა თქმა უნდა! ყველა შოკში ჩავარდა, როცა, სტალინის ბრძანებით, ლენინს მუმიფიცირება ჩაუტარეს და როგორც ფარაონი, ერთ დღეში აგებულ ხის მავზოლეუმში შეასვენეს!

**— კომუნისტურმა რეჟიმმა საზოგადოებას ეს ფაქტი როგორ აუხსნა?**

— თუ გადავხედავთ გაზეთ „პრავდის“ მაშინდელ ნომრებს, დავინახავთ ამ საშინელი და უცნაური მოვლენის ასეთ ახსნას — ლენინი, როგორც „რევოლუციის წმინდანი“, ისე უნდა ყოფილიყო შენახული, რომ მისთვის თაყვანი ეცათ! მთელი ეს ცერემონიალი არ ეწინააღმდეგებოდა ფანატიკოსი ქრისტიანების, ანუ რუსი სტაროვერების რწმენას, რომლებიც მაშინდელი პოლიტიკური ელიტის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ადრე ჩვენ ვთქვით, რომ **კლიმენტი ვოროშილოვით, ნიკოლაი ბულგანინით, გიორგი მალენკოვითა** და სხვა ლიდერებით დაწყებული, ბოლშევიკი ლიდერების ოთხმოცი პროცენტი სწორედ სტაროვერი, ანუ „რუსი ჰუგენოტი“ იყო... აღარაფერს ვამბობთ **ბუჩკოვზე, ნაბოკოვზე, ტრეტიაკოვსა და ალექსეევზე,** რომლებიც თებერვლის რევოლუციის სათავეში იდგნენ.

**— როცა ლენინი მოსკოვის მახლობლად გორკაში მკურნალობდა, სტალინის ბრძანებით, ლენინისთვის მხოლოდ „პრავდის“ ერთი, განსაკუთრებული ეგზემპლარი იბეჭდებოდა?**

— კი, ბატონო, ამის შესახებ აქტიურად საუბრობენ! გარდა ამისა, სტალინი ლენინს აკონტროლებდა მდივანი ქალის — **ლიდია ფოტიევას** საშუალებით. პარალელურად მისთვის მიჩენილი ჰყავდა თავისი მეორე ცოლი **ნადეჟდა ალილუევაც.** მოდით, სიმართლე ვთქვათ — ლენინი ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, შესაძლოა, ისედაც დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქვეყანა ერთი განცხადებით საბოლოოდ მოესპო. ამიტომ აუცილებელი გახლდათ ლენინის კონტროლი, რასაც სტალინი თავისი მოკავშირეების წყალობით წარმატებით ახერხებდა.

**— ფოტიევა და ალილუევა რომ ლენინთან სტალინის სასარგებლოდ მუშაობდნენ, ამას ტროცკი და ზინოვიევი ვერ ხვდებოდნენ?**

— 1923 წლიდან არც ტროცკისა და არც ზინოვიევისთვის ლენინი არავითარ ავტორიტეტს აღარ წარმოადგენდა. ერთადერთი, რასაც მაშინ **ტროცკი და ზინოვიევი** შესაძლოა, შეწინააღმდეგებოდნენ, ლენინის აპოლოგიზაციისა და გაწმინდანების პროცესი იყო, რაც სტალინმა დაიწყო!

**— მერედა, ამას არ შეეწინააღმდეგნენ?**

— რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მათ გარკვეული მცდელობები ჰქონდათ, რაც სტალინმა შემდეგ გამოიყენა და თითოეული მათი განცხადება **ტროცკისა და ზინოვიევის** ჩასაძირად აამუშავა. სტალინმა ყველა დაარწმუნა, რომ **ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა, რიკოვმა, ბუხარინმა** და სხვა ოპონენტებმა უკვდავი ლენინის წმინდა გზასა და გენერალურ ხაზს უღალატეს!

**— ანუ რა გამოდის, დღეს რომ ლენინი მავზოლეუმში წევს, ეს მხოლოდ და მხოლოდ სტალინის დამსახურებაა?**

— დიახ, დღეს რომ ლენინი მავზოლეუმში წევს, მხოლოდ და მხოლოდ სტალინის დამსახურებაა, რადგან ეს მხოლოდ მას აწყობდა. ამით სტალინმა თავისი ნაკლებად ცნობადობა დააკომპენსირა. სანამ გაზეთ „პრავდის“ მთავარ რედაქტორად **ლევ მეხლისი** არ დაინიშნა, მანამდე სტალინი უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის მოსახლეობისთვის ნაკლებად ცნობილ ლიდერად რჩებოდა და მასზე უფრო **ტროცკისა და ზინოვიევს** იცნობდნენ. სწორედ მეხლისმა დაიწყო „პრავდაში“ სტალინის მიზანმიმართული პიარი, რასაც სულ მალე შთამბეჭდავი შედეგები მოჰყვა და სტალინის რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ 1926 წლიდან სტალინს ხელისუფლება ერთპიროვნულად ეჭირა, **ალექსეი რიკოვს, ნიკოლაი ბუხარინს, ლევ კამენევს, გერშელ ზინოვიევსა და ლევ ტროცკის,** რომელიც პოლიტიკურ პენსიაზე იყო გაშვებული, ხალხი უფრო მეტად იცნობდა, ვიდრე სტალინს!

**— კი მაგრამ, ტროცკი და ზინოვიევი სტალინს რატომ ვერ მოერივნენ?**

— სტალინმა დიდი პოლიტიკური თამაში ფილიგრანული სიზუსტით ითამაშა და 1923 წლის მიწურულიდან, იმის პარალელურად, რაც მომაკვდავი ლენინის გაწმინდანების პროცესი დაიწყო, **გერშელ ზინოვიევში** ლიდერული ამბიციებისა და პირველკაცობის ზრახვების გაძლიერებას შეუწყო ხელი. კერძოდ, რაკი დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ **ტროცკის** ერთპიროვნული ძალაუფლება ეგდო ხელთ, სტალინი შეეკრა **ზინოვიევსა და კამენევს.** ამ გზით ის ცდილობდა **ტროცკის** ამბიციების დაბალანსებას. 1924 წლის 21 იანვარს, როცა ლენინი მოკვდა, ტროცკი გაგრაში იმყოფებოდა და სანამ მოსკოვში ჩავიდა, ბელადის მუმიფიცირება მოხდა და მის ცხედართან ფიციც დაიდო. დაფიცების რიტუალს ტროცკი არ დასწრებია, ამიტომ ხელმეორედ დაფიცება უკვე აღარ მოხდა. სწორედ ასე ტექნიკურად ჩაანაცვლა სტალინმა ტროცკი **ფრუნზეთი,** რასაც ზინოვიევმა და კამენევმაც დაუჭირეს მხარი.

მოკლედ, 1925 წლის მდგომარეობით, სტალინს დაწყებული ჰქონდა ლენინის გაკერპების პროცესი; **კამენევს, ზინოვიევსა და ტროცკის შორის ჩაგდებული ჰქონდა დიდი განხეთქილება;** პარტიული ბიუროკრატიისა და ხელმძღვანელობის 90 პროცენტს აკონტროლებდა სტალინი; ტროცკი ჩანაცვლებული ჰყავდა ფრუნზეთი და პარტიის გენერალურ ხაზად გამოცხადებული იყო არა გერმანიის გასაბჭოება, არამედ დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირის მძლავრი ეკონომიკის შექმნა. **ამ ყველაფერმა საბოლოო ჯამში მოიტანა სტალინის ეპოქა, რომელმაც მოიგო მეორე მსოფლიო ომი და გამოიწვია დიადი აღმშენებლობა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




ლევ ტროცკი

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ კაგანოვიჩი სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრე იყო. ამავე დროს მისი ღვიძლი ძმა 1937 წელს უდანაშაულოდ იქნა რეპრესირებული, კაგანოვიჩი კი არაფრით გამოესარჩლა. გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ ამის შესახებ.



სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი, იაქოვლევი. 1935 წელი

**ლაზარ კაგანოვიჩი** (1893-1991) მართლაც **სტალინის** უახლოესი და უერთგულესი თანამოსაგრე იყო. ბელადის კიდევ ერთი უერთგულესი თანამოღვაწე **მოლოტოვი კაგანოვიჩზე** ამბობდა, რომ **„უფრო თავდადებული ადამიანი სტალინს არ ჰყოლია“.** ამასთან, აღვნიშნავთ, რომ **მოლოტოვი** და **კაგანოვიჩი** ერთმანეთს დიდად ვერ ეწყობოდნენ. მაგრამ ბელადს ორივე უკანასკნელ დღეებამდე ერთგულად ემსახურებოდა.

**სტალინი** ამას აფასებდა. და გასაკვირი არ არის, რომ **კაგანოვიჩს სტალინის** დროს ყველაზე მაღალი პარტიული და სახელმწიფო პოსტები ეკავა, ერთხანს კი პარტიაში, ფაქტობრივად, მეორე კაცი იყო. იმაზე, თუ როგორი ნდობით ეპყრობოდა **ბელადი კაგანოვიჩს,** ის ფაქტი მეტყველებს, რომ მას გამუდმებით ყველაზე რთულ უბნებზე აგზავნიდა. ორჯერ უკრაინის ხელმძღვანელად დანიშნა (ებრაელი — ქვეყანაში, სადაც ძლიერი ანტისემიტური განწყობა სუფევდა), მრავალი წელი **კაგანოვიჩი** მოსკოვს მესვეურობდა, მისი ხელმძღვანელობით აშენდა მოსკოვის მეტროპოლიტენი, მძლავრ თანამედროვე სისტემად გადაიქცა სარკინიგზო ტრანსპორტი და ა. შ. **კაგანოვიჩმა** თავი ომის წლებშიც გამოიჩინა. მაგალითად, ცნობილი დესანტი **„მცირე მიწაზე“,** რომელსაც **ბრეჟნევის** სახელს უკავშირებენ, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრის **კაგანოვიჩის** მიერ იყო ორგანიზებული.



ლაზარ კაგანოვიჩი



მიხეილ კაგანოვიჩი

ერთადერთი, რაც შეიძლება **ლაზარ კაგანოვიჩს** ვუსაყვედუროთ, ის არის, რომ მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივნის, შემდეგ კი უკრაინის ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობისას ყველანაირად აწინაურებდა **ნიკიტა ხრუშჩოვს,** რომელმაც შავი უმადურობით უპასუხა და პარტიიდან გარიცხა.

ახლა **ლაზარის** ძმაზე — **მიხეილ კაგანოვიჩზე** მოგახსენებთ. ისიც ძველი ბოლშევიკი იყო (ლაზარზე ადრე შევიდა პარტიაში), საბჭოთა იერარქიაში მასაც მაღალი პოსტები ეკავა, თუმცა, უმცროს ძმას ჩამორჩებოდა. **მიხეილი რამდენიმე წელი მუშაობდა ორჯონიკიძის მოადგილედ მძიმე მრეწველობის სახკომატში, 1935 წელს კი საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ჩაუდგა სათავეში. 1937 წელს მიხეილ კაგანოვიჩი** მთელი თავდაცვითი მრეწველობის სახკომია. **სტალინმა** სრული ნდობის ნიშნად ის სკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროში წევრობის კანდიდატად შეიყვანა. **1939 წლის დეკემბერში** თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზება მოხდა და **მ. კაგანოვიჩი** კვლავ საავიაციო მრეწველობას ჩაუდგა სათავეში.

რეპრესირებული, როგორც თქვენ წერთ, ის არ ყოფილა. მაგრამ **1940 წელს** შინსახკომმა **სტალინს** ვითომდა **მ. კაგანოვიჩის ტროცკისტებთან** და პარტიის სხვა მტრებთან კავშირში მამხილებელი მასალები წარუდგინა. **სტალინმა** ეს **ლაზარს** აცნობა, რომელიც იმ დროს, ფაქტობრივად, სკპ (ბ) ცკ-ის მეორე მდივანი იყო.

არც ის არის მართალი, რომ **ლ. კაგანოვიჩი** ძმას არ გამოესარჩლა. მან უთხრა **სტალინს,** რომ ეს ცილისწამება და სიცრუეა და მოითხოვა **მიხეილის** პირზე წაყენება იმ პროვოკატორებთან, რომლებიც მასზე ჩვენებას იძლეოდნენ. **სტალინი** დათანხმდა. ეს შეხვედრა **მალენკოვის** კაბინეტში უნდა მომხდარიყო **ბერიას** და **მიქოიანის** თანდასწრებით. დაპატიმრებულები მოიყვანეს. **მ. კაგანოვიჩიც** მოვიდა. ის მათ მაშინვე ლამის მუშტებით დაეძგერა. **მალენკოვმა** სთხოვა, მისაღებში გასულიყო და ცოტა **„გაგრილებულიყო“. მიხეილი** გავიდა. რამდენიმე წუთში კი სროლის ხმა გაისმა. **მიხეილ კაგანოვიჩმა თავი მოიკლა.** რევოლვერი თან ჰქონდა, თანაც ფიცხი კაცი იყო. და აი, მხოლოდ ამ საფუძველზე **მ. კაგანოვიჩი „ხალხის მტრებს“** მიათვალეს.

ომის შემდეგ **მიხეილ კაგანოვიჩის** „საქმე“ გადასინჯეს. შსს-ს მიერ ჩატარებულმა საარქივო დოკუმენტების შემოწმებამ აჩვენა, რომ **„მ. მ. კაგანოვიჩის სახელის გამტეხი მასალა ყოფილ შინსახკომში მახინჯი მეთოდებით მოიპოვეს და ცილისმწამებლურია“. ლ. კაგანოვიჩის** უფროსი ძმა რეაბილიტირებულ იქნა, მის ქვრივს პერსონალური პენსია დაენიშნა.

## მართალია თუ არა, რომ ე. წ. „მეგრელთა საქმე“ ბერიას ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად?



**რ უ ხ ა ძ ე**
**ნიკოლოზ მაქსიმეს ძე**

დიდი სამამულო ომის მონაწილე. ომის დროს ასრულებდა მთავრობის განსაკ. და სპეც. დავალებებს. თბილისის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი ("СМЕРШ"): 1943 19,04-1946 04,05. სსსრ სახ. უშიშროების მინისტრი: 1948-52.

გენერალ - მაიორი
1943

გენერალ - ლეიტენანტი
1945 29.08

სახელმწიფო უშიშროების
საპატიო თანამშრომელი
1946

ორდენი-**8** მედალი-**5**

1905 03.10 რუსთავი

1955 25.10 (დააპატიმრ. 1952 17.06, გარდაიც. გზაში, დახვრეტის განაჩენის გამოტანის შემდეგ)

### ლევან დოლიძის წიგნიდან „გენერლები საქართველოდან“

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე განსხვავებული აზრი არსებობს. ზოგიერთ წყაროში წაიკითხავთ, რომ **სტალინმა „მეგრელთა საქმე“ ბერიას** ჩამოშორების და ფიზიკური განადგურების მიზნითაც კი წამოიწყო. თითქოს მან უთხრა კიდეც სახელმწიფო უშიშროების მინისტრს იგნატიევს: **„დიდი მეგრელი ეძებეთ“.** მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, არასამეცნიერო ფანტასტიკის სფეროდანაა. ეს ვერსია არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება.

რას წარმოადგენდა **„მეგრელთა საქმე“** და როგორ წარმოიშვა ის?

საქართველოში უკანასკნელად დასვენებისას (1951 წლის ზაფხული-შემოდგომა) **ი. სტალინი** ბევრ ძველ ბოლშევიკს შეხვდა, რომლებიც ერთხმად შესჩიოდნენ **ბელადს რესპუბლიკაში ზოგიერთი მაღალი პარტიული ხელმძღვანელის წაქეზებით გამეფებულ მექრთამეობასა და ნათლიმამობაზე.** ამასთან ხშირად მეორდებოდა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მეორე მდივნის **მ. ბარამიას** გვარი.

იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში **სტალინმა** პოლიტბიუროზე დასვა საკითხი **„საქართველოს კომპარტიაში მდგომარეობის შესახებ“.** 9 ნოემბერს ცკ-მ შესაბამისი დადგენილება მიიღო. საქართველოში ხელმძღვანელობა შეიცვალა. პირველი მდივანი **ა. მგელაძე** გახდა. სხვა საკადრო ცვლილებებიც მოხდა. ბუნებრივია, **ბარამია** მოხსნეს. და ვინაიდან ის მართლაც მფარველობდა თავის მეგრელ თანამემამულეებს, საქართველოში **„ანტიმეგრული“** კამპანია დაიწყო. მაშინდელი უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობამ, **ბერიას** ძველი მოძულის — გენერალ **რუხაძის** მეთაურობით, **„მექრთამეობის საქმეს“ „მეგრელთა ანტიპარტიული ჯგუფის საქმედ“** შეუცვალა კვალიფიკაცია. რესპუბლიკას დაპატიმრებათა სერიამ გადაუარა. გამოძიება, რომელიც ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს, ანუ წამებას იყენებდა,









აკეთებს დასკვნას, რომ **„მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი ბარამიას მეთაურობით არ კმაყოფილდება მეგრული წარმოშობის მექრთამეთა მფარველობით. მას მიზნად აქვს დასახული პარტიულ და სახელმწიფო აპარატში უმნიშვნელოვანესი პოსტების ხელში ჩაგდება, კავშირს ამყარებს საზღვარგარეთ მენშევიკურ ცენტრებთან, მიისწრაფვის მეგრული ავტონომიის შექმნისაკენ, როგორც საქართველოსგან სამეგრელოს შემდგომი გამოყოფის პირველი ნაბიჯისკენ.“** რასაკვირველია, ეს ყველაფერი გენერალ **რუხაძის** დაავადებული ფანტაზიის ან, უფრო დასაშვებია, ბოროტი განზრახვის ნაყოფი იყო. ის ფაქტი, რომ სტალინმა პირადად მისცა **ბერიას** ამ საკითხის კურატორობის რწმუნება და გენერალი რუხაძე უშიშროების მინისტრის პოსტიდან გადააყენეს, **1952 წლის** აგვისტოში კი დააპატიმრეს, მოწმობს, რომ **სტალინს „მეგრელთა საქმის“** გაღვივებასთან კავშირი არ ჰქონია.

ბელადმა ამ საქმეში პირადად გარკვევა ვერ მოასწრო. მოგვიანებით ყველა დაპატიმრებული გაათავისუფლეს და რეაბილიტირებულყვეს.

ამ საქმეში ყველაზე პიკანტური ის არის, რომ **გენერალ-ლეიტენანტ ნ. რუხაძეს, ბერიას** თავგამოდებულ მოწინააღმდეგეს, რომელიც **1952-დან 1955 წლამდე პატიმრობაში იყო, 1955 წლის ოქტომბერში** თბილისში გამართულ პროცესზე დახვრეტა მიესაჯა, როგორც **„ხალხის მტერ ბერიას ბანდის წევრს“.** როდესაც სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ, **რუხაძეს** გული გაუსკდა და გარდაიცვალა.


2024 წლის 4 მარტი. №14-15 (250-251)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

**ამ ორიოდე კვირის წინათ ბერლინის კინოფესტივალზე შვედეთში მოღვაწე ვინმე ლევან აკინის მიერ გადაღებულმა ქართულენოვანმა სიბილწემ „გზაჯვარედინზე“ სოდომისტური ფილმების კონკურსში გაიმარჯვა და უმაღლესი შეფასება მიიღო. 5 წლით ადრე კი კანის კინოფესტივალზე ნაჩვენებმა იმავე რეჟისორის კიდევ ერთმა გარყვნილმა ფილმმა „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ბრიტანული „გარდიანის“ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და ქართული ცეკვის, ჩოხა-ახალუხისა და, საერთოდ, ყოველივე ეროვნულისა და ტრადიციულის შეურაცხმყოფელი ნამუშევარი წლის შედევრად შერაცხა.**

სხვათაშორის, მაშინ ქართული ნაციონალური ბალეტის **„სუხიშვილების“ ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა** ლევან აკინის ზემოხსენებული სოდომისტური სიბილწე გააპროტესტა და განაცხადა — **ქართულ ცეკვაში გეი არ არსებობსო!**

სამაგიეროდ, **მამუკა ხაზარაძე** არსებობს გეების, ლესბოსელების, შარვალჩახდილების, უკანალწამოხდილების, „უბორნიის“ პოეტებისა და ტუალეტის მჯღაბნელთათვის, რომლებსაც დიდი ხანია, წიგნების გამოცემას უფინანსებს და „საბას“ პრემიის სახით უზალთუნებს ატენის.

**ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა კარგად იცის, რომ წლებია, რაც ხაზარაძისა და მისი „უბორნიის“ ამ დამღუპველ პოლიტიკას ვამხელთ, მაგრამ საშველი არა და არ ჩანს.** ამ ბოლო დროს **მამუკა ხაზარაძემ** სოდომიის დაფინანსება და პროპაგანდირება ღიად, საერთაშორისო მასშტაბითაც დაიწყო და სწორედ ასე აღმოჩნდა ბერლინის კინოფესტივალის სექცია „პანორამაზე“ ლევან აკინის ზემოხსენებული გარყვნილი „ფილმი“ „გზაჯვარედინზე“, რომელიც შვედების, ფრანგების, დანიელების, თურქებისა და ქართველების ერთობლივი ნაცოდვილარია.

ქართველთა მხრიდან ამ მართლაცდა ფურთხით ნაკეთები სიმყრალის შექმნაში მონაწილეობდა კომპანია **„1991 პროდაქშენსი“,** რომელიც 2017 წელს **ნინო ჩიჩუამ** და **მამუკა ხაზარაძის ქალიშვილმა ანა ხაზარაძემ** დააფუძნეს. საგანგებო რელაციაში ისიც არის მითითებული, რომ **„ნინო ჩიჩუა და ანა ხაზარაძე ევროპული კოპროდუქციის საშუალებით ავითარებენ და აფინანსებენ ნიჭიერი რეჟისორების მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს!“**

სინამდვილეში სოდომიის პროპაგანდირებისა და ლევან აკინის უკან დგას **მამუკა ხაზარაძის ე.წ. „ფონდი“,** რომელიც წყეული „სოროსის ფონდის“ ერთ-ერთი სტრუქტურაა! საერთოდ, ხაზარაძის „თიბისი ბანკის“ პარტნიორთა შორის „სოროსის ფონდი“ მნიშვნელოვანი მოთამაშეა. აქედან გამომდინარე, **რასაც სოროსის ხროვა უბრძანებს, იმას გააკეთებს ხაზარ-ბაშიც.**

მოკლედ, მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც შევარდნაძესთან ერთად, 1992 წელს თაღლითური ორგანიზაცია **„სახალხო საინვესტიციო კორპორაცია“** შექმნა და ქართველი მეანაბრეები გაატყავა, თავისი სისხლი და ხორცი **ანა ხაზარაძე** ჯოჯოხეთის კუპრისთვის გაიმეტა და **ლევან აკინისა** და მისი გარყვნილი საქმეების თანამოზიარედ აქცია!

რაც შეეხება **ანა ხაზარაძისა და ლევან აკინის** ერთობლივ ნაგავს, „გზაჯვარედინის“ ოფიციალური სინოფსისი ასეთია:

*„პენსიაზე გასული მასწავლებელი, სახელად ლია, პირობას დებს, რომ გაარკვევს, თუ რა შეემთხვა მის დისშვილ თეკლას, რომელიც დიდი ხნის წინათ დაიკარგა. ლია მეზობელი აჩისგან შეიტყობს, რომ შესაძლებელია, თეკლა თურქეთში იმყოფებოდეს. თეკლას საძებნელად ლია აჩისთან ერთად სტამბოლში მიემგზავრება. ულამაზესი კონსტანტინოპოლი, ანუ სტამბოლი სავსეა ახალი ურთიერთობებითა და შესაძლებლობებით, მაგრამ იმ ადამიანის პოვნა, ვისაც არასდროს სდომებია ვინმეს ეპოვა, ბევრად რთული აღმოჩნდება, ვიდრე ეს ლიას და აჩის ეგონათ. სირთულეები გრძელდება, ვიდრე ისინი* ***ტრანსი ადამიანების*** *უფლებებისთვის მებრძოლ* ***ადვოკატ ევრიმს*** *არ შეხვდებიან.* ***ლია აჩისთან ერთად გზას იკვლევს სტამბოლის ქუჩებში, თეკლა კი უფრო და უფრო უახლოვდება თუ შორდება მათ...“***

მარტივად და გასაგებად თუ ვიტყვით, **მთელი ფილმი გარყვნილი ადამიანების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ტრანსსექსუალების აპოლოგიაა იმდენად, რამდენადაც ხაზარაძე-აკინის კინოგმირი თეკლა, რომელსაც დაეძებენ, სწორედ ტრანსსექსუალია!**

როგორც მარწმუნებენ, ლევან აკინი უნიჭო პლაგიატორია. კერძოდ, „გზაჯვარედინის“ სიუჟეტი, დიდი ალბათობით, მოპარულია გერმანიაში მოღვაწე ერთ-ერთი წარმატებული თურქი რეჟისორის **ფატიხ აკინის** ფილმიდან, რომელსაც „სამოთხის ზღვარზე“ ჰქვია. როგორც ჩანს, **ლევან აკინსა და ფატიხ აკინს** მხოლოდ გვარი არ აერთიანებთ და მათ ფარულ თუ გაცხადებულ სიმბიოზს სოდომური ინიციაციებიც კვებავს. **ლევან აკინის** მსგავსად, **ფატიხ აკინის** ფილმშიც მოთხრობილია გარყვნილ ურთიერთობებზე და მთავარ როლს თამაშობს გერმანული კინოს ცნობილი ვარსკვლავი **ჰანა შიგულა.** ეს ქალბატონი ცნობილია, როგორც ფასბინდერის მსახიობი... **რაინერ ვერნერ ფასბინდერი** გერმანელი ჰომოსექსუალი კინორეჟისორი იყო, რომელმაც თავისი გარყვნილი სკანდალებით მსოფლიო აალაპარაკა.

იმ თურქი რეჟისორის ფილმში **ჰანა შიგულა** ასაკოვანი დედის როლს თამაშობს, რომელიც ლესბოსელი შვილის მოსაძებნად შვილის მეგობარ ბიჭთან ერთად სწორედ სტამბოლში მიდის.

ვფიქრობთ, სტამბოლში დიდი ამბები ხდება... ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეა **ფატიხ აკინისა და ლევან აკინის** სოდომ-გომორულ ფილმებში, რადგან მათი გმირები — გერმანელი ლესბოსელები და ქართველი ტრანსსექსუალები — მაინცდამაინც ძველთაძველ კონსტანტინოპოლში უჩინარდებიან, სადაც მერე ახლობლები დაეძებენ! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ვურჩევთ მამუკა ხაზარაძეს, გიტარისტობის, მომღერლობის, მევახშეობის, თაღლითობისა და „გონშჩიკობის“ კვალდაკვალ აუცილებლად დაკავდეს ლევან აკინის ან ფატიხ აკინის რომელიმე გარყვნილ ფილმში და სტამბოლის ტრანსსექსუალთა ან ლესბოსელთა ჰარემში საარჩევნოდ მაინც გაუჩინარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზარ-ბაშსა და მთელ „ლელოს“ საშინელი იმედგაცრუება ელით!**

ბუნებრივია, ხაზარაძის მიერ დაფინანსებული გარყვნილი ფილმების პუნქტობრივი განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ ერთ მარტივ შეკითხვას აუცილებლად დავსვამთ — ხუთი შვილის მამა გარყვნილებას რატომ აფინანსებს და საშინელი სოდომიის პროპაგანდირებაში საკუთარი ქალიშვილი რატომ ჩაითრია?

***დიტო ჩუბინიძე***

**მამუკა ხაზარაძის ქალიშვილის ანა ხაზარაძის საპროდიუსერო კომპანიის მიერ გადაღებულმა ფილმმა ბერლინში ლგბტ ჯილდო მოიპოვა**






**ანა ხაზარაძე**

# მამუკა ხაზარაძემ შვილი ჯოჯოხეთის კუპრისათვის გაიმეტა!




## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილს** ლიდერად არცერთი პარტია არ დაიყენებს. **როდის ყოფილა სალომე გამაერთიანებელი?** ყოველთვის უჭირდა გუნდთან მუშაობა. **„ლელო“** შევა **ზურაბიშვილის** შექმნილ პარტიაში, **გახარია** თუ **„გირჩი“?**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



ხალხი პარლამენტში **საკუთარი ბიზნესის „დაკრიშვისთვის“** შედის. ჩვენი საზოგადოების 99 პროცენტი **„ქართულ-ჯიგრული პონტის“** განწყობით ცხოვრობს.

„ახალი თაობა“

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*



ნატოში **საქართველოს დაჩქარებული მიღების** მოლოდინი არ მაქვს.

„ახალი თაობა“

**კეტრე მამაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ნიკა მელიამ** როდესაც ე.წ. სამაჯური ხალხში გადააგდო, მთელმა დასავლურმა მედიამ გააშუქა, **როგორც უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავება.** მაშინ, რა თქმა უნდა, ამ მოვლენამ **სააკაშვილი** გადაფარა, რაც ვერ აიტანა და გადაწყვიტა, **მელია პოლიტიკიდან წაეშალა, რასაც მიაღწია** კიდეც. **ნიკა მელია** იყო ადრესატი ფრაზის — **ვინც ბოკერიას გზას გაუდგება, განულდებაო.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი*



„ქართულ ოცნებაზე“ შეიძლება, მზე და მთვარე არ ამოგვდიოდეს, მაგრამ, **რასაც აკეთებენ მშვიდობის შესანარჩუნებლად,** ეს არ უნდა დავუკარგოთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

***რამდენიმე დღის წინათ ჟურნალისტმა ნინო ჯღარკავამ, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, ღია წერილით მიმართა ბიძინა ივანიშვილს. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული უსტარის მიზეზი ციხის ჯალათის გაგა მკურნალიძის სახლში გადაღებული კადრები გახლდათ, სადაც „ოცნებისა“ და ნაციონალების მხარდამჭერები შეხმატკბილებულად მღერიან:***



## ნინო ჯღარკავა:

# თავიდან ვიწყებ აქტიურ ბრძოლას ჯალათების წინააღმდეგ!

— ბიძინა ივანიშვილისთვის პირველად არ მიმიმართავს. ყოველთვის ვცდილობ, ხალხის ტკივილი მივაწვდინო. ეს გახლავთ ადამიანი, ვის გვერდითაც 2011 წელს ნახევარ საქართველოზე მეტი იდგა. მის გარეშე ვერავინ შეძლებდა რეჟიმის დამარცხებას, მისი გამოჩენა ერთადერთი და ბოლო იმედი იყო. ბიძინა ივანიშვილი დღესაც ძველებურად მეიმედება და ზუსტად ვიცი, რომ ამ წერილსაც მწვავე რეაგირება მოჰყვება.

**— დღეს რა არის თქვენი მთავარი გზავნილი?**

— 2024 მძიმე საარჩევნო წელია. მერე რა, რომ ოპოზიცია სუსტია და „ქართულ ოცნებას“ კონკურენტი არ ჰყავს?! **ახლა „ოცნების“ ერთგული ამომრჩევლების გულის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე მტრების გადმობირება.** ბიძინა ივანიშვილს ატყუებენ, როცა ეუბნებიან — ხალხი ბედნიერია, ამომრჩევლების რაოდენობა იზრდებაო... ხალხი ითმენს მშვიდობისათვის, ითმენს, რადგან უკეთესი პარტია არ არსებობს, მაგრამ აღარ მოითმენს ჯალათების გამილიონერებას. **„ოცნების“ მხარდამჭერები აბსოლუტურად სამართლიანად არიან აღშფოთებულნი იმის გამო, რომ გლდანის ციხის მწამებლის გაგა მკურნალიძის სასახლეში ერთიმეორის გვერდით მღერიან ნოდარ მელაძის შვილების დედა თეა ცეცხლაძე, კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე, „რუსთავი-2“-ის წამყვანები ნინო ჩხეიძე და არჩილ სოლოღაშვილი.**

პატიმრების წამებისთვის მხოლოდ 3 წელი მოიხადა **გაგა მკურნალიძემ** და იმის ნაცვლად, რომ ქვეყნიდან გადახვეწილიყო, თბილისში სასახლეები აიშენა, ძვირადღირებული მანქანების კოლექცია აქვს და სამშენებლო ბიზნესშია ჩართული. **დიახ, ეს ციხის ჯალათი დღეს იმაზე მეტ პატივშია, ვიდრე სააკაშვილის დროს იყო.** მერე ნუ გვიკვირს, **ნოდარ მელაძეს** საიდან აქვს ინფორმაციებიო? აი, აქედან, გვრიტებივით ერთად რომ სხედან ყველანი!

ქართველი ხალხი შიმშილსაც აიტანს და ბულინგსაც, მაგრამ ღირსების შელახვას არავის აპატიებს. **ბატონო ბიძინა, თქვენ ხართ ის ადამიანი, ვის გამოც ბევრი ავიტანეთ და კიდევ ბევრს ავიტანთ, მაგრამ ნუ დაგვასვამთ თავზე ჯალათებს!** არ არის ეს არჩევნები ადვილად მოსაგები! **მე, ყველაზე ერთგული მხარდამჭერი რომ გეტყვით, თავიდან ვიწყებ ბრძოლას ჯალათებთან-მეთქი, ეს უკვე სიგნალია!**

რაც არ უნდა ვთქვათ, ოპოზიციური მუხტის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ციხის კადრებით მოვიდა. ციხის კადრებმა შეარყია ქვეყანა და მე ამ ყველაფრის მონაწილე ვარ. **იმ პერიოდში ტელეკომპანია „ობიექტივში“ ვმუშაობდი, პირდაპირ ეთერში ვამხელდი ჯალათებს, რაც ჩემი მხრიდან ძალიან დიდი რისკი იყო.**

აღშფოთებას ვერ ვმალავ, როცა ცნობილი მწამებელი და ჯალათი, ვის კისერზეც იყო სისხლიანი კარანტინი და, წესით, ციხიდან გამოსვლის შემდეგ თავჩაღუნულს უნდა ეარა, დღეს მილიონერია და სრულ განცხრომაშია ჩაფლული. სამწუხაროდ, ეს „ოცნების“ პირობებში მოხდა. ვიდრე **გაგა მკურნალიძეს** დააკავებდნენ, მხოლოდ ერთი სახლი ებადა გოთუას ქუჩაზე, **დათა და ბაჩო ახალაიების** ჩვეულებრივი მონა იყო, ხელფასიც კი არ სჭირდებოდა პატიმრების საცემად.

**— თქვენი ინფორმაციით, რა ქონებას ფლობს დღეს გაგა მკურნალიძე?**

— ჯალათი **გაგა მკურნალიძის** სამშენებლო კომპანიას **„რესტარტი“** ჰქვია, რომელიც, ვინმე **ბელა გაბელიას** სახელზეა რეგისტრირებული. 2023 წელს ფარნავაზის ქუჩაზე შეიძინა სასახლე, რომელიც სიდედრის **ეთერ ცქიფურიშვილის** სახელზე გააფორმა, აქვს სხვა ქონებებიც — ზოგიც ცოლის, ზოგიც დის ქმრის სახელზე, დადის 8 მანქანითა და დაცვით... „რესტარტის“ ოფისში თავად ზის და ხვდება ინვესტორებსა თუ კლიენტებს. ჰყავს შუამავალი, ვინც ულაგებს პროექტებს. ეს არის სრული სიმართლე, იმედი მაქვს, დანარჩენით ზემდგომი ორგანოები დაინტერესდებიან. მე ყველა ინფორმაცია მაქვს მიწოდებული იქ, სადაც საჭიროა. **მოვითხოვ, დაისაჯონ ისინი, ვინც ეს ჯალათი ბიზნესმენად აქცია!**

**— შეგიძლიათ, მათი გვარები დაასახელოთ?**

— გვარებს ამ ეტაპზე ვერ დავასახელებ, მაგრამ ერთს გეტყვით — **ეს ყველაფერი არის უკვე ბიძინა ივანიშვილის ყურამდე მისული.** ჩემი წერილით მოვახერხე მისი დაინტერესება და ველოდები შედეგს. **დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი ყველას მიუჩენს თავის ადგილს.** თუმცა, არ ვიცი, რა ვთქვა იმ უტიფარ მომღერლებზე, ჯალათ მკურნალიძის სახლში რომ გუგუნებდნენ. იმის ნაცვლად რომ ბოდიში მოიხადონ, მესიჯს მესიჯებზე უგზავნიან თანამდებობის პირებსა და პარლამენტარებს — **ნინო ჯღარკავამ პოსტები წაშალოსო.** ეს უკვე აღარაფერში ჯდება.

რა დამსახურებისთვის ზის „რუსთავი-2“-ის ეთერში **ნინო ჩხეიძე,** გაგა მკურნალიძის ფეშენ ვილაში თეთრ კიბეზე შემხტარი რომ უბღაოდა ჯალათ-მწამებელს?! ჟურნალისტია, ვიტნი ჰიუსტონის ხმა აქვს თუ რა? ან იქნებ, მე ვიყავი ვანო მერაბიშვილის „ფავორიტკა“ ჯილა გოგო?! გამოაბრძანონ „რუსთავი-2“-დან დროზე და გაგა მკურნალიძის ჯიბის ტელევიზიაში იბღავლოს **არჩილ სოლოღაშვილთან** ერთად. თავზე არავის დავისვამთ, მორჩა!

არ დაგიმალავთ, ძალიან მწყდება გული **ხათუნა ჟორდანიაზე,** მეტიც, შოკის მომგვრელი იყო კადრებში მისი ხილვა.

ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ვერავინ დამაჯერებს, რომ ის ძალით წაიყვანეს **ჯალათ მკურნალიძის** სახლში. მესმის, რომ **გაგა მკურნალიძის** მეუღლე არის მათი ახლობელი. სხვათაშორის, როგორც ამბობენ, ძალიან კარგი, ჭკვიანი და პატივცემული ადამიანია. ციხიდან გამოსვლის შემდეგ შეიძინა მან მილიონებიც და მეუღლეც, მაგრამ ეს ვერ გადაფარავს ჯალათი მკურნალიძის გამილიონერების ფაქტს და მის სახლში მომღერალი ადამიანების სირცხვილს. კარგი იქნება, თუ განმარტებებს გააკეთებენ იქ მსხდომი ადამიანები, მათ შორის, **რუსა მორჩილაძეც,** რომელიც მერიაშია დასაქმებული.

**— ამ ადამიანებმა შეიძლება თქვან — გაგა მკურნალიძის მეუღლესთან ვმეგობრობთ და რა შუაშია პოლიტიკაო?!**

— გაგა მკურნალიძე პოლიტიკოსი კი არა, ჯალათია, ხალხნო! ვიღაც „გივი სიკინჭილაშვილი“ არ არის, ნაციონალობის გამო რომ არ უნდა დაისაჯოს! მას ბრალი ჰქონდა წაყენებული პატიმრების არაადამიანური წამების გამო. როდესაც ამ ადამიანის ოჯახში მიდიხარ და მერე ყვირიხარ — **არა მიშას,** ეს ერთმანეთში ვერ თავსდება. **რა უნდა მოხდეს, რომ მე მეზის ქარდავას ოჯახში აღმოვჩნდე, რაც არ უნდა ახლობელი იდგეს ჩვენ შორის?! არის რამდენიმე ადამიანი, რომელთან მიკარებაც კი სირცხვილია!**

ძალიან მიჭირს 2012 წლის ამბების გახსენება, მაგრამ, ეტყობა, ხშირად უნდა ვწეროთ, რომ მავანი მიხვდეს — არ დავნებდებით! **მე თავიდან ვიწყებ აქტიურ ბრძოლას ჯალათების წინააღმდეგ. ამოვიღებ არქივებს. შევხვდები იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთან გადაცემაში კონკრეტულ ფაქტებს ჰყვებოდნენ.** ბევრს ვამხელ კიდევ. მარტო **გაგა მკურნალიძე** არ არის დღეს თავისუფალი და ბიზნესით დაკავებული. მოვიკითხავ სხვა ჯალათებსაც, მაგალითად **მუხაძეს,** რომელსაც დაუსწრებლად აქვს მისჯილი და არ არის საქართველოში. შევისწავლი სხვა ადამიანების ქონებებსაც. **ძალიან საინტერესოა, რა ავლადიდება დააგროვა ნოდარ მელაძემ თავისი საქმიანობით — შანტაჟით და ა.შ.?!** მადლიერი ვიქნები მათი, ვინც მომაწოდებს ინფორმაციებს ნაცჯალათების სახლებზე, ქონებებზე, ვინ ვისთან და როგორ „დაალაგა“, ვინ რა ქონება დააგროვა „ოცნების“ პირობებში... დიახ, ყველას შევხვდები. ისევ წითელ ხიდზე უნდა დავაყენო მათი რიგები ჩემოდნებით. არ დავინდობ არავის, არც შინაურს და არც გარეულს!

ეს კამპანია ისევ „ოცნებას“ წაადგება. ჩემი არჩევანი იყო, არის და იქნება „ქართული ოცნება“. დიახ, მე სუბიექტური ვარ ამ შემთხვევაში. ჯობს, შეცდომებზე ხმამაღლა ითქვას, რათა პრობლემა მოგვარდეს. ისევ და ისევ გავიმეორებ — უნდა გამოვლინდნენ ის ადამიანები, რომლებიც ძირს უთხრიან „ქართულ ოცნებას“ და ეხმარებიან **გაგა მკურნალიძის მსგავს ჯალათებს** წარმატებულ ბიზნესმენებად ჩამოყალიბებაში.

**— არ გეშინიათ?**

— სრულიად უცნობი ადამიანებიც მეკითხებიან — ვისაც ამხელთ, ყველაფერზე წამსვლელები არიან, არ გეშინიათო? კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვამბობ — **არ მეშინია!** ჩემ გვერდით სიმართლეა და ჩემ უკან ჩემი იმედი — **ბიძინა ივანიშვილი,** რომელიც, ეჭვი არ მეპარება, ყველა სიმართლის მთქმელ ადამიანს დაიცავს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„პატიმრების წამებისთვის მხოლოდ 3 წელი მოიხადა გაგა მკურნალიძემ და იმის ნაცვლად, რომ ქვეყნიდან გადახვეწილიყო, თბილისში სასახლეები აიშენა!“**



**ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და სამთავრობო ტელეარხების სახეები ციხის ჯალათის გაგა მკურნალიძის სახლში ილხენენ!**

## კვირგვინოსნები

**ცოტნე ანანიძე**
*ყოფილი პოლიტპატიმარი, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“*



ნაცების მცდელობაა, **„ნავალნად“** წარმოაჩინონ ადამიანი, რომელიც **წამებით კლავდა და იჭერდა ყველას, ვინც მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა,** ვინც თავისუფალ სიტყვას იცავდა, სამართლიანობას ითხოვდა, აპროტესტებდა თავისუფალი მედიასაშუალებების დახურვას. როგორ შეიძლება მიშას ე.წ. მართლმსაჯულება და ციხეები გახსოვდეს და ნავალნის ადარებდე?!

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჯაფარიძე**
*„დიდები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ დამფუძნებელი*



ყველა **სათამაშო დაწესებულებას** თავზე რომ აწერია **გასართობი ცენტრიო,** ამის აკრძალვა მაინც რა პრობლემაა? წლებია, ვითხოვთ **ყოველ ნაბიჯზე გადასარიცხი აპარატების აღებას,** მაგრამ ვერაფერს გავხდით. **ამ ბიზნესს რომ არ ჰყავდეს ძლიერი ლობი,** მერწმუნეთ, რეგულაციები აღსრულდებოდა.

„კვირის პალიტრა“

**გუგა ბასელია**
*„აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრის“ დამფუძნებელი*



**ქვეყანაში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი თამაშდამოკიდებულია.**

„ახალი თაობა“

*მე და ათიათასობით ჩემნაირ ადამიანს განგვიახლდა იარა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა მოგვაყენა! —* ***ეს განცხადება ცნობილი მამხილებელი ფილმის „ჰეროკრატიის“ ერთ-ერთმა გმირმა ალექსანდრე ახალკაცმა გაგა მკურნალიძის სახლში გადაღებული და ინტერნეტში გავრცელებული კადრების ნახვის შემდეგ გააკეთა.***




## ალექსანდრე ახალკაცი:

# გრცხვენოდეთ! ვისთან ქეიფობთ, მწამებელ გაგა მკურნალიძესთან?!




**— როდესაც სოციალურ ქსელში ვნახე კადრები, როგორ ქეიფობდნენ გაგა მკურნალიძის ოჯახში ჩვენი ბომონდის წევრები, მათ შორის, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, პირველი თქვენ გამახსენდით, რომელმაც სწორედ ამ ადამიანის მმართველობის დროს ციხეში საშინელი წამება გამოიარეთ...**

— პირველ რიგში, მადლობა მართალი სიტყვისთვის. ძალიან ბევრი ჩემი ახლობელი კითხულობს თქვენს გაზეთს და ხშირად მეუბნებიან, რომ სწორედ „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი ინტერვიუდან შეიტყვეს სიმართლე. კარგი იყო, **გაგა მკურნალიძეზე** არ გაგვხსენებოდით, მაგრამ რას ვიზამთ, სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი რეალობა.

მოდით, სიმართლე ვთქვათ: ვრენად, სასჯელი აღარ ეკუთვნის?!

2012 წლის მოწვევის პარლამენტმა დადო დასკვნა, რომ ციხეებში სისტემური დანაშაული ხდებოდა. ხელისუფლებაც სწორედ ციხის კადრების შემდეგ შეიცვალა და როგორ შეიძლება ამ სისტემის შემოქმედი ადამიანი მხოლოდ 3-4 წელი იჯდეს ციხეში?!

**— შეგიძლიათ, გაიხსენოთ კონკრეტულად რა დანაშაულს სჩადიოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი?**

— **გაგა მკურნალიძე** მხოლოდ **ბაჩო ახალაიას** ექვემდებარებოდა. მთელი ეს წამების სისტემა მასზე იდგა. თვითონ ნიშნავდა ციხის უფროსებს. წამების კადრები პირველად მასთან მიდიოდა. პირადადაც სცემ**დღეს რომ გაგა მკურნალიძე ასეთ განცხრომაშია, იმის ბრალია, რომ მხოლოდ სამი წელი და 6 თვე დაყო ციხეში.** ხშირად მითქვამს, მათ შორის, თქვენი გაზეთის მეშვეობითაც, რომ ამ დონის დამნაშავისთვის 3-წლიანი სასჯელის მოხდა ძალიან ცოტა იყო. დამიჯერეთ, გაგა მკურნალიძეს **მეზის ქარდავაზე** არანაკლები დანაშაული აქვს ჩადენილი, რაც კონკრეტული ფაქტებით დასტურდება. გასაგებია, რომ მან ჩვენებები მისცა **ადეიშვილის** და სხვათა წინააღმდეგ, მაგრამ მეგის ქარდავამ რომ დღეს ჩვენებები ჩამოარიგოს თავის დასაძდა და აწამებდა პატიმრებს. წარმოგიდგენიათ, რამხელა სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანის ტანჯვა?! არაერთხელ მოსულა **ხათუნა კალმახელიძესთან** ერთად გლდანის ციხეში სხვადასხვა მოთხოვნით. მისი ბრძანების შესრულების სანაცვლოდ ხან თავისუფლებას ჰპირდებოდა პატიმრებს, ხან — რას და ხან — რას. ამის შესახებ პროკურატურაშიც მაქვს ჩვენება მიცემული.

შემიძლია, ერთი ფაქტი გავიხსენო, რაც აქამდე არ მომიყოლია. როდესაც ქრონიკული ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებთან ერთად ქსნის დაწესებულებაში ვიმყოფებოდი, ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ შიდსით დაავადებული და ჯანმრთელი პატიმრების ნემსებს ერთად ხარშავდნენ და ანტიბიოტიკებს ისე გვიკეთებდნენ. ადამიანებს ანალიზის აღების ეშინოდათ, ყოველ მეორეს შიდსი უდასტურდებოდა. ყველა ნემსს ერთად რომ ხარშავდნენ, რას მიხვდებოდნენ, რომელი იყო შიდსიანის და რომელი — არა?! ამაზე პატიმრებმა პროტესტი გამოვთქვით, რაც მერე შიმშილობაში გადაიზარდა. ხვდებით, ალბათ, ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანები როგორ უნდა გამწარებულიყვნენ, რომ შიმშილობა დაეწყოთ. მათთვის ხომ ჰაერი, საჭმელი და წამალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია? შიმშილობიდან მესამე დღეს ჩვენს დასაშინებლად სპეცრაზმი შემოვიდა და 13 მოშიმშილე პატიმარი კარცერში გადაგვიყვანეს, თუმცა, მანამდე რამდენიმე საათი დაჩოქილი ვყავდით. წარმოიდგინეთ სურათი, სისხლის ტბაში ვიყავით დაჩოქილები და ველოდებოდით ვიღაცის მოსვლას, რომელიც, როგორც მერე შევიტყვეთ, **გაგა მკურნალიძე** იყო.



**— სისხლის ტბაში რატომ იყავით დაჩოქილები?**

— შიმშილობის დროს რამდენიმე პატიმარმა პროტესტის ნიშნად ბრიტვით დაისერა თავი. დიახ, ადამიანებს თავები ჰქონდათ დაჩეხილი და ადგილიდან არ ძრავდნენ, რადგან **გაგა მკურნალიძე** უნდა მოსულიყო. როცა ეს ბატონი გამოჩნდა, პირადად გვცემა ყველანი, წიხლებით შეგვდგა და მერე გადაგვიყვანეს კარცერში, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა საკონცენტრაციო ბანაკს. ეს იყო ჰააგის კონვენციის პირდაპირი დარღვევა. ადამიანები ვითომ სამკურნალოდ გადაჰყავდათ ტუბდისპანსერში, რეალურად კი აწამებდნენ! უამრავი ჯანმრთელი ადამიანიც გადაუყვანიათ იმისთვის, რომ ხალხის რაოდენობა შეევსოთ. მაშინ ნაძირალა **სანდრა რულოვსს** გაეროს მიერ აკრძალული ინდური მედიკამენტები შემოჰქონდა და დიდ ფულს შოულობდა. ერთია, რომ იმ წამლების მიღება არ შეიძლებოდა, მეორე — იმათაც ასმევდნენ აკრძალულ წამლებს, ვისაც ტუბერკულოზი საერთოდ არ სჭირდა.

**მახსოვს, 20 დღეზე მეტი ვიშიმშილეთ. ბოლოს იძულებული გახდნენ, ჩვენი პროტესტი დაეკმაყოფილებინათ, რადგან სიკვდილ-სიცოცხლის**

**ზღვარზე ვიყავით. სხვათაშორის, იმ 13 მოშიმშილიდან დღეს ორი თუ სამი კაცილა ვართ ცოცხალი!**

ძალიან მალე ჩემი წიგნის მეორე ნაწილი გამოვა — **„გამოცდა ხელბორკილით — დიდი ინკვიზიცია“,** რომელიც მთლიანად ტუბზონას მიეძღვნება, სადაც ნამდვილად დიდი ცოდვა ტრიალებდა.

**— სად იყო ამ დროს სახალხო დამცველი?**

— როდესაც სახალხო დამცველი მოვიდა ჩვენს მოსანახულებლად, გვითხრა — **გაგა მკურნალიძეს** დაუჯერეთ, ნუ აბრაზებთო. მთელი დანაშაულებრივი სქემა ამ ავაზაკის ხელში გადიოდა. სხვათაშორის, 2010 წლის 570-გვერდიან დასკვნაში მაშინდელმა სახალხო დამცველმა **გიორგი ტუღუშმაც** კი ვერ დამალა ფაქტები და **ხათუნა კალმახელიძის** პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. თქვენ წარმოგიდგენიათ, როგორი მძიმე მდგომარეობა იყო, რომ მამალი ნაციონალი **ტუღუშიც** კი ვერ გაექცა ფაქტებს?!

**ლევან პაჭკორია,** იგივე ნინძა, რომელიც ლოგინში სცემდა მომაკვდავ პატიმრებს, რომლებიც მის შესახვედრად საწოლიდან ვერ დგებოდნენ, დილით დაიბარეს პროკურატურაში და საღამოს გამოუშვეს. **ერთი დღითაც არ დაუჭერიათ!** ჩემს წიგნში **ლევან პაჭკორიაზეც** იქნება საუბარი, რომელიც მაშინ ტუბდისპანსერში რეჟიმის უფროსი იყო. თუ ცილს ვწამებ, ადგეს და მიჩივლოს!!!

**— ცნობილი კადრების გავრცელების შემდეგ გაგა მკურნალიძის მისამართით განსაკუთრებული ბილწსიტყვაობით გამოირჩეოდით. არ ჰქონია ამაზე რეაქცია?**

— **გაგა მკურნალიძეს** სპეციალურად ვაგინე სოციალურ ქსელში. იქნებ, მიჩივლოს-მეთქი! თანაც, არ დაგიმალავთ, ამ კადრებმა ჩემში ხელახლა გამოიწვია აგრესია, თვალწინ დამიდგა ყველა ის სისასტიკე, რაც რეჟიმის დროს გამოვიარე. **გულსატკენია, ასეთი ადამიანი დღეს ჩვენზე უკეთ რომ გრძნობს თავს** და „ბლატაობს“ კიდეც — „ოცნების“ დროს რომ ფული ვიშოვე, მიშას დროს ამის მეათედი არ მიშოვიაო... რატომაც არა, დეველოპერია დღეს კაცი, თავის მოყვარეებთან ერთად დიდ დიღომს აშენებს. სპორტის სასახლესთან ერთ-ერთი ბოლო ნებართვაც მათთვის გაიცა. მაშინ ხელფასზე იყო და ახალაიების ხელისბიჭი გახლდათ, ახლა ბიზნესმენია და ქართული „ელიტა“ მის სახლში დადის.

კიდევ უფრო გამაღიზიანებელია ის, რომ საზოგადოების წარჩინებული წევრები, რომლებიც ჩვენები გვეგონა, თურმე, **გაგა მკურნალიძის ოჯახში** ატარებენ დროს. არ მესმის, ადამიანები ასე როგორ უნდა შეიცვალონ?!

**— მხოლოდ ეს არის მათთვის თქვენი სათქმელი?**

— კიდევ მაქვს სათქმელი — **გრცხვენოდეთ! ვისთან ქეიფობთ, მწამებელ გაგა მკურნალიძესთან?! ყველას გეპატიჟებით სახლში. ნამუსი თუ გაქვთ, ჩემთანაც მოდით სტუმრად...**

**— ხელისუფლებას რას ეტყოდით?**

— ხელისუფლებას არა, მხოლოდ **ბიძინა ივანიშვილს** მივმართავდი, რომელსაც გვერდით ვედექი და კვლავ დავუდგები — **დააბრუნეთ ის ხალხი, ვინც 2011-2014 წლებში გვერდით გედგათ. ჩემს თავს არ ვგულისხმობ, მაგრამ სამართალი თუ არ აღსრულდა, ქვეყანა ფეხზე ვერასდროს დადგება!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

**ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და სამთავრობო ტელეარხების სახეები ციხის ჯალათის გაგა მკურნალიძის სახლში ილხენენ!**

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



**კრიმინალები პოლიტპატიმრებად „ქართულმა ოცნებამ“ აქცია!** ამნისტია სააკაშვილსაც უნდა შეეხოს!

„ახალი თაობა“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



**ივანიშვილის** პოლიტიკაში დაბრუნებაზე დასავლეთის რეაქციის არარსებობა **ნიშნავს შეთანხმებას.** ეს ნიშნავს, რომ **პოლიტიკაში მისი დაბრუნების პროგრამაც შეთანხმებულია.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციას, **გარდა გადატრიალებისა,** ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არა აქვს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა ოქრიაშვილი**
*პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერი*



**აზარაშვილის გადაყენება არასაკმარისია** — არამხოლოდ მე, არამედ მთელი ჯანდაცვა **ვითხოვთ მისი დანაშაულებრივი ქმედებების სიღრმისეულ გამოძიებას!**

„ინტერპრესნიუსი“




# შევარდნაძის საიდუმლო

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46–49, 51–52, 2024 წლის №1–10*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

**შევარდნაძე** თავად აღიარებს, რომ 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების მშვიდობიანად დასრულება და ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის გადარჩენა პირადად **ლეონიდ ბრეჟნევის** დამსახურებაც იყო:

> ***„ამ ამბის ასე მშვიდობიანად დამთავრება ბრეჟნევის პოზიციამაც განაპირობა — მისმა შემწყნარებლურმა დამოკიდებულებამ როგორც საკითხისადმი, ისე საქართველოსადმი და ჩემდამი, ამიტომ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ადამიანზე, ვინც ჩვიდმეტი წლის მანძილზე საბჭოთა ქვეყნის ლიდერი იყო“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 93).*

და მემუარისტი იხსენებს, როგორ შეხვდა 1974 წელს **ბრეჟნევს** ბიჭვინთაში, სადაც საბჭოთა კავშირის ლიდერმა საფრანგეთის პრეზიდენტს **პომპიდუს** უმასპინძლა, ასე ვთქვათ, საბჭოთა რივიერაზე:

> ***„ჯერ დაღამებული არ იყო. ბრეჟნევმა მითხრა, ცოტა გავისეირნოთო. ამ გასეირნებით ვისარგებლე და საუბრისას ერთი კითხვაც დავუსვი:*** *„ლეონიდ ილიჩ, რატომ არ გიყვართ ბიჭვინთა და რატომ არ ჩამოდიხართ აქ დასასვენებლად?“* ***სავსებით გულახდილად მიპასუხა:*** *„არ მიყვარს ბიჭვინთა, თუნდაც იმიტომ, რომ ხრუშჩოვის აშენებულია და თანაც, როგორ შეიძლებოდა ასეთ ადგილში, ნაძვნარში, თუნდაც ერთი ხის მოჭრა?“* ***მერე ცოტა ხანს საქართველოზე ვისაუბრეთ და ის დასასვენებლად წავიდა. მეორე დღეს ერთად გავაცილეთ პრეზიდენტი პომპიდუ, რომელიც იმ დროს უკვე, თურმე, უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. სულ მალე, პარიზში დაბრუნების შემდეგ, პომპიდუ გარდაიცვალა“*** *(იქვე, გვ. 94).*

შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს 1976 წლის ამბავს, როდესაც, როგორც საქართველოს პირველი კომუნისტი, მოსკოვში, კომპარტიის 25-ე ყრილობაზე, სიტყვით გამოვიდა. მისი თქმით, ეს გამოსვლა საბჭოთა კავშირის ბოსებსაც მოეწონათ...

ჰოდა, როგორც საბჭოთა კავშირის კომპარტიის ყრილობებზე ხდებოდა, უნდა დასახელებულიყო პოლიტბიუროს ახალი წევრები თუ კანდიდატები:

> ***„მეორე დღეს ჩემთან შესვენებაზე მოლდავეთის ცეკას მდივანი ბოდიული მოვიდა. ის ბრეჟნევის ერთგულ კაცად ითვლებოდა*** *(მანამდე ბრეჟნევი კარგა ხანს მოლდავეთის ხელმძღვანელი იყო).* ***და აი, ბოდიული მეუბნება:*** *„დღეს საღამოს ან ხვალ დილით პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს დაასახელებენ. ლაპარაკია* ***ალიევზე...*** *მაგრამ, ჩემი აზრით, სწორი არ იქნება პოლიტბიუროში საქართველო არ იყოს წარმოდგენილი“.* ***მაშინვე მივხვდი, ბოდიული მოგზავნილი იყო. ჩემი აზრი აინტერესებდათ „ზევით“. მე სრულიად გულწრფელად ალიევს დავუჭირე მხარი — ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა. ბოდიული ყასიდად შემეკამათა:*** *იყო სტალინი, იყო ბერია, იყო მჟავანაძე, შენ რომ არ აგირჩიონ, ხალხი რას იტყვისო...* ***„ეს ჩემი საქმეა“, ვუპასუხე და მივანიშნე, რომ საუბარი დამთავრებული იყო“*** *(იქვე, გვ. 94).*

ეს იმაზე მეტყველებს, რამდენად გაწაფული იყო **შევარდნაძე** ამ პოლიტიკურ ინტრიგებში — დანის პირზე შეეძლო, გაევლო და თან ნემსის ყუნწშიც გამძვრალიყო:

მან მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოს ლიდერს პოლიტბიუროს მიღმა არავინ დატოვებდა, ჰოდა, **ალიევს** გაუწია რეკომენდაცია, ჩემზე მეტად ის იმსახურებს ადგილს პოლიტბიუროშიო!

ჰოდა, წელიწადნახევრის შემდეგ, მოსკოვში გამართულ პლენუმზე, **ბრეჟნევმა** თავისი დასკვნითი სიტყვის ბოლოს, მოულოდნელად გამოაცხადა: **შემომაქვს წინადადება, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად ავირჩიოთ ედუარდ შევარდნაძეო... და ერთხმად აირჩიეს!**

მემუარისტი იხსენებს, როგორ შეხვდა მეორე დილას **ბრეჟნევს:**

> ***„მეორე დილით ადრიანად შევედი ბრეჟნევის მოსაცდელში, თუმცა, თავად გენერალური მდივანი სამუშაოზე გვიან მოდიოდა ხოლმე. მოსვლისთანავე ჩემ შესახებ მოახსენეს. შემოვიდესო, ბრძანა. კართან შემეგება, გადამკოცნა და მთხოვა, ცოტა ხნით ჩამოვმჯდარიყავი.***
>
> *მე მაშინვე მივმართე —* ***ლეონიდ ილიჩ, ერთი დღით ადრე მაინც გეთქვათ, ასეთ რამეს თუ აპირებდით-მეთქი.***
>
> *პასუხი მეტად გონებამახვილური იყო:* ***„გუშინ რომ მეთქვა, მთელი ღამე აღარ დაგეძინებოდა, ეს ერთი. და მეორეც, ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ შემთხვევა არ მქონია, ვინმეს ასეთ დაფასებაზე უარი ეთქვას. ასე რომ, დარწმუნებული ვიყავი, დათანხმდებოდი“*** *(იქვე, გვ. 95).*

რა თქმა უნდა, ვინ-ვინ და **ბრეჟნევმა** ძალიან კარგად იცოდა, რომ ახალგაზრდა და ამბიციური შევარდნაძისთვის პოლიტბიუროს წევრობა ლამის ცხოვრების მთავარი მიზანი იყო...

მემუარისტი ბრეჟნევისადმი აშკარა სიმპათიების მიღმა, იმასაც იხსენებს, რომ **ლეონიდ ილიჩი** პოტენციურ კონკურენტებსაც კი ვერ იტანდა:

> ***„კოსიგინის მიმართაც არ იჩენდა დიდ სიმპათიებს, თუმცა, კოსიგინი მთელ პოლიტბიუროდ ღირდა. მართალია, მას ბოლო დროს ასაკმა შემოუტია და იქნებ, ძველებური დატვირთვით ველარ მუშაობდა, მაგრამ მისი ცოდნა და გამოცდილება, ფაქტობრივად, შეუცვლელი იყო.***
>
> *მე სრულიად შემთხვევით შევესწარი ბრეჟნევთან* ***ანდროპოვის*** *საუბარს, როდესაც ანდროპოვმა* ***(მაშინ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ)*** *დაურეკა ბრეჟნევს და უთხრა:* ***„ჩაზოვის (კრემლის ექიმის) ჩარევა საჭირო აღარ იქნება, ის*** *(კოსიგინი)* ***განცხადებას გამოგიგზავნით“. ეს საუბარი ხმის გამაძლიერებლით მიმდინარეობდა და, ჩემდა უნებურად, მესმოდა“*** *(იქვე, გვ. 96).*

და ცოტა ხანში ასეც მოხდა: საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **კოსიგინი,** რომელიც დიდი ავტორიტეტის გამო **ბრეჟნევის** შემცვლელად განიხილებოდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გადადგა... უფრო სწორად, ბრეჟნევს მიმართა წერილობითი თხოვნით, იქნებ გამათავისუფლოთო...

**შევარდნაძე** იმასაც იხსენებს, როგორ იტანჯებოდა ხანშიშესული ბრეჟნევით:

> ***„მალე ბრეჟნევს სიბერე კიდევ უფრო მოერია, მაგრამ პოსტს მაინც ვერ ელეოდა. სიგარეტის მოწევა კატეგორიულად აუკრძალეს, სიარული ძალიან უჭირდა, სამუშაოზე მხოლოდ საღამოობით მოდიოდა. როცა მას საზღვარგარეთ მივლინებაში მივყვებოდი, ჩემი ტანჯვაც მაშინ იწყებოდა. მისი თვითმფრინავით მივფრინავდით ხოლმე. დამიბარებდა თავის სალონში, ცოტას გავისაუბრებდით, შემდეგ დაცვის ბიჭებს შემოიყვანდა და უბრძანებდა, აბა, გააბოლეთო. ბიჭებიც აბოლებდნენ. დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე ისინიც გაგუდულები იყვნენ და მეც...“*** *(იქვე, გვ. 96).*

რა თქმა უნდა, **შევარდნაძე** ფარისევლობს, რადგან ის ღრმად მოხუცებულ ბრეჟნევთან ერთად საზღვარგარეთულ ვიზიტებში, ალბათ, სულ ერთი-ორჯერ იყო, მაგრამ მაინც ასე წაკბინა, **ბრეჟნევით ვიტანჯებოდიო...** არადა, ბრეჟნევისადმი აღვლენილ შევარდნაძისეულ დითირამბებზე ანეკდოტები მთელ საბჭოთა კავშირში იქმნებოდა!

და ბრეჟნევის **„პასიური მწეველობის ამბის“** მოყოლის შემდეგ იქვე ამიტომაც ამბობს მემუარისტი:

> ***„ხშირად ამბობენ, შევარდნაძე ბრეჟნევს ზედმეტად აქებდაო. ეს შენიშვნა არცთუ უსაფუძვლოა, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თუ სასიამოვნო სიტყვები რამდენიმე ფრაზისგან შედგებოდა, გამოსვლის ძირითადი ნაწილი კრიტიკული იყო, მე ვიტყოდი, ზედმეტად კრიტიკულიც კი“*** *(იქვე, გვ. 97).*

და როგორი „ულმობელი კრიტიკით“ ამკობდა შევარდნაძე ბრეჟნევს, ამის დამადასტურებლად მემუარისტს მოჰყავს მაგალითი, რა სადღეგრძელო უთხრა **ძვირფას ლეონიდ ილიჩს** მისი დაბადების 70-ე წლისთავზე, კრემლში გამართულ საზეიმო ვახშამზე:



## რა სადღეგრძელო უთხრა შევარდნაძემ ძვირფას ლეონიდ ილიჩს მისი დაბადების 70-ე წლისთავზე

## როგორ აწამებდა ბრეჟნევი შევარდნაძეს

> ***„როცა ჩემი ჯერი მოვიდა, დაახლოებით შემდეგი ვთქვი: ლეონიდ ილიჩი იმიტომაა დიდი კაცი, რომ შესანიშნავად იცის, ქვეყანაში ყველა როდია დალხინებული და ახლაც, რამდენი მშიერი, უმუშევარი და ავადმყოფია, მაგრამ ამ ადამიანებს ლეონიდ ილიჩის იმედი აქვთ“. ბოლოს იმით დავამთავრე, რომ მათი იმედების გამართლებას, ე.ი. ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს გაუმარჯოს-მეთქი...“*** *(იქვე, გვ. 97).*

ვინც ზედაპირულად მაინც იცნობს, რა იყო საბჭოთა კავშირი, ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს, დაიჯეროს, რომ შევარდნაძემ ბრეჟნევს 70 წლის იუბილეზე, მის პატივსაცემად ნებადართულ ერთადერთ სამწუთიანი რეგლამენტით განსაზღვრულ სადღეგრძელოში, გენსეკს პირში მიახალა, ახლა რამდენი მშიერი და უმუშევარია ჩვენს მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაშიო...

თან მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ არსებობდა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსით ისჯებოდა... აღარაფერს ვამბობ საბჭოელ მშივრებზე — მათზე ლაპარაკი, თან გენერალური მდივნის იუბილეზე, პირდაპირ, ანტისაბჭოთა დივერსიად გამოიყურებოდა...

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, **შევარდნაძე მაინც დელიკატურად ირჯება და თავის მემუარებში უკვე მოხუცებულობის მარაზმში მყოფი ბრეჟნევის სიგარეტისადმი მიდრეკილების იქით აღარ მიდის და საჯაროდ არ გამოაქვს ის ფაქტი, გენსეკის საქართველოში ბოლო სტუმრობისას როგორ მოუწყვეს სასტუმრო „აჭარის“ წინ გამართულ ტრიბუნაზე ასასვლელად საგანგებო ლიფტი, ამ ტრიბუნის ქვეშ კი — პერსონალური ვიპტუალეტი...**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ ძილის დროს სხეულის პოზა ჩვენს ჯანმრთელობას დიდწილად განსაზღვრავს:*

# კახა საბახტარიშვილი: ძილის დროს მარცხენა გვერდზე წოლა ორგანიზმისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა!





**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**



**„მთვრალი ადამიანის ზურგზე წოლა და ამ პოზაში დაძინება, შესაძლოა, სიკვდილით დასრულდეს!“**

## „ვისაც მაღალი წნევა აწუხებს, აუცილებლად მარცხენა გვერდზე უნდა დაიძინოს!“

— ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში არაერთი პაციენტი ყოფილა, რომელიც ერთი შეხედვით ჯანმრთელი ჩანდა, დღის განმავლობაში წნევა და გულთან დაკავშირებული პრობლემები არ აღენიშნებოდა, მაგრამ ძილის დროს ეწყებოდა უცნაური პროცესები — გულისცემის აჩქარება, ფორიაქი, მოუსვენრობა, ხშირი შარდვის მოთხოვნა და ყოველივე ამის გამო უეცარი გამოღვიძება! ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ასეთ ადამიანებს ღამით უფიქსირდებოდათ მაღალი არტერიული წნევა, რომელიც ზოგჯერ სიცოცხლისთვის იყო სახიფათო. როცა ასეთი პაციენტები გამოკვლევებს იტარებდნენ, არც გულის და არც სხვა ორგანოს პათოლოგია არ იკვეთებოდა, რაც ჩემი კოლეგებისა და პაციენტების გაკვირვებას იწვევდა.

**— ეს მართლაცდა უცნაური მოვლენა მედიცინაში შესწავლილი არ იყო?**

— ცხადია, შესწავლილი იყო, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, კოლეგების უმრავლესობა ზემოხსენებული პროცესის გამომწვევ მიზეზებს არ ეძებდა, არადა, ყველაფერი ძალიან ბანალური იყო — **არასწორი პოზა ძილის დროს!**

თუ რა პოზაში გვძინავს და ძილის პროცესში როგორია ჩვენი სხეულის მდგომარეობა, ამას ჩვენი ჯანმრთელობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, საუბედუროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ საკითხს ყურადღებას არავინ აქცევს! ყველა ფიქრობს, თუ ღამის განმავლობაში 7-8 საათი დაიძინებს, ყველაფერი რიგზე იქნება. სამწუხაროდ, ასე არ არის და მნიშვნელობა აქვს არამარტო იმას, თუ რამდენ ხანს გვძინავს, არამედ რა მდგომარეობაში და როგორ გვძინავს! ძილის დროს, როგორც წესი, ძირითადად ოთხ პოზიციას ირჩევენ:

1. ზურგზე წოლას;
2. მარჯვენა გვერდზე წოლას;
3. მარცხენა გვერდზე წოლას;
4. მუცელზე წოლას.

სტატისტიკის თანახმად, ადამიანების დიდი ნაწილი მუცელზე ან ზურგზე წოლას ამჯობინებს, არადა, ჯანმრთელობისთვის ყველაზე უფრო სახიფათო სწორედ მუცელზე წოლაა! ეს პოზა განსაკუთრებით საზიანოა ჭარბწონიანებისა და ღიპის მქონე პირთათვის.

**— მაინც რატომ არის საშიში მუცელზე წოლა?**

— როდესაც მუცელზე ვწევართ, ფილტვები ბოლომდე არ იშლება და გულს ხშირად უწევს შეკუმშვა, რათა სისხლი ჟანგბადით გაჯერდეს. ყოველივე ეს იწვევს ტაქიკარდიას, წნევის მატებასა და სისხლის მიმოქცევის დარღვევას. გარდა ამისა, როცა მუცელზე ვწევართ, თავი მობრუნებული გვაქვს და ყური ბალიშზე გვიდევს. ასეთ დროს, ცხადია, თავის ტვინს სისხლი ცუდად მიეწოდება. თუ ამ მდგომარეობაში 7-8 საათის განმავლობაში გვძინავს, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ „შიმშილობს“ ტვინი და რა დღეშია ჩვენი წნევა?! ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა დაგვემართებოდა მაშინ, დღისით 7-8 საათის განმავლობაში კისერმოღრეცილს რომ გვევლო! **როცა მუცელზე ვწევართ, არამხოლოდ თავის ტვინის, არამედ უკლებლივ ყველა ორგანოს სისხლით მომარაგების პროცესი ირღვევა!** გარდა ამისა, თავის არასწორი პოზიციის გამო, კისრის არეში ლიმფა გუბდება, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის, რადგან სწორედ კისრის ლიმფურ სისტემას გამოაქვს თავის ტვინიდან ცხოველმოქმედების პროდუქტები. **როცა ამ ტოქსინების თავის ტვინიდან გამოტანა შეფერხებულია, ადამიანი დილით თავის ტკივილით იღვიძებს. პარალელურად, მას ტკივილები აქვს კისრის არესა და ზურგში.**

მუცელზე წოლა აუარესებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების გამართულად ფუნქციონირებას. არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ორსულთათვის მუცელზე წოლა დაუშვებელია! გარდა იმისა, რომ ეს ნაყოფისთვის არის ზიანის მომტანი. ორსულ ქალებს მუცელზე წოლის შედეგად შეგუბებითი მოვლენები უვითარდებათ, რაც ისედაც გართულებულ ვენოზურ სისხლის მიმოქცევას ართულებს. ორსული ქალები, რომლებიც ძილის დროს მუცელზე წვანან, მშობიარობის შემდეგ ხშირად იტანჯებიან ვენების პრობლემებით. უფრო მეტიც, ვისაც მუცელზე წოლა უყვარს, ხშირად უხდება ღამით მოსაშარდად წამოდგომა. ამის მიზეზი შარდის ბუშტზე განხორციელებული ზეწოლაა. **მუცელზე წოლა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს ხერხემალზე ტრავმა აქვს. მუცელზე წოლა გარკვეულ შეღავათს იძლევა გასტრიტული ტკივილებისა და მუცლის შებერვის დროსაც.**

**— რას იტყვით არანაკლებ გავრცელებულ ზურგზე წოლაზე?**

— ზურგზე წოლა ბავშვებისათვის ფიზიოლოგიური და ბუნებრივია, მაგრამ მოზრდილთათვის შესაძლოა, პრობლემატური გახდეს! ძილში სუნთქვის შეჩერება, ანუ აპნოე ადამიანთა არცთუ მცირე ნაწილს აწუხებს. ამის შესახებ ჩვენ ბევრჯერ დაგვიწერია და ისიც გვითქვამს, რომ აპნოე შესაძლოა, ინსულტით დასრულდეს. **ვისაც აპნოე აქვს, ზურგზე არავითარ შემთხვევაში არ დაწვეს!** ეს ეხება იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ბრონქული ასთმა აქვთ და, საერთოდ, ბრონქებში ჰაერის გატარება უჭირთ. ზურგზე წოლა არარეკომენდებულია ორსულთათვისაც, რადგან გადიდებული საშვილოსნო ხერხემალსა და საჭმლის მომნელებელ ორგანოებს აწვება. თუმცა, **ზურგზე წოლა შესაძლოა, სასარგებლოც კი იყოს იმ ადამიანთათვის, რომლებსაც მუხლის ტკივილი — გონართროზი ან, საერთოდ, ოსტეოართროზი და წელის პრობლემები აწუხებთ, რადგან ასეთ დროს ხერხემალი ისვენებს.**

ზურგზე წოლა კარგია შინაგანი ორგანოებისთვისაც, რადგან ამ პოზაში მათზე ზეწოლა არ ხდება. გარდა ამისა, თუ ჩვენ ბალიშზე თავს სწორად დავდებთ, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის პროცესი გაუმჯობესდება, რაც ნაკლები თავის ტკივილის გარანტიაა. ვინც ზურგზე წევს და სახეს ბალიშს არ ადებს, ცხადია, სახის არეში შეგუბებითი მოვლენები ნაკლები ექნება და, შესაბამისად, ნაოჭებიც გვიან გაუჩნდება. **მთვრალი ადამიანის ზურგზე წოლა და ამ პოზაში დაძინება, შესაძლოა, სიკვდილით დასრულდეს!** ამის მიზეზი ის არის, რომ ალკოჰოლის გავლენით ყველა ორგანოს, მათ შორის, შინაგანი ორგანოების კუნთები მოდუნებულია. ასეთ დროს შესაძლოა, ენა ჩავარდეს და ადამიანი დაიხრჩოს. იგივე მოხდება, თუ მთვრალ ადამიანს ღებინება დაეწყება. ზურგზე წოლის დროს პირნაღები მასა შესაძლოა, სასულეში მოხვდეს და კაცი დაიხრჩოს! ამიტომ მთვრალი ადამიანი ყოველთვის გვერდზე უნდა დავაწვინოთ.

## „ვისაც კუჭი აწუხებს და „იზჟოგა“ აქვს, მარჯვენა მხარეს არ დაიძინოს! მარჯვენა გვერდზე წოლას ასევე უნდა ერიდოს ყველა, ვისაც დიაბეტი აქვს ან პანკრეასი აწუხებს!“

**— რამდენად რეკომენდებულია მარჯვენა გვერდზე წოლა?**

— ვისაც გული აწუხებს, მიაჩნია, რომ გულის საპირისპირო მხარეს, მარჯვნივ უნდა დაწვეს, რაც დიდი შეცდომაა. საქმე ის გახლავთ, რომ აორტა, რომელიც გულიდან გამოდის, სწორედ მარცხენა მხარეს უხვევს, რის გამოც მარჯვენა გვერდზე წოლის დროს აორტაში სისხლის გატარებას პრობლემები ექმნება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გული იტვირთება და თავის ტვინში სისხლმომარაგების პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს. ამიტომ ადამიანი, რომელიც მარჯვენა გვერდზე იძინებს, ხშირად მოდუნებული, მოთენთილი და თავის ტკივილით იღვიძებს! ასეთ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, 7-8 საათი და უფრო მეტი ხანიც კი ეძინათ, დილით ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს არ უძინიათ.

ჩვენ დეტალურად გვაქვს აღწერილი საქართველოში ასე გავრცელებული **გასტროეზოფაგალური რეფლუქსი,** როცა საყლაპავი მილისა და კუჭის შესართავთან არსებული ე.წ. კარდიალური სარქველი არ იხურება, მაღალი სიმჟავის კუჭის წვენი საყლაპავში ხვდება, იწვევს ე.წ. „იზჟოგას“ და საყლაპავი მილის ანთებას, ანუ **ეზოფაგიტს.** როდესაც მარჯვენა გვერდზე ვიძინებთ, კუჭის წვენი საყლაპავ მილში ადვილად გადადის და შესაძლოა, ღამით „იზჟოგამ“ გამოგვაღვიძოს! ამიტომ, **ვისაც კუჭი აწუხებს და „იზჟოგა“ აქვს, მარჯვენა მხარეს არ დაიძინოს!** მარჯვენა გვერდზე წოლას ასევე უნდა ერიდოს ყველა, ვისაც დიაბეტი აქვს ან პანკრეასი აწუხებს! კუჭი და პანკრეასი ჩვენი სხეულის მარცხენა ნაწილში მდებარეობს. **როცა მარჯვენა გვერდზე ვიძინებთ, კუჭი პანკრეასს აწვება და მის მუშაობას აფერხებს. მარჯვენა გვერდზე წოლა ლიმფის შეგუბებას იწვევს, რის გამოც დეტოქსიკაციის პროცესი ფერხდება.**

**— მაშინ რა გამოდის, ძილის დროს ერთადერთი სწორი პოზა მარცხენა გვერდზე წოლაა?**

— დიახ, ძილის დროს მარცხენა გვერდზე წოლა ორგანიზმისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა! **როცა მარცხენა გვერდზე ვწევართ, კუჭი საყლაპავი მილის ქვემოთ არის მოქცეული და კუჭის წვენი საყლაპავში ნაკლებად ხვდება.** გარდა ამისა, მარცხენა გვერდზე ძილის დროს საჭმლის მომნელებელი ორგანოები ჩვეულებრივ, ბუნებრივ მდგომარეობაშია და ერთმანეთზე ზეწოლას არ ახდენს. ამის გამო საკვები თავისუფლად გადაადგილდება, მისი მონელებისა და გადამუშავების პროცესი უმჯობესდება, ხოლო პანკრეასის სადინარები დუნდება და ჯირკვალიც ისვენებს. **რადგან მსხვილი ნაწლავის ბოლო მონაკვეთი მარცხნივ მდებარეობს, მარცხენა გვერდზე წოლა კუჭის მოქმედებასაც უწყობს ხელს.**

და კიდევ: ვინც ძილში ხვრინავს, იმან აუცილებლად მარცხენა გვერდზე უნდა დაიძინოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# მერაბ კოსტავას მეუღლის

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №10

**რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.**



## რუსუდან ბერიძე:

1962-64 წლები ჩვენი ურთიერთობის შედარებით მშვიდი წლები იყო. ბევრს ვმუშაობდი. ორივენი ბევრს ვკითხულობდით. **ირაკლი** ზაფხულობით დედაჩემთან იყო. მე ასპირანტურის პირველ კურსზე ვიყავი, როცა სტუდენტებთან პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება დამავალეს. სტუდენტებთან მუშაობა ძალიან მომეწონა. მეც ვსწავლობდი და მათაც ვასწავლიდი. **ძირითადად, სახლში ვიყავი და მერაბიც მშვიდად იყო. ნასვამი თუ მოვიდოდა, ისევ მეჩხუბებოდა, მაგრამ ამასობაში მეც დავხელოვნდი. როგორც კი აგრესიას შევატყობდი, სახლიდან გავრბოდი.**

1964 წელს ასპირანტურა დავამთავრე. დისერტაცია უკვე მზად მქონდა. გაფორმება სჭირდებოდა მხოლოდ, თან ჩემი სტატიების გამოქვეყნებას ველოდი, რომ დისერტაცია დაცვაზე წარმედგინა. ჩემი ფაკულტეტის დეკანატმა ჩემს სახელზე შტატი მოითხოვა და უნივერსიტეტში უნდა დამეწყო მუშაობა. ერთ დღეს ფაკულტეტის დეკანატში დამიბარეს და პროფესორმა **ლეო მაღნარაძემ** (ფაკულტეტის დეკანი იყო მაშინ) ძალიან შეწუხებულმა მითხრა: **„ილია ვეკუას ქალიშვილმა მოითხოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან უნივერსიტეტში გადმოსვლა, თქვენი შტატი მას უნდა მივცეთ. თქვენ ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იმუშავეთ, საათებს უნივერსიტეტში დაგიტოვებთ და როგორც კი შტატის საშუალება მოგვეცემა, უნივერსიტეტში გადმოგიყვანთ“.** ძალიან მეტკინა გული. **ილია ვეკუა** ჯერ კიდევ ნოვოსიბირსკში იყო, ასეთ რამეს, ცხადია, თვითონ არ დაუშვებდა. არც მისმა ქალიშვილმა იცოდა, რასთან იყო დაკავშირებული მისი უნივერსიტეტში გადმოყვანა. წინააღმდეგობის გაწევა თავმოყვარეობის შელახვად ჩავთვალე და მუშაობა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დავიწყე.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საღამოს დასწრებულ განყოფილებას ცალკე ჰქონდა უმაღლესი მათემატიკის კათედრა. კათედრის გამგე პროფესორი **ბორის ხვედელიძე** იყო, დახვეწილი ინტელიგენტი, განათლებული და ერუდირებული პიროვნება. კათედრაზე ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი. ძალიან თბილად შემხვდნენ. თავიდან ლექციების კურსი მომცეს თბილისში და რუსთავში. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმეტესად ვაჟები სწავლობდნენ. ყველა ჩემი სტუდენტი ჩემზე უფროსი იყო. პირველი ლექცია უზარმაზარ აუდიტორიაში მქონდა. 120 სტუდენტი იყო აუდიტორიაში, როცა შევედი. **ჩემი შესვლა იყო და ყველამ ერთად ამოიოხრა. მუხლები მომეკვეთა. ვიფიქრე, რომ ეს ადამიანები მე არასოდეს მომისმენდნენ და სასაცილოდ არ ეყოფოდათ ჩემი „ლექტორობა“.** გავჩუმდი და ველოდებოდი მათ გაჩუმებას. ეტყობა, სახეზე მეწერა ჩემი დაბნეულობა და საკმაოდ განწირული გამომეტყველება მქონდა. **მალე სრული სიჩუმე ჩამოვარდა და აკანკალებული ხმით დავიწყე ლაპარაკი. მივხვდი, რომ აუდიტორია მისმენდა, დავმშვიდდი, გავთამამდი, იმედი მომეცა, რომ ლექციის წაკითხვას შევძლებდი. მას შემდეგ 38 წელი შევდიოდი აუდიტორიაში. ყოველ პირველ სექტემბერს სტუდენტების ახალ ნაკადთან შეხვედრისას ვნერვიულობდი, ვიპოვიდი თუ არა აუდიტორიასთან საერთო ენას.** ჩემს არეულ ცხოვრებაში ყველანაირი პრობლემა მქონდა, მაგრამ სტუდენტებთან ურთიერთობის პრობლემა — არასოდეს. **არასოდეს ხმა არ ამიმაღლებია აუდიტორიაში, არასოდეს კონფლიქტი არ მქონდა არცერთ სტუდენტთან. ლექციების კითხვა მომწონდა და აუდიტორიაში შესვლა მიხაროდა.**

1964 წელს**მერაბმა** კონსერვატორია დაამთავრა და რუსთავის მუსიკალურ ტექნიკუმში გაანაწილეს სამუშაოდ. ორივენი საკმაოდ დატვირთულები ვიყავით და ერთმანეთს მხოლოდ დილით და საღამოთი ვხვდებოდით. **ძალიან ტკბილი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ირაკლი უკვე საბავშვო ბაღში დადიოდა — მსუქანი, დათვის ბელივით ბიჭი იყო, ძალიან ცელქი და ძალიან მხიარული, ჯანმრთელი იყო, გემრიელად მიირთმევდა ყველაფერს, რასაც ვთავაზობდით. მისი აღზრდის მთავარი პრობლემა იყო, მოგვემწყემსა, არ წაქცეულიყო და რაიმე არ ეტკინა.** საღამოობით, დაძინების წინ, როგორც ყველა ბავშვს, ზღაპრებს ვუყვებოდი ხოლმე. ზღაპარს უმალ იმახსოვრებდა და მეორე დღეს ახალ ზღაპარს მოითხოვდა. როცა ზღაპრების მარაგი გამომელია, ერთ საღამოს ლექსების კითხვა დავიწყე, „ექსპერიმენტი“ ჩავატარე. სამი წლისაც კი არ იყო მაშინ. მე კი გალაკტიონის, აკაკის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის ლექსებს ვუკითხავდი. ამის შემდეგ ზღაპარი აღარ მომიყოლია. ლექსებს თხოულობდა. განსაკუთრებით გალაკტიონის „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ მოსწონდა და ამ ლექსის წაკითხვას ყოველ საღამოს ითხოვდა. როცა გაიზარდა, ვკითხე, რა მოგწონდა ან რას იგებდი ამ ლექსიდან-მეთქი. „არ ვიცი, — მიპასუხა, — მხოლოდ ის მახსოვს, რაღაცას ისეთს ვგრძნობდი, აი, ახლა კარგ მუსიკას რომ ვისმენ ხოლმე. სულ მინდოდა, კიდევ და კიდევ გამეგონა ის სიტყვები, რომელთა შინაარსი სულ არ მესმოდა“.

**ამ პერიოდში ჩემი ცხოვრება მერაბით, ირაკლით და ოჯახით იყო შემოსაზღვრული.** ადრე ვთქვი, რომ **მერაბმა** ჩემს მეგობრებს ჩამომაცილა. ეს სწორიც არის და არასწორიც. ამ დროისათვის, ეტყობა, ჩვენმა მეგობრობამაც ამოწურა თავისი თავი, თორემ ასე უბრძოლველად არ დავთმობდი ჩემს მეგობარ გოგონებს. **დილვარდი** უკვე გარდაიცვალა, **ლილი** ამერიკაშია გადახვეწილი, **ბიულისთან** დღესაც თბილი ურთიერთობა მაქვს. როცა ვხვდებით ერთმანეთს, ძალიან გვიხარია, მაგრამ საერთო უკვე ძალიან ცოტა გვაქვს.

მეგობრობას დრო და მოცალეობა სჭირდება აუცილებლად. მე კი ამ წლებში მხრებზე მაწვა ოჯახი, ეკონომიური გაჭირვება, სწავლა, ასპირანტურა, მერაბთან რთული ურთიერთობა და მეგობრებისთვის არც დრო მქონდა და არც ენერგია.

**მერაბს მეგობრების ძალიან კარგი წრე ჰყავდა. მათთან ურთიერთობა** (რამდენადაც მე ამის „უფლება“ მეძლეოდა) **ძალიან საინტერესო იყო.** თუმცა, მერაბს დიდად არ უყვარდა, როცა მე მათთან ვიჯექი (რაც დედაჩემის საშინელ აღშფოთებას იწვევდა), მაგრამ ბიჭები ისე ხშირად დადიოდნენ ჩვენთან, რომ მერაბის წინააღმდეგობის მიუხედავად, მეც მათ წრეში აღმოვჩნდი.

**მერაბის და ჩემი ურთიერთობა ახალი დაწყებული იყო, როცა ზვიად გამსახურდია გავიცანი.** ახლა წარსულს რომ ვიგონებ, ზვიადი და მერაბი სულ ერთად მახსოვს. ან ჩვენ მივდიოდით გამსახურდიების ოჯახში ან ზვიადი მოდიოდა ჩვენთან.

**გამსახურდიების ოჯახში** პირველი სტუმრობიდან გაოცების განცდა დამრჩა. ქვის მაღალი გალავანი, ორი ავი ნაგაზი ეზოში, დიდი, ლამაზი ეზო, ცივი, დიდი და არამყუდრო სახლი. **სახლს მზე არსაიდან არ უდგებოდა. დიდი ხის სკამი** („მახვშის“ სკამი) **კიბის აივანზე. ამ სკამზე ჯდომა ბატონ კონსტანტინეს ძალიან უყვარდა.** ზვიადის მშვენიერი დედა — **ულამაზესი მირანდა ფალავანდიშვილი,** ზვიადის და **თამრიკო** — ლამაზი, თბილი, მხიარული გოგონა და **ბატონი კონსტანტინე,** გამხდარი, დანაოჭებული სახით, ამაყი გამოხედვით. მოწიწების გრძნობა მის მიმართ, ცოცხალ გენიოსს პირველად ვხედავდი და ვესაუბრებოდი...

ამბობენ, ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდაო **ბატონ კონსტანტინეს.** მე, მართალი გითხრათ, ეს არასოდეს მიგრძნია. ყოველთვის ძალიან თბილად გამოგვესაუბრებოდა **მე და მერაბს,** აუცილებლად ქათინაურს მეტყოდა. მერე თავის კაბინეტში შეიკეტებოდა და მუშაობდა.

ბატონი კონსტანტინეს კაბინეტიდან ახლა აღარაფერი არ არის დარჩენილი. სახლი დაარბიეს, დაწვეს. ძალიან დიდი ტრაგედიაა. ამ კაბინეტში საოცარი ატმოსფერო სუფევდა. **ეს იყო ძალიან დიდი ოთახი, კედლებთან ჭერამდე წიგნის კარადები იდგა, კედლებზე ქართველი მხატვრების სურათები ეკიდა — გუდიაშვილის, მერაბ ბერძენიშვილის...** მთავარი მა-

**ქალბატონი მირანდა არბილებდა ყველა დაძაბულ სიტუაციას, რომელიც ოჯახში იქმნებოდა. სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა საშვილოსნოს კიბოთი.**



კონსტანტინე გამსახურდია მეუღლესთან – მირანდა ფალავანდიშვილთან და ქალიშვილთან – თამარ გამსახურდიასთან ერთად

**მირანდას გარდაცვალების შემდეგ ბატონი კონსტანტინე ძალიან მოტყდა, უცბად დაბერდა, თითქოს საყრდენი გამოეცალა. დედის შემდეგ იმავე დაავადებით 35 წლის თამრიკო გამსახურდია გარდაიცვალა!**

## კვირგვინოსნები

**ქეთევან ბურნაძე**
*„გიდების ასოციაციის“ წევრი*



**სომხეთიდან ჩამოსული გიდები** ყვებიან ათას სისულელეს, **თურმე, უფლისციხე ყოფილა ჩვენთვის ჯოჯოების საშენი და ქართველები ჯოჯოებით ვიკვებებოდით,** როდესაც ღვინის გარდა, ხორბლის სამშობლოც ვართ და საქართველოდან გავრცელდა ხორბალი მთელ მსოფლიოში. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ **სოფიკო ჭიაურელი დიდი სომეხი არტისტი ყოფილა,** ჯვარი და ატენის სიონი სომხებმა აგვიშენეს. კი, **სომეხი გიდები** ასე ეუბნებიან სომხეთიდან ჩამოსულ ტურისტებს. ჩვენ გვყოლია **გონებასუსტი მეფე ერეკლე,** რომელმაც გეორგიევსკის ტრაქტატს ისე მოაწერა ხელი, არ იცოდა, ხელს რაზე აწერდა — ამას **რუსი გიდი** ეუბნებოდა რუს ტურისტებს. უკაცრავად და ისევ **რუსმა გიდმა** უთხრა თანამემამულე ტურისტებს, რომ **ქართველი კაცები ლოთები არიან და ბოზი ცოლები ჰყავთო.**

„ალია“

**მერაბ დვალიშვილი**
*UFC-ის ქართველი მებრძოლი*



ჩემ მიმართ წამოვიდა **ცილისწამება და აბსურდული ბრალდებები** ჩემი სახელისა და რეპუტაციის შელახვის მიზნით — **მე არასდროს ჩამიდენია ისეთი საქციელი, რაც შეარცხვენდა ჩემს ოჯახს და სამშობლოს.**

„იმედინიუსი“

# უცნობი დღიურები

გიდა იყო. ძალიან გრძელი, ძვირფასი ხის მაგიდა. მაგიდაზე ეწყო ხელნაწერები, წიგნები, ქაღალდები. იყო საოცარი უწესრიგობა მიწიერი და საოცარი წესრიგი უფრო მაღალი გაგებით. ამ მაგიდასთან იჯდა ხოლმე ბატონი კონსტანტინე დიდებული, მედიდური სახით. **გვესაუბრებოდა, მაგრამ ეს არ იყო თანაბართა საუბარი. მე ვერასოდეს გავბედე, თანამოსაუბრე ვყოფილიყავი.** მოწიწება და მორიდება წინ მოდიოდა და გაჩუმებას და მოსმენას ვამჯობინებდი.

რამდენიმე წლის შემდეგ **ბატონი კონსტანტინე** საავადმყოფოში დააწვინეს. რამდენჯერმე მე დავრჩი მასთან. წვეთოვანს უკეთებდნენ და მაჯის დაჭერა სჭირდებოდა. მე მისი მაჯა მეჭირა. უკვე ძალიან დასუსტებული იყო, ლაპარაკი უჭირდა. **ზვიადზე ლაპარაკობდა, ზვიადზე წუხდა, მე რომ აღარ ვიქნები, ძალიან გაუჭირდებაო, მითხრა. არ მინდა, მწერალი გახდესო, ეს ძალიან მძიმე საქმეა, ყველაფრის შეწირვას მოითხოვსო.** რაღაც სხვა თემაზე გადავიდოდა, მერე კვლავ ზვიადს უბრუნდებოდა. უცებ ვიგრძენი, რომ სუსტი, უძლური მოხუცია, გრძნობს, რომ ამ ქვეყნიდან მიდის და ერთადერთი რამ აღელვებს — მისი ვაჟის ბედი. **იქნებ გული უგრძნობდა, როგორი წამიერი დიდება და რა ტრაგიკული დასასრული ელოდა მის ნალოლიავებ და სათაყვანო ზვიადს?**

ზვიადის დედა, **ქალბატონი მირანდა** გამსახურდიების ოჯახის კეთილი ანგელოზი იყო. თავისი მშვიდი, მწყაზარი ხასიათით **ქალბატონი მირანდა** არბილებდა ყველა დაძაბულ სიტუაციას, რომელიც ოჯახში იქმნებოდა. სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა საშვილოსნოს კიბოთი. **მირანდას გარდაცვალების შემდეგ ბატონი კონსტანტინე ძალიან მოტყდა, უცბად დაბერდა, თითქოს საყრდენი გამოეცალა. დედის შემდეგ იმავე დაავადებით 35 წლის თამრიკო გამსახურდია გარდაიცვალა.**

ზვიადმა ცოლი 1960 წელს შეირთო. **დალი ლოლუა** ზვიადის და მერაბის თანაკლასელი იყო. **ზვიადს და დალის ერთმანეთი სკოლის მერხიდან უყვარდათ. მერე ზვიადს გახმაურებული რომანი ჰქონდა რუსიკო თიკანაძესთან,** ჩვენი თაობის ერთ-ერთ ულამაზეს გოგონასთან. რუსიკო ოჯახში დადიოდა გამსახურდიებთან, ბატონ კონსტანტინეს — სილამაზის თაყვანისმცემელ კაცს — რუსიკო ძალიან მოსწონდა და მას **„ჩემი კოშკის დედოფალს“** უწოდებდა. **რუსიკო** — მამაკაცების ყურადღებით განებივრებული — საკმაოდ უხეში და ცინიკური გოგო იყო, ცოტა ხანში მირანდას ამბავი მიუტანეს, **რუსიკომ თქვა, მე კონსტანტინეს რძლობა მინდა, თორემ კრეტინი ზვიადი ვის რად უნდაო.** არ ვიცი, სწორი იყო თუ არა ეს ჭორი, მაგრამ გამსახურდიების ოჯახი კატეგორიულად აღუდგა წინ რუსიკოს და ზვიადის ურთიერთობას. ეტყობა, რაღაც ზვიადსაც არ მოეწონა, **დალის** დაუბრუნდა და ცოტა ხანში ცოლად მოიყვანა.

დალი ნაზი, ქალური, მომხიბვლელი გოგონა იყო, ნიჭიერი, შესანიშნავი იუმორით, სიცოცხლით სავსე. **ზვიადი მართლაც ძალიან უყვარდა, ეჭვიანობდა, ყოველ ნაბიჯს უმოწმებდა. მათი ურთიერთობაც, ჩემი და მერაბისა არ იყოს, საკმაოდ დაძაბული იყო.** მალე ვაჟი შეეძინათ — **კოკო (კონსტანტინე) გამსახურდია.** ბატონი კონსტანტინე შვილიშვილს აღმერთებდა, დალი უმამოდ გაზრდილი გოგო იყო, შესანიშნავი დედა ჰყავდა — ქალბატონი ქეთო. დედოფლის იერი და გარეგნობა ჰქონდა. კოკოს დაბადების შემდეგ გამსახურდიების ოჯახში ცხოვრობდა. **მირანდას** დასავით უვლიდა. **მირანდას გარდაცვალების შემდეგ ბატონ კონსტანტინეს დალი და დეიდა ქეთო უვლიდნენ. დალის ძალიან უყვარდა მამამთილი. პატარა ბავშვივით ეფერებოდა და ელოლიავებოდა.**

**ზვიადი** ერთგული მეუღლე ვერ აღმოჩნდა. შეიძლება სერიოზული არა, მაგრამ ნაირ-ნაირი გატაცებები ჰქონდა **(ქალთა სქესისადმი არც მერაბი იყო გულგრილი, როგორც მომდევნო წლებში აღმოჩნდა, მაგრამ იმ წლებში მერაბი მთლიანად ჩემით იყო მოცული, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი და ეჭვიანობის საბაბს არ იძლეოდა).** დალი ამაზე ძალიან ნერვიულობდა, გაუთავებელი ჩხუბი ჰქონდათ ამ ნიადაგზე და მე და მერაბს ხშირად „მედიატორებად“ გვეძახდნენ. **ბოლოს დალის მობეზრდა ზვიადის გაუთავებელი გატაცებები, პირადი ცხოვრება გაუჩნდა და ამ ნიადაგზე დაშორდნენ კიდეც. ესეც ბედისწერა იყო, ალბათ. ზვიადის ამაღლების წლებში მის გვერდით ჭკვიანი და გონიერი დალი ლოლუა რომ ყოფილიყო, შეიძლება, ზვიადი ბევრ უხეშ შეცდომას, რომელიც საკუთარი თავისა და თავისი სამშობლოს საუბედუროდ დაუშვა, თავიდან აიცილებდა.**

მე და დალის კარგი ურთიერთობა გვქონდა, მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. უფრო კარგი ურთიერთობა გვექნებოდა, მაგრამ მე გაცნობიერებულად, მერაბს გაუცნობიერებლად, ორივეს გარკვეული კომპლექსი გვქონდა გამსახურდიების ოჯახის მიმართ. **გამსახურდიების ოჯახი მდიდარი ოჯახი იყო სიმდიდრის მაშინდელი გაგებით (ასეც უნდა ყოფილიყო).**



მეჩვენებოდა, რომ ამ ურთიერთობაში ზვიადი ბატონი იყო, მერაბი — მისი ვასალი!

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა



დგანან: გურამ მინაშვილი, ზვიად გამსახურდია, დალი ლოლუა

სხედან: კონსტანტინე გამსახურდია, თამარ გამსახურდია, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია

**ზვიადის ამაღლების წლებში მის გვერდით ჭკვიანი და გონიერი დალი ლოლუა რომ ყოფილიყო, შეიძლება, ზვიადი ბევრ უხეშ შეცდომას, რომელიც საკუთარი თავისა და თავისი სამშობლოს საუბედუროდ დაუშვა, თავიდან აიცილებდა!**

**ჩვენ ღარიბები ვიყავით და ჩვენი ბუნებრივი სიამაყე და მორიდებულობა გვქონდა. ჩვენ არ გვიყვარდა მათ ოჯახში სუფრასთან ჯდომა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ზვიადს ძალიან უყვარდა ჩვენი მოკრძალებული სუფრის გაზიარება ჯავახიშვილის ქუჩაზე.** ზვიადის ჩეჩნეთში დაწერილი ავტობიოგრაფია რომ წავიკითხე, ძალიან მწარედ მომხვდა გულში ერთი პასაჟი. ზვიადი წერს, რომ მერაბი ღარიბი ოჯახიდან იყო და „моя мама тайком подкармливала его“. **ძალიან მეცოდება ზვიადი, ძალიან განვიცდი მის ტრაგიკულ ბედს, მაგრამ არ შეიძლება მეგობარმა მეგობარზე ასეთი ფრაზა დაწეროს. თან, ეს ფრაზა მტკნარი სიცრუეა.**

მერაბის მორიდებულობა გამსახურდიების ოჯახში ძალიან ძლიერი იყო, **მერაბი ამაყი და თავმოყვარე იყო და სადღაც მისი ჩუმად „გამოკვება“ ყოვლად წარმოუდგენელი იყო** *(ასეთი შტრიხი ამის დასადასტურებლად. სამი თვის გათხოვილი ვიყავი, როცა ლუბა ბებია, ოლიკო და ვანო სოხუმში წავიდნენ 10 დღით. ჩვენ მარტო დაგვტოვეს. ფული კი დაგვიტოვეს, მაგრამ ორ-სამ დღეში დავხარჯეთ. მერაბის მეგობრები დავპატიჟეთ და მოვილხინეთ. სამი დღის შემდეგ მერაბის ნათესავი ჩამოვიდა სოფლიდან, რამდენიმე თავი სულგუნი ჩამოგვიტანა. ოთხი დღე სულგუნს ვჭამდით. მერე ბოთლები ჩავაბარეთ. ბოლოს სულ უფულოდ დავრჩით. ძალიან მოგვშივდა. პურის საყიდელი ფულიც კი აღარ გვქონდა. მერაბი ძალიან მორცხვი ადამიანი იყო. ზემოთ მონათხრობი იქნებ ეწინააღმდეგება ამას, მაგ-*

გაგრძელება 28-ე გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ასმათ ჭყაბლაძე**

მსახიობი



სიზმრებში ახლაც ვხედავ, ვითომ **სცენაზე ვდგავარ ან თეატრში შესვლა მინდა** და არ მიშვებენ, მიჭერენ.

როდესაც **ოთარ მეღვინეთუხუცესმა** გამოაცხადა, სამხატვრო ხელმძღვანელი მე უნდა ვიყოო, ზოგმა ტაში შემოსცხო, მე კი გავგიჟდი... გავჩერდი, **არც ტაში დავუკარი, არც ოვაცია გამოვხატე,** ეს კი ცოლ-ქმარმა დაინახა და დამაქვეითეს — **ხელფასი დამაკლეს.** როცა ვკითხე, ეს რატომ გააკეთეთ-მეთქი, **ურჩი ხარ და იმიტომ, ზედმეტებში იცი გადასვლაო.** მაშინ ბევრი არასწორად მოიქცა, მაგრამ ყველას ვაპატიე...

დღეს **არც იმისტი არ ვარ და არც ამისტი,** რაც ზოგიერთს ძალიან არ მოსწონს.

„კვირის პალიტრა“

**გივი გავარდაშვილი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი



უფრო დეტალურად, მეცნიერულად უნდა შევისწავლოთ საქართველოს ყველა კუთხე. **ზოგიერთი სოფელი საშინელ მდგომარეობაშია,** ისეთ ადგილასაა, სადაც **შეიძლება, ხვალ დიდი უბედურება მოხდეს.**

„კვირის პალიტრა“

**თეა გოდოლაძე**

სეისმოლოგი



ტექნიკურად არამდგრად რეგიონებში **მთის უხარისხო ბეტონით გავსება არ შეიძლება.** ჩადით მთის კურორტებზე, ხის კონსტრუქციებია ძირითადად. **ეს საწყალი ბაკურიანი ხომ ამოაბეტონეთ, ახლა ბახმაროს მიადექით.**

„ალია“

**ნიკუშა შენგელაია**

მხატვარი



ამდენი წლის ვარ და **ვერ გავიგე, რა სურთ ქალებს.**

„სარკე“

# მერაბ კოსტავას მეუღლის




დასაწყისი 26-ე გვერდზე

*რამ მერაბი უცხო ადამიანებთან მართლაც ძალიან მორცხვი იყო. მეზობლებთან ფულის სასესხებლად არაფრით არ წავიდა. მე ახალ მეზობლებს ახლოს არ ვიცნობდი. ვსხედვართ მშივრები, მაგრამ მხიარულები. ზვიადმა გამოიარა მანქანით და მერაბი თავის სახლში წაიყვანა. ორი საათის შემდეგ მერაბი დაბრუნდა და მითხრა: „მირანდა დეიდა ბევრს მეხვეწა, სადილად დავრჩენილიყავი, მაგრამ არაფრით არ დავრჩი. შენ მშიერი მეგულებოდი, ლუკმა როგორ გადამივიდოდა ყელში“. ვეხვეწე, მოდი მამიდაჩემთან წავიდეთ, აუცილებლად გაგვიმასპინძლდება-მეთქი. ვერაფრით ვერ დავითანხმე. მეორე დღეს ლუბა ბებია ჩამოვიდა სოხუმიდან და შიმშილით სიკვდილისგან გვიხსნა).*

ახლა ძნელია თქმა, მართალი ვიყავი თუ არა, მაგრამ ზვიადისა და მერაბის ურთიერთობა ძალიან ხშირად მაღიზიანებდა. **მეჩვენებოდა, რომ ამ ურთიერთობაში ზვიადი ბატონი იყო, მერაბი — მისი ვასალი.** ზვიადის აზრი, შეხედულება (ხშირად მცდარი) მერაბისთვის უტყუარი ჭეშმარიტება იყო და „გასაჩივრებას“ არ ექვემდებარებოდა. ხანდახან ჩემი გაღიზიანება სამართლიანი იყო, მაგრამ უმეტესად ამ გაღიზიანების მიზეზი ჩემი ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, ალბათ, მერაბზე ჩემი მხრიდან გავლენის მოპოვების სურვილი და მერაბზე ამ გავლენის მოპოვებისათვის ჩემი და ზვიადის ფარული ბრძოლა იყო.

არაჩვეულებრივად კარგი დღეები და ღამეები გაგვიტარებია ერთად, დავდიოდით სანადიროდ, სათევზაოდ. ერთად ვყოფილვართ დავითგარეჯში, გელათში, სამთავისში. დაუსრულებელი საუბრები გვქონდა საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. გვძულდა არსებული სისტემა, ვეძებდით და ვპოულობდით აკრძალულ ლიტერატურას, ვკითხულობდით ლექსებს. ზვიადი, დალი და მერაბი სამ ხმაში შესანიშნავად ასრულებდნენ ქართულ საეკლესიო საგალობლებს. ასეთი რამ მახსენდება. ერთ აღდგომა ღამეს, ღამის სამ საათზე ჯვარზე ავედით. იქ ნარკოტიკით გაბრუებული რამდენიმე ახალგაზრდა იატაკზე იწვა. დალიმ, ზვიადმა და მერაბმა საგალობლების სიმღერა წამოიწყეს. დარბაზი აგუგუნდა. ისეთი შეგრძნება იყო, რომ გუნდი მღეროდა, წამოწოლილი ბიჭები ჯერ წამოსხდნენ, მერე გაჭირვებით ფეხზე წამოდგნენ, პირჯვარი გადაიწერეს და ფეხზე იდგნენ, სანამ საგალობლების სიმღერა გრძელდებოდა.

## მერაბი როცა გამოფხიზლდა, მართლაც ცუდად იყო. თავის მოკვლის მცდელობაც კი ჰქონდა!

**1964 წლის ბოლოს მერაბის მამა გარდაიცვალა. ძალიან დამწყვიტა გული მისმა სიკვდილმა, გულწრფელად დავიტირე და ვუჭირისუფლე.** ორმოცი დღე არ იყო გასული **ვანოს** სიკვდილიდან, ჯერ კიდევ შავები მეცვა მის პატივსაცემად, როცა საბედისწერო ამბავი მოხდა. საღამოს რუსთავის ფილიალში ლექცია მქონდა. ლექციიდან ჟურნალით ხელში გამოვედი. შენობის ფოიეში **მერაბი** დავინახე. შორიდანვე შევნიშნე, რომ ნასვამი იყო. არ მესიამოვნა, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია. იმ დილით ტკბილად და მშვიდად დავშორდით ერთმანეთს. **მივედი მერაბთან, ვუთხარი, საპროფესოროში პალტოს ჩავიცვამ და გამოვალ-მეთქი. მკლავზე ხელი უხეშად მომკიდა და ფოიეს კუთხეში მიმამწყვდია, პალტოს ჯიბიდან დანა ამოიღო და მკერდში ჩამარტყა. ყველაფერი წამებში მოხდა. ვიღაც სტუდენტები მიხვდნენ, რომ რაღაც მოხდა და მერაბისკენ გაიწიეს. მერაბი გატრიალდა და კიბეებზე დაეშვა. მე ხმა არ ამომიღია, მაქსიმალურად მშვიდად შევედი საპროფესოროში, პალტო ჩავიცვი. ვგრძნობდი, როგორ მოთქრიალებდა სისხლი ჭრილობიდან, ვგრძნობდი, რომ ვსუსტდებოდი, ნებისყოფის საოცარი დაძაბვით ჩავედი კიბეებზე, ავტობუსში, რომელიც გველოდებოდა, ჩავჯექი და უკვე იქ ვთქვი, დაჭრილი ვარ და საავადმყოფოში წამიყვანეთ-მეთქი.**

ატყდა ალიაქოთი, მიმიყვანეს საავადმყოფოში, გონზე რომ მოვედი, ყველა მეკითხებოდა, ვინ დამჭრა. მე ვუპასუხე, რომ არ ვიცი. ჩემს თანამშრომელს **ჯულია მარდალეიშვილს** ვთხოვე, თბილისში **გივი გოგუაძესთან** დაერეკა და ეთქვა, რომ რუსთავში ჩამოსულიყო. საავადმყოფოდან მილიციაში დარეკეს, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი დაჭრილი მოიყვანეს. მთელი ქალაქი აწრიალდა. მოვიდნენ გამომძიებლები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთი ლექტორი ქალბატონი რუსთავში ცხოვრობდა. მან შემომთავაზა, რომ თავის სახლში წამიყვანდა. დანა მარჯვენა მხარეს მქონდა დარტყმული, პლევრა დაზიანებული, მაგრამ საავადმყოფოში დარჩენა მაინც არ მინდოდა. **გივი გოგუაძის** ჩამოსვლამდე არ მინდოდა გამომძიებლებთან საუბარი **(გივი პროკურორი იყო თბილისში, ლენინის რაიონში).**

სახლში მისვლიდან ცოტა ხანში საშინელი ტკივილები დამეწყო და სასწრაფოდ საავადმყოფოში წამიყვანეს. პრომიდოლი გამიკეთეს. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ჩემს პალატას მინებიანი კარი ჰქონდა და ცხადად დავინახე, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ჩემი მამამთილი როგორ მოადგა კარს, ალერსიანად მიღიმოდა და ხელს მიქნევდა, წამოდიო. ღამის სამი საათი იყო, გივი და მისი მეუღლე **ნორა ყუფარაძე** ჩამოვიდნენ. თან ქირურგი ჩამოიყვანეს. გივის ვუთხარი, რაც მოხდა. თან ვთხოვე, თუ მე რაიმე მომივა, **ირაკლის** მამის გარეშე ნუ დატოვებ, **ირაკლის** არ უთხრა, რომ დანა **მერაბმა** დამარტყა-მეთქი. მეორე დღეს უკეთესად გავხდი. მესამე დღეს საავადმყოფოდან გამომწერეს და გივიმ თავის სახლში წამიყვანა. **ჩემი დაჭრის საქმე, გივის დიდი რუდუნების შედეგად, ჩაიფარცხა, დაკმაყოფილდნენ ჩემი ჩვენებით, რომ ფანჯარს ვთლიდი (!) დანით და დანა მკერდში მომხვდა.**

ჰო, დამავიწყდა. გივის ჩამოსვლამდე **ზვიადი** მოვიდა ჩემთან საავადმყოფოში. მერაბი მასთან მისულა და ჯერ თბილისის საავადმყოფოებში მეძებეს, მერე რუსთავში ჩამოვიდნენ. ზვიადს ისიც არ უკითხავს, როგორ ხარო. **მერაბი** ხომ არ დაგისახელებია, — მკითხა. არა-მეთქი, რომ ვუპასუხე, დამშვიდდა და წავიდა.

**თვითონ მერაბი როცა გამოფხიზლდა, მართლაც ცუდად იყო. თავის მოკვლის მცდელობაც კი ჰქონდა.** ერთი კვირა მეგობრები არ მოსცილებიან. დაიწყო ჩვენთან „პარლამენტარების“ მოსვლა თხოვნით, მეპატიებინა მერაბისათვის და შევრიგებოდი. განსაკუთრებით **ვოვა სიხარულიძე** აქტიურობდა. თითქმის ყოველდღე მოდიოდა და საათობით მელაპარაკებოდა. მე გაგონება არ მინდოდა. **ვერ ვიგებდი, ვერ ვეგუებოდი, რომ მერაბმა სრულიად უდანაშაულოდ, ფაქტიურად სასიკვდილოდ გამიმეტა.** რომ გადავრჩი, შემთხვევითობა იყო მხოლოდ.

დედაჩემი ჩამოვიდა ოზურგეთიდან. გადავწყვიტეთ, **ირაკლის** დედაჩემი წაიყვანდა ოზურგეთში და მე მამიდაჩემ შუშანასთან ვიცხოვრებდი დროებით.

**ერთი წელი მძიმე დეპრესია მქონდა. ჭრილობა თავს მახსენებდა და მწვავე ფიზიკური ტკივილები მაწუხებდა მკერდის არეში.** არანორმალურად ბევრს ვმუშაობდი. ნახევარი შტატი მომცეს დღის დასწრებულის ფაკულტეტების უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე. მუშაობა დავიწყე კომაროვის სახელობის ნიჭიერ ბავშვთა სკოლაში, რომელიც იმ წელს გაიხსნა და პირველი მასწავლებელი **ტერენტი ტყემალაძე** და მე ვიყავით **(ტერენტი ტყემალაძე საოცრად განათლებული და დახვეწილი პიროვნება იყო, გულუხვად გასცემდა თავის ცოდნას და გამოცდილებას და მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე).**

მუშაობა დავიწყე საქართველოს ენციკლოპედიაში. ახლაც არ ვიცი, როგორ ვასწრებდი ყველაფერს. თავისუფალი მხოლოდ კვირა მქონდა. კომაროვის სკოლაში მივდიოდი და იქ საბეჭდ მანქანაზე ერთი თითით ჩემს დისერტაციას ვბეჭდავდი. ლოგინში ძალიან დაქანცული ვწვებოდი, დიდხანს თვალგახელილი ვიწექი სიბნელეში, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი და ვფიქრობდი, ვფიქრობდი...

ოც დღეში ერთხელ ოზურგეთში მივდიოდი. **ირაკლისთვის** ჩემი ყოველი ჩასვლა ზეიმი იყო, მაგრამ უკან რომ ვბრუნდებოდი, ძალიან ტრაგიკულად აღიქვამდა. მეხვეწებოდა, თან წამიყვანეო. გულდათუთქული ვბრუნდებოდი თბილისში და ირაკლის ხმა **„დედა, წამიყვანე“** მთელი ღამე მესმოდა.

დისერტაცია დავიცავი. ჩემი რუსი ოპონენტი პროფესორი **ალექსანდრე მალიშევი** უნდა ყოფილიყო. დაცვის წინ ავად გახდა და თავის მაგივრად **პროფესორი ვინოგრადოვი** გამოგზავნა. ვინოგრადოვი ძალიან ნიჭიერი მათემატიკოსი იყო. მაშინ, ალბათ, 33 წლის იქნებოდა. აეროპორტში შევხვდით **გოგი ლომაძე, ალექსანდრე ლურსმანაშვილი** და მე. მე უკვე ჭაღარა მქონდა თმაში გარეული (თმები ადრე გამითეთრდა), თმებს ხნით ვიღებავდი და ცოტა მოწითალო ფერი გადაჰკრავდა. ვინოგრადოვი მძიმე ანტისემიტი აღმოჩნდა, რომ დამინახა, **გოგი ლომაძე** გვერდზე გაიყვანა და უთხრა: „Она, конечно, красавица, но еврейка. Я ее оппонентом не буду и сегодня же возвращаюсь в Ленинград“. **ბატონი გოგი ნახევარი საათი არწმუნებდა, რომ ქართველი ვარ და ებრაული სისხლის არცერთი წვეთი არ მირევია. ძლივს დაარწმუნა. ასე რომ, დაცვა კინაღამ ჩაიშალა.**

მერე ვინოგრადოვთან მშვენიერი ურთიერთობა მქონდა, დოქტორანტურაშიც მიმიწვია ლენინგრადში (არამარტო მან, **მალიშევმაც** გამომიგზავნა მოწვევა), მაგრამ მე ჩემი ოჯახური პრობლემებით ისე ვიყავი დატვირთული, ლენინგრადში წასვლა უბრალოდ გამორიცხული იყო. მაშინ როგორც მათემატიკოსი, ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი და, ალბათ, სადოქტორო დისერტაციას ერთ წელიწადში გავაკეთებდი, ლენინგრადში რომ წავსულიყავი. მაშინ ამის საშუალება არ მქონდა, მერე კი სადოქტოროზე მუშაობის სურვილი აღარ მქონდა, მათემატიკის მიმართ საკმაოდ გულგრილი გავხდი.

**თითქმის მთელი წელიწადი დამჭირდა დეპრესიიდან გამოსასვლელად. მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, ბუნებით ოპტიმისტი და ისევ დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი.** ირაკლის ოზურგეთში დატოვება აღარ შეიძლებოდა. ძალიან განიცდიდა უჩემობას. აუცილებელი იყო, თბილისში ბინა მქონოდა.

**მერაბის** ოჯახმა შემომთავაზა ძალიან ყასიდად ბინის საკითხში დახმარება, მაგრამ მათგან ბინის მოთხოვნა ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო. **საერთოდ, მთელი ჩვენი გაშორების პერიოდში, არავითარი ეკონომიური სახის ურთიერთობა ჩემსა და მერაბს შორის არ ყოფილა. ერთმანეთს ხანდახან ვხვდებოდით, ირაკლი და დედაჩემი თუ ჩამოვიდოდნენ თბილისში, ირაკლის ნახავდა, მე მიყენებული ტკივილი ჯერ დავიწყებული არ მქონდა, ამიტომ მე და მერაბს საკმაოდ ცივი ურთიერთობა გვქონდა. მოკლედ, არც მტრები ვიყავით, არც მოყვრები.**

იმ პერიოდში ხელისუფლებამ დაუშვა კოოპერატიული ბინათმშენებლობა. ბინის ღირებულების გარკვეული ნაწილი ადამიანს შეჰქონდა, დანარჩენს მთავრობა სესხად იძლეოდა და 15 წლის მანძილზე ძალიან დაბალი პროცენტით უნდა დაეფარა. საკმაოდ იაფი ჯდებოდა (სამოთახიანი ბინა 6000 მანეთი). პირველი შესატანი 3000 მანეთი იყო, მაგრამ ჩემთვის ეს უზარმაზარი თანხა იყო (ოთხ ადგილზე მუშაობით დაახლოებით 300 მანეთი მიგროვდებოდა თვეში, მამიდაჩემის ოჯახსაც უჭირდა მაშინ, მათაც ვეხმარებოდი, ირაკლის ჩაცმა, მეც ხომ მჭირდებოდა ტანსაცმელი, დედაჩემს მოწაფეები ცოტა ჰყავდა და ირაკლის გამოკვებას ძლივს უმკლავდებოდა). გამომიჩნდნენ პირველი მოსწავლეები. ეტყობა, კარგად ვამეცადინე, რადგან ცოტა ხანში მოწაფეების რიცხვმა იმატა და ეკონომიურად ამოვისუნთქე. მოვაგროვე კოოპერატივში შესატანი თანხა. **იმ დროს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა კოოპერატივი, რომელსაც წითელი პარტიზანების ქუჩაზე უნდა აეშენებინა სახლი. გავ-**

## მაშინ მეუღლეთა გაყრა ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენა იყო, ამიტომ გაყრის შესახებ ცნობა გაზეთში უნდა გამოქვეყნებულიყო. მახსოვს, ცნობა სომხურ გაზეთში გამოვაქვეყნე. პირველად პროცესი რაიონულ სასამართლოში ჩატარდა. იქ წინადადება მოგვცეს, შევრიგებულიყავით და ამისთვის სამი თვის ვადა მოგვცეს!

# უცნობი დღიურები




მერაბ კოსტავა შვილთან – ირაკლისთან ერთად. 1971 წელი

**ხდი ამ კოოპერატივის წევრი.**

კოოპერატივის წევრი ვერ გავხდებოდი, თუ მეუღლესთან გაყრილი არ ვიქნებოდი. **მაშინ მეუღლეთა გაყრა ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენა იყო, ამიტომ გაყრის შესახებ ცნობა გაზეთში უნდა გამოქვეყნებულიყო.** მახსოვს, ცნობა სომხურ გაზეთში გამოვაქვეყნე. პირველად პროცესი რაიონულ სასამართლოში ჩატარდა. იქ წინადადება მოგვცეს, შევრიგებულიყავით და ამისთვის სამი თვის ვადა მოგვცეს. სამი თვის შემდეგ საქმეს უზენაესი სასამართლო იხილავდა. **ბიბი ბოზუაძეს** ვთხოვე და „ჩამიწყო", რომ ჩვენი გაყრა უმტკივნეულოდ ჩატარებულიყო. ათამდე გაყრის საქმე იხილებოდა და ჩვენი საქმე სულ ბოლო იყო. სასამართლოში მე და **ქეთინო ბერიძე** წავედით. მერაბი მარტო მოვიდა. მშვიდად, მეგობრულად ვსაუბრობდით. მერე დაგვიძახეს და იძულებული გავხდით, სხვათა საქმეები მოგვესმინა. **საშინელი სურათი აღმოჩნდა. ყოფილი მეუღლეები ლანძღავდნენ ერთმანეთს, ამკობდნენ უშვერი სიტყვებით, ჩხუბობდნენ მაგიდის, სკამების, საწოლების შესახებ.** ისე ცუდად გავხდი, კინაღამ გამოვიქეცი იქიდან. ბოლოს ჩვენი რიგი მოვიდა. **ჯერ მერაბი გამოვიდა და მხურვალე სიტყვა წაიკითხა იმის შესახებ, როგორი ჭკვიანი, ლამაზი და კარგი ადამიანი ვარ მე, როგორ ყველაფერში თვითონ არის დამნაშავე, რომ მე სანგვინიკი ვარ ტემპერამენტით, ისე კი მელანქოლიკია და ამიტომ გაგვიჭირდა ერთად ცხოვრება.** მე გამოვედი და მერაბის შესახებ ვილაპარაკე, როგორი წესიერი, ალალმართალი პიროვნებაა მერაბი, როგორი ნიჭიერი და განათლებული ადამიანია. **სასამართლოს წევრები გაოგნებულები გვისმენდნენ. სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონი იყო. მასთან „ჩამიწყო" ბიბი ბოზუაძემ საქმე. გაბრაზებულმა გვითხრა, თუ ასე მოგწონთ ერთმანეთი, რაღა ჯანდაბისთვის შორდებით ერთმანეთსო.** ჩვენ კვლავ ხასიათების განსხვავებაზე დავიწყეთ საუბარი. **გაგვაშორეს, რაც კი მაშინ უმაღლესი ჯარიმა არსებობდა გაყრისათვის, დაგვაკისრეს ორივეს და გამოგვიშვეს.**

**გარეთ რომ გამოვედით სამივენი, მერაბმა წინადადება მომცა, შევრიგებულიყავით. საერთოდ, იმ წლებში მერაბი წელიწადში ერთხელ გამოჩნდებოდა ხოლმე და შერიგების წინადადებას მაძლევდა. უარს რომ ვეტყოდი, გაბრაზდებოდა და დიდი ხნით დაიკარგებოდა.**

დისერტაციის დამტკიცების შემდეგ BAK-ის მიერ (უმაღლესი საატესტაციო კომისია), დოცენტად ამირჩიეს. ჩემი დისერტაციის დაცვას ესწრებოდა 1964 წელს შექმნილი კიბერნეტიკის ფაკულტეტის დეკანი **ბიბი ქანთარია.** ეტყობა, მოეწონა ჩემი დაცვა და შემომთავაზა შტატი კიბერნეტიკის ფაკულტეტზე. მე დავთანხმდი. უმაღლესი მათემატიკის გამგე კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ბატონი **ილია ვეკუა** იყო, იმ დროს უნივერსიტეტის რექტორი. **ბიბი ქანთარიამ და ლეო მაღნარაძემ** (მაშინ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, ჩემი უსაყვარლესი პროფესორი) წამიყვანეს ბატონ **ილია ვეკუასთან** შეხვედრაზე. ბატონი ილია ძალიან თბილად შემხვდა. ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბუმბერაზი და დიდებული მთის ასოციაციას იწვევდა. მორიდების მიუხედავად, გავუბედე და ვუთხარი: **„ბატონო ილია, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კოოპერატივის წევრი ვარ, ქმართან გაშორებული ვარ და შვილი ოზურგეთში მყავს დედაჩემთან. ვერ ჩამომყავს, რადგან ბინა არ მაქვს. ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან რომ წამოვიდე, კოოპერატივიდან გამრიცხავენ. იქნებ შემინახოთ შტატი, საათებს, რომელიც ჩემი ჩასატარებელია, ჩავატარებ, შტატი კი სექტემბერში გამიფორმეთ".** **ლეო მაღნარაძე და ბიბი ქანთარია** შეშინებულები მიცქეროდნენ, როცა ვლაპარაკობდი. ეტყობა, იფიქრეს, ბატონი ილია თავხედობად ჩათვლიდა ჩემს ნათქვამს, მაგრამ ბატონმა ილიამ ალერსიანად გამიღიმა და დათანხმდა ჩემს წინადადებას.

კოოპერატივიდან მაინც გამრიცხეს. აღმოჩნდა, რომ სახლი კარგი პროექტით შენდებოდა და პროფესორებმა მოინდომეს კოოპერატივში შესვლა და ახალგაზრდები ყველა გამოგვრიცხეს.

**1967 წელს უნივერსიტეტში გადავედი სამუშაოდ და** მაგრამ გავბედე. ფული გადავიხადე, ჩემი მცირე ბარგი-ლოგინი, ტანსაცმელი და თეთრეული ცარიელ ბინაში გადმოვიტანე. ძლივს ვიშოვე სასესხებლად ბოლო 100 მანეთი, სამი დასაკეცი საწოლი, უბრალო მაგიდა და სკამები ვიყიდე და საკუთარ ბინაში გადავედით. პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები აქაც დამეხმარნენ, მოწაფეები ბლომად გამომიგზავნეს. **იმ წელიწადს 37 მოსწავლე დადიოდა ჩემს სახლში. დილიდან გვიან ღამემდე ვმუშაობდი. ვისი ვალიც მქონდა, იმათი მისამართები ჩამოვწერე. ვფიქრობდი, რაიმე რომ მომივიდეს, დედაჩემი სახლს გაყიდის ოზურგეთში და გადაიხდის ჩემს ვალებს-მეთქი.**

წლის ბოლოს ყველა ვალი გავისტუმრე. ახალი ვალი ავიღე და ბინა გავარემონტე. ზაფხულში დედაჩემის მდგომარეობაც გამოსწორდა. ირაკლის წამოსვლის შემდეგ დედაჩემს თავისუფალი დრო ჰქონდა და მოწაფეებს ამეცადინებდა. ავეჯის ფული მომცა, მოსკოვში წავედი და ავეჯი ვიყიდე.

## ვერ ვიგებდი, ვერ ვეგუებოდი, რომ მერაბმა სრულიად უდანაშაულოდ, ფაქტიურად სასიკვდილოდ გამიმეტა!

**2002 წლამდე კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ვმუშაობდი. კომაროვის სკოლას, ენციკლოპედიას და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს თავი გავანებე.**

იმავე 1967 წელს ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მე-4 კვარტალში ოროთახიანი ბინა ვიქირავე, **ირაკლი** თბილისში ჩამოვიყვანე, ოზურგეთიდან წამოვიყვანე იმერელი ქალი **მუთა კუტუზიძე,** რომელიც ირაკლის და ოჯახს უვლიდა. ეკონომიური მდგომარეობა ახლა ნორმალური მქონდა და ირაკლისთვის მომვლელი ქალბატონის აყვანა შემეძლო.

ორი თვის შემდეგ გავიგე, რომ ჩემს სახლში სამოთახიანი ბინა იყიდებოდა. 18000 მანეთი ღირდა. მე მხოლოდ 6000 მანეთი მქონდა. 12000 მანეთი ვისესხე. პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები ძალიან დამეხმარნენ, ვისაც რამდენი შეეძლო, მასესხა და თანხა მოვაგროვე. მაშინ კოოპერატიული ბინის გაყიდვა აკრძალული იყო. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ჩავწერილიყავი ამ ბინაში ფართის უფლების გარეშე. გაფორმებაზე მე თვითონ უნდა მეზრუნა. დიდი რისკი იყო,

1968 წლის ბოლოსთვის ყველა ვალი გადახდილი მქონდა. ქალაქის საბჭოში ვითხოვე და როგორც კოოპერატივის წევრს, ერთოთახიანი ბინის აშენების უფლება მომცეს. ის ბინა ერთ წელიწადში აშენდა, გავაფორმე საბუთები ბინის გაცვლაზე. ჩემი ბინის პატრონი და მე ვცვლიდით (ჩემი ბინა ისევ სახლის პატრონის სახელზე იყო გაფორმებული, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი იყო და გული მისკდებოდა, რამე არ მოსვლოდა). სამოთახიანი ბინის გაცვლა ერთოთახიანზე არ შეიძლებოდა, ესეც კანონის დარღვევა იყო. ქალაქის საბჭოში ჩემი საკითხის განხილვას ქალბატონი **ნინო ჟვანია** ხელმძღვანელობდა. ჩემი ბინის მოხუცი პატრონი ძლივს მივიყვანე სხდომაზე. ვიღაც ჩინოვნიკი წამოვარდა ფეხზე და ქალბატონ ნინოს მიმართა: „რატომ უნდა გაიცვალოს ერთოთახიანი ბინა სამოთახიანზე? თქვენ რა, ფიქრობთ, ამ გოგონას ლამაზი თვალებისთვის გაცვლის სამოთახიანს ერთოთახიანზე? ცხადია, ფულია აქ ჩარეული. სად იშოვა ამ ახალგაზრდა გოგომ ეს ფული?" გული გადამიტრიალდა.

**ნინო ჟვანიას** არ ვიცნობდი, არც ვინმე მყავდა, პროტექცია რომ გაეწია ჩემთვის. **ჩემდა გასაოცრად, ქალბატონმა ნინომ გაბრაზებულმა მიმართა იმ კაცს: „ახალგაზრდა ქალი შვილს ზრდის, 25 წლისა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. რატომ უნდა ვიყოთ წინააღმდეგი, რომ მას სამოთახიანი ბინა ჰქონდეს, ხოლო მოხუცი კაცი ერთოთახიან ბინაში წავიდეს? ფული სად იშოვა? მოწაფეები მოამზადა და თავისი შრომით იშოვა ფული".** ქალბატონი ნინოს საუბარმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. იმ კაცის გარდა, ყველამ მხარი დაუჭირა გაცვლას.

ეს ერთოთახიანი ბინა სახელმწიფოს ჩავაბარე და ახლა უკვე ნამდვილად მქონდა საკუთარი ბინა. იქნებ ჩემს მომავალ მკითხველს გაუკვირდეს, ვის დააინტერესებს ჩემი ბინის ამბები მომავალში, მაგრამ ამ წინააღმდეგობების გადალახვით, სიძნელეებთან ბრძოლით ყალიბდებოდა ჩემი ხასიათი, ჩემი პიროვნება. ამიტომ არ ავუარე გვერდი ამ პერიპეტიებს.

ახლა მე, **ირაკლი და მუთა** ნორმალურად ვცხოვრობთ. მე მოწაფეებს კვლავ ვამეცადინებ, მაგრამ, ცხადია, ძველებურად მძიმე დატვირთვა აღარ მაქვს. ირაკლი ძალიან ნიჭიერი ბიჭია, კარგად სწავლობდა. წერა-კითხვა ისწავლა თუ არა, კითხვა დაიწყო. კითხულობს უამრავს. სწავლობს ლექსებს. სვამს უამრავ კითხვას. მე მისთვის უდიდესი „ავტორიტეტი" ვარ. როცა გაიზარდა, ერთხელ მითხრა: „16 წლამდე იდეალი იყავი ჩემთვის. შენზე ლამაზი, შენზე ჭკვიანი, შენზე კარგი ადამიანი ქვეყანაზე არ მეგულებოდა. 16 წლის რომ გავხდი, მხოლოდ მერე მივხვდი, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ და ადამიანური სისუსტეები შენთვის არ არის უცხო". ძალიან ბუნებრივი იყო, რაც მითხრა, მაგრამ ისე მეწყინა, რამდენიმე დღე მის ნათქვამზე ვფიქრობდი.

**ირაკლი შაბათობით მერაბთან მიდის. ხანდახან მერაბიც მოდის ჩვენთან სტუმრად. მერაბი თავისი საქმეებით არის დაკავებული და როცა ირაკლი მასთან მიდის, ვერ იცლის შვილისთვის.** ირაკლი ბრაზობს და შემდეგ შაბათს აღარ თანხმდება, მერაბთან წავიდეს. **მე ძალიან მინდა, მამა-შვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, ვცდილობ, მერაბის უყურადღებობა ირაკლის მიმართ შევარბილო. ირაკლის მამა ძალიან უყვარს, მაგრამ „ავტორიტეტი" მერაბი მისთვის არ არის.** მერაბისგან რაიმე ახალს რომ გაიგებს, ჩემთან გადაამოწმებს აუცილებლად. მე ვარწმუნებ, რომ მერაბმა ბევრი რამ ჩემზე გაცილებით უკეთ იცის, მუსიკა, ფილოსოფია, ისტორია, რელიგია. ირაკლი ჯერ პატარაა და ვერავინ დაარწმუნებს, რომ ვინმემ რაიმე დედამისზე უკეთ იცის...

ირაკლი ძალიან ცელქია, თავნებაა და ჯიუტი. ჭამა უყვარს და მსუქანია. ვჩხუბობთ ამაზე, ვეხვეწები, რომ ცოტა ჭამოს, მაგრამ ჯერ პატარაა, თავის გარეგნობის პრობლემა ჯერ არ აწუხებს და შედეგი ნულოვანია. საღამოს ჭამის ნებას არ ვაძლევ. ჩუმად შეაპარებს ბუტერბროდს თავის ოთახში, დაავიწყდება და ბალიშის ქვეშ ვპოულობ მოპარულ ბუტერბროდებს.

**ამ წლებში კვლავ ბევრი „თაყვანისმცემელი" მყავდა. სერიოზული გატაცებაც მქონდა, მაგრამ ქმარზე, გათხოვებაზე ფიქრიც კი არ შემეძლო. მივეჩვიე თავისუფლებას, ჩემი თავი მე მეკუთვნოდა. ამდენ ბრძოლაში მოპოვებულ პირად დამოუკიდებლობას ძალიან ვაფასებდი.** ამ დროისათვის მე უდავოდ ძლიერი პიროვნება ჩამოვყალიბდი, მაგრამ ჩემისთანა ქალები ცუდი ცოლები არიან და ოჯახური ცხოვრებისათვის, მისი ყოველდღიურობისათვის არ გამოდგებიან. ჩემისთანა ქალი კარგია მეგობრად, გვერდზე მდგომად ექსტრემალურ სიტუაციაში, გაგიტანს გაჭირვებაში, მაგრამ დამოუკიდებელი ქალი, რომელსაც ყველა პრობლემის გადაწყვეტა თვითონ შეუძლია, ამის გამო ინიციატივას ართმევს მის ირგვლივ მყოფთ. ასეთი ქალი მეუღლედ არ ვარგა. **ვერც იმას ავიტანდი, რომ ირაკლის მამინაცვალი ჰყოლოდა. სამართლიანადაც რომ გასწყრომოდა, ჩემთვის სხვა ადამიანისგან ირაკლის გაწყრომა მიუღებელი იყო.** მერაბი რომ გაუჯავრდებოდა, ისიც კი მაღიზიანებდა. ასე რომ, აქ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული მქონდა — **გათხოვება, ქმარი, ოჯახი ჩემთვის მიუღებელი იყო.**

**გარეთ რომ გამოვედით სამივენი, მერაბმა წინადადება მომცა, შევრიგებულიყავით. საერთოდ, იმ წლებში მერაბი წელიწადში ერთხელ გამოჩნდებოდა ხოლმე და შერიგების წინადადებას მაძლევდა. უარს რომ ვეტყოდი, გაბრაზდებოდა და დიდი ხნით დაიკარგებოდა!**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მიხეილ ცაგარელი: მარტი მარტივი არ იქნება

*— მარტის პირველ დეკადაში ნეგატიური ენერგიები ადამიანებს რას აიძულებს? თვის რომელ მონაკვეთშია მოსალოდნელი მთელ მსოფლიოში სტიქიური უბედურების, კატასტროფების, მიწისძვრის, ავარიების დიდი ალბათობა? როდის დასტაბილურდება ვითარება? რაზე აისახება პლანეტა ვენერას დადებითი ენერგიების ზეგავლენა, რა იქნება განსაკუთრებით ნაყოფიერი? რა და რა თვისებებს გაამახვილებს გაზაფხულის ბუნიობისა და დღეღამტოლობის საკრალურ დღეებში მზის გადანაცვლება თევზებიდან ვერძის ზოდიაქოში? 23 მარტიდან პლანეტა მარსის თევზების ზოდიაქოში გადანაცვლება და 25 მარტის სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება რას გაამძაფრებს? ამ პერიოდში რა იქნება ყველას მიერ მწვავედ აღქმული? რატომ არის სასურველი თვის ბოლოს ყოველი ნაბიჯის გათვლა და დაგეგმვა ანდა ამ დროს რა შეიძლება გამოაშკარავდეს?*

*— ამ საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორი იქნება გაზაფხულის პირველი თვე და ვითარება ცის კაბადონზე. რას გვაუწყებენ ვარსკვლავები?**

— გაზაფხულის პირველი თვე არ იქნება მარტივი, რამეთუ **მაღალია კონფლიქტების ალბათობა. ნეგატიური ენერგიები ადამიანს აიძულებს, ენერგია, დრო და სახსრები ხარჯონ ფუჭ საქმიანობაზე, გაუმართლებელ შფოთვასა და არაფრის მომცემ მოგზაურობებსა და გადაადგილებებზე.** მწვავე გამოთქმები და საქმის გარჩევაც გახშირდება, დაახლოებით, თვის პირველი დეკადის დასასრულსა და მეორის დასაწყისში (10 მარტის სიახლოვეს) **გაიზრდება მთელ მსოფლიოში სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ტექნიკური ავარიის, მიწისძვრის ალბათობა.** მუშაობის პროცესში ადამიანთა შეცდომები, უყურადღებობა თუ გულგრილობა, ასევე შესაძლოა, გახდეს ტრავმების, გზებზე სახიფათო სიტუაციებისა და სხვადასხვა უსიამოვნების მიზეზი. ამგვარ ემოციურად დაძაბულ პერიოდში აუცილებელი იქნება **გზებზე მანქანის სიჩქარისა და რისკების კონტროლი, მეტი სიფრთხილე და დაკვირვება, ადამიანთა სურვილების გაკონტროლება. სასურველია, გაცნობიერებული იქნეს თითოეული ქმედების შესაძლო შედეგი და პასუხისმგებლობა, რადგან ბევრი რამ, შესაძლოა, გააზრებული არც იყოს და უსიამოვნების და დანაკარგის მიზეზი გახდეს.**

**— როდის უნდა ველოდოთ სიტუაციის გამოსწორებას?**

— **14 მარტიდან დედამიწის ბიოსფერო ჰარმონიული კოსმოსური ენერგიის ზონაში გადანაცვლების გამო შედარებით დაწყნარდება და კოსმოსის ეს პოზიტიური ზემოქმედება 23 მარტამდე გაგრძელდება.** სიყვარულისა და სილამაზის მმართველი **პლანეტა ვენერას** დადებითი ენერგია ოპონენტებს მნიშვნელოვნად დაამშვიდებს და სასიყვარულო ურთიერთობებსაც რომანტიკულობას შეჰმატებს. **წარმატების მისაღწევად სასურველია, ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა და მოლაპარაკება ამ პერიოდში დაიგეგმოს, რადგან ადამიანთა განწყობა მეტად პოზიტიური, მეგობრული იქნება.** გარდა ამისა, მარტის ეს მონაკვეთი მშვენიერი და ნაყოფიერი იქნება ყველა სახის ჯგუფური წამოწყებისა და ბიზნესთანამშრომლობისთვის.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში 20 მარტს მზის გადანაცვლება თევზების ზოდიაქოდან ვერძის ზოდიაქოში?**

— **მზე 20 მარტს (06.04), გაზაფხულის დღეღამტოლობისა და ბუნიობის საკრალურ დღეებში გადაინაცვლებს რა ვერძის ზოდიაქოს ნიშანში, გაამახვილებს აქტიურად მოქმედების უნარს, მებრძოლ-უშიშარ სულისკვეთებას, ლიდერულ თვისებებს, ორგანიზებულობას, ოპტიმიზმს, სამართლიანობისკენ სწრაფვას, კომუნიკაბელურობას, ახალი იდეებისა და სურვილებისკენ მიდრეკილებას და ასევე სულსწრაფობას, სიჯიუტეს, ეგოიზმს, უყაირათობას, პირდაპირობასა და კამათისკენ მიდრეკილებასაც,** ნიშანდობლივია ისიც, რომ 23 მარტიდან ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი **პლანეტა მარსი** გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოს ნიშანში, რის შედეგადაც ადამიანებს შორის კავშირი არასტაბილური გახდება. არ იქნება გამორიცხული, მათ შორის, პოლიტიკურ საერთაშორისო არენაზე ურთიერთობების გამწვავება. **25 მარტს, სავსემთვარეობისას, მოსალოდნელია მთვარის დაბნელება** (პიკი — 11.13 საათზე). ამ პერიოდში ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში ან საბუთებზე ხელმოწერისას აუცილებელია, ზედმიწევნით შემოწმებულ იქნეს საკუთარი პასუხისმგებლობის ჩარჩო და დონეც. გამორიცხული არ იქნება, ოფიციალური ხელშეკრულებები შეიცვალოს, გაუქმდეს ანდა დიდი ხნით გადაიდოს. ამ პერიოდში ემოციურად მწვავედ იქნება აღქმული ნებისმიერი შენიშვნა ან კრიტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში კამათის, გულისტკენის, კონფლიქტის საბაბი გახდება. **31 მარტამდე გაგრძელდება უნდობლობა, ეჭვიანობა და მერყეობა, ამიტომ ჭეშმარიტი გრძნობისა და საკუთარი სურვილის გამოხატვა რთული იქნება. გარდა ამისა, შესაძლოა, გამწვავდეს პარტნიორებს შორის როგორც პირადული, ისე საქმესთან დაკავშირებული არსებული პრობლემები.** ამავდროულად, სირთულეები, რომლებმაც მარტის შუა რიცხვებში იჩინა თავი, თვის ბოლოს შესაძლოა, უფრო მეტად გამოაშკარავდეს და დაიძაბოს მდგომარეობა. დედამიწის ბიოსფეროში ენერგიის შემცირების შედეგად და მოულოდნელი წინააღმდეგობების გამო, ხშირ შემთხვევაში პრობლემა შეექმნება ახალ ურთიერთობას, თამამ საქმიან წამოწყებას, შეთანხმებასა თუ ხელშეკრულებას. **სერიოზული შეცდომა რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა, გადაწყვეტილებების მიღებისას სიფრთხილე გამოვიჩინოთ და თითოეული ნაბიჯი წინასწარ გაითვალოს და დაიგეგმოს.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 4 – 10 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ოჯახური პრობლემის გადაჭრისას ნათესავებისა და მეგობრებისგან დახმარებას მიიღებთ. დროა, იფიქროთ კარიერაზე, ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და იმიჯზე. ნებისმიერი სახის სირთულისგან თავს იოლად დააღწევთ, თუ სხვისი საიდუმლოების გაგებას არ შეეცდებით, სხვაგვარად რეპუტაციას შეილახავთ. კარგი პერიოდია საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად, გადაადგილებებისა და უცხოელებთან ურთიერთობისთვის. მოჭარბებული ენერგია კი ჯობს, კრეატიულად დახარჯოთ.

**კურო** (21.04-20.05)
მოიმატებს სილამაზისა და კომფორტის მოთხოვნილება, ამიტომ შესაძლოა, თქვენს სახლში ცვლილებებზე დაფიქრდეთ, ხიბლიც მოგემატებათ, რაც საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების თქვენდამი ინტერესს გაზრდის. პირადი ურთიერთობებისას მოერიდეთ ჭირვეულობას და კრიტიკას. ეცადეთ, სახლში მყუდრო გარემოში მეტი დრო გაატაროთ, შორეული მოგზაურობა წარმატებას არ მოიტანს, მხოლოდ ფულის ხარჯვის მიზეზი იქნება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
მატერიალური კეთილდღეობა დიდწილად თქვენს განწყობას განსაზღვრავს. მოერიდეთ დიდ თავყრილობებს, ბევრ ადამიანთან კონტაქტებს და საზოგადოებრივ საქმეს. შესაძლოა, ახლობელმა კონფლიქტურ სიტუაციაში ჩაგაგდოთ, რაც შეყვარებულთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. გარისკვა და ვალის აღებაც არ არის სასურველი. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, რათა უცაბედი სირთულეები აირიდოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
იმოქმედეთ მხოლოდ ადრე დასახული გეგმით. საქმიან პარტნიორებთან კარგი ურთიერთობა დაამყარეთ, რათა დასახულ მიზანს სწრაფად მიაღწიოთ. საბუთებთან დაკავშირებით ყურადღება გმართებთ. მეტ დროსა და ყურადღებას ითხოვს ფინანსური საკითხი. ხანგრძლივი მოგზაურობაც არ არის რეკომენდებული. მეუღლე ან შეყვარებული ყოველმხრივ მხარს დაგიჭერთ და გადაწყვეტილების მიღებას გაგიადვილებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
მეგობრებთან ხშირი შეხვედრები და დროსტარება ჯობს, შეამციროთ, რათა უსიამოვნებანი აირიდოთ. იმატებს თქვენი ამტანობა და კეთილდღეობისკენ სწრაფვა. შესაძლოა, ინტუიცია და წინასწარმეტყველების უნარი გაგიმძაფრდეთ. სამსახურსა თუ ბიზნესში სიტუაციის გასაუმჯობესებლად კარგია იმიჯის შეცვლა. ეს კვირა ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. თუ მოზღვავებულ ენერგიას შეყვარებულს დაუთმობთ, ეს ორივეს გეამებათ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ენერგიული იქნებით. გაზრდილი შრომისუნარიანობა და ამტანობა დაგეხმარებათ კრეატიულ და შედეგიან მუშაობაში. ცვლილებებს ნუ შეუშინდებით და იმოქმედეთ თამამად, მაგრამ წინდახედულად. კონკრეტული მიზნები დაისახეთ და ახლობლებს პრობლემების დაძლევაში დაეხმარეთ. პირადი ურთიერთობებისას მეტი მოთმენა გმართებთ. დასვენების გარდა სხვა სახის მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

## 4 – 10 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ახალი საქმის დაწყებისას მეტი სერიოზულობა გმართებთ, რადგან შეცდომის გამოსწორება გაგიჭირდებათ. ოცნების ასრულება წინააღმდეგობებსა და ექსტრემალურ სიტუაციებს დაუკავშირდება. ბარიერების გადალახვა ახალი მეთოდებით მოგიწევთ. შვილებსა და მათ პრობლემებს ყურადღება მიაქციეთ. ეცადეთ, ახლო ნათესავებთან არ იკამათოთ, მშვიდ გარემოში დასვენება ან ახლო მანძილზე მოგზაურობა განწყობას გამოგისწორებთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
კარგი დროა ავტორიტეტის გასამყარებლად და თანამოაზრეთა საძიებლად. ბევრი წვრილმანი პრობლემის მიუხედავად, შესაძლებელია საქმეში მიზნის მიღწევა, ოღონდ ნუ გარისკავთ, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციაც შეამოწმეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით და გამოუსადეგარი ნივთების შეძენაზე ნუ გაფლანგავთ. ოჯახის წევრები სითბოსა და სიყვარულს მოგაწვდიან. მოგზაურობა კი სასურველია, გადადოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
გარშემო მყოფთა მართვასა და სწრაფ გამდიდრებას ნუ ეცდებით, რადგან შესაძლოა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვათ. მოერიდეთ კამათს კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან, ეს კვირა ჯობს, მშვიდად გაატაროთ, ნაკლებად იშრომოთ და დაღლა და ფსიქოემოციური სტრესი ფიზიკური ვარჯიშით მოიხსნათ. მოგზაურობა-მგზავრობაც ჯობს, გადადოთ, რადგან გაუთვალისწინებელი უსიამოვნებებისა და უეცარი ავადმყოფობის ალბათობა არსებობს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მგრძნობელობა და მიმდინარე პროცესებისადმი ინტერესი იმატებს. ბედი გაგიღიმებთ საბანკო საქმესა და კომერციაში. ძალისმიერად ნუ იმოქმედებთ და ნურავის შეეწინააღმდეგებით. აკეთეთ მხოლოდ ის, რაც მარტივად გამოგივათ. ინტუიციას მოუსმინეთ. სასიყვარულო ურთიერთობა სწრაფად განვითარდება, მოგზაურობისას გამაბრუებელ საშუალებებს მოერიდეთ. ასევე ერიდეთ დიდ სიჩქარეს, რათა არ დაშავდეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
თქვენი ენერგომაჩვენებელი დაბალია, რაც შესაძლოა, მუშაობის ხარისხსა და ჯანმრთელობაზეც აისახოს. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ. ძირითად ყურადღებას მიაპყრობთ კარიერასა და დამატებითი ცოდნის მიღებას. საქმეში დახმარებას გავლენიანი პირნი ან თანამზრახველნი გაგიწევენ. ახალი ემოცია-ვნებების მიმართ უფრო თავდაჭერილი იყავით, რათა ამან უკვე არსებულ კავშირს პრობლემა არ შეუქმნას.

**თევზები** (19.02-20.03)
თქვენი ამტანობა გაიზრდება და განწყობაც გაუმჯობესდება. თქვენი პროფესიული საქმიანობა და გაწეული გარჯა სათანადოდ დაგიფასდებათ, რაც ენთუზიაზმს გაგიძლიერებთ. ეს კვირა დიდი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა და ახალი საქმის დაწყებისთვის კარგი დროა. იგი ასევე კარგი პერიოდია ხანმოკლე მოგზაურობისთვის, ახალი კავშირების დამყარებისთვის და პირადი თუ სასიყვარულო შეხვედრებისთვის.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**4, 5, 7, 9 და 10 მარტი**

**10 მარტი – ახალმთვარეობა, პიკი – 13.03 საათზე.**
**25 მარტი – სავსემთვარეობა, პიკი – 10.03 საათზე.**
**მთვარის დაბნელება, პიკი – 11.13 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 4 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.31 საათზე, ჩადის 17.55 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 02.08 საათზე, ჩადის 10.43 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 05.24 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.42 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ურთიერთობისას პარტნიორთან გულახდილი იყავით. შედეგიანია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, წყლის პროცედურები, მეტყველების, ხელებისა და სასუნთქი გზების მკურნალობა. არ არის სასურველი ზედმეტი ამპარტავნობისა და სარკაზმის გამოვლენა, მშენებლობა. კარგი დღეა დანაპირების შესასრულებლად, ძველი საქმის დასასრულებლად, იურიდიული საქმეებისთვის, უცხოელებთან კავშირისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ტურისტული ლაშქრობებისთვის, მგზავრობისთვის, თანამშრომლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, საფირონი, ლაზურიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 5 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.29 საათზე, ჩადის 17.56 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.14) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 03.12 საათზე, ჩადის 11.40 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 06.35 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.16 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია პრობლემის გადაჭრისთვის სწორი გზის მოძიება. ხელი შეეწყობა ყოფითი საკითხების გადაწყვეტას. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ფილტვების, კანის, ფრჩხილების მოვლა-მკურნალობა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მანქანის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა, ახალი კავშირების დამყარება, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 6 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.27 საათზე, ჩადის 17.58 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 04.12 საათზე, ჩადის 12.49 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 07.22 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** სხვათა სიტყვებსა და საუბარს ყურადღება მიაქციეთ. გააკონტროლეთ სიამაყე, ქედმაღლობა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, პარტნიორთან მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, უძრავი ქონებისა და მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, მკვეთრი მოძრაობები, ქორწინება, ვაჭრობა, ფინანსური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 7 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.26 საათზე, ჩადის 17.59 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.44) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 04.56 საათზე, ჩადის 14.07 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 07.50 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 04.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხელი შეეწყობა ახალ წამოწყებასა და ექსპერიმენტს. მოერიდეთ თვალების გადაღლას, მარილიანი ან შებოლილი საკვების და ალკოჰოლის მიღებას. კარგი დღეა საზოგადოებრივი და რეფორმული საქმიანობისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სამეცნიერო კვლევისთვის, სარემონტო სამუშაოებისთვის, აირ და ელექტროტექნიკის, კომპიუტერის შესაძენად და რემონტისთვის, სახლის მშენებლობისთვის, სველი წესით დალაგებისთვის, ორიგინალური საჩუქრების შესაძენად. არ არის სასურველი ფორიაქი, ზედმეტი ლაპარაკი, ნერვიულობა, საიდუმლოს გამხელა, დიდხანს ფეხზე დგომა, ჯობს, იაროთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 8 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.24 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 15.29 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 08.06 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.57 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** ავარიული დღეა, ყურადღება გმართებთ! მოერიდეთ ფორიაქს, ნერვიულობას, ზედმეტ ლაპარაკს. კარგი დღეა ინტერიერის განახლებისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, რეფორმული საქმიანობისთვის, ინტელექტუალური განვითარებისთვის, აირ და ელექტროდანადგარების, კომპიუტერის შესაძენად, სასიყვარულო ურთიერთობაში მოულოდნელი გარდატეხისთვის, გართობისთვის. არ არის სასურველი ელექტროგაყვანილობის რემონტი, ფეხსაცმლის შეძენა, დიდხანს ფეხზე დგომა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 9 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.22 საათზე, ჩადის 18.01 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.10) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.05 საათზე, ჩადის 16.52 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 08.17 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ემოციები აკონტროლეთ. მოერიდეთ მკვეთრ სინათლესა და მძაფრ სურნელს. დასუსტებულია იმუნიტეტი და ნერვული სისტემა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ცხოვრების ახალი ფურცლიდან დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალების მიღება, საიდუმლო საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ტერფები, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 10 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.19 საათზე, ჩადის 18.03 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 19.32 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 08.25 საათზე. **ახალმთვარეობაა, პიკი** — 13.03 საათზე. ამ დროს იწყება მთვარის I დღე და I ფაზაც). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ახალმთვარეობის რთული ენერგიების დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიის, შეცდომების, ცდუნებების, კონფლიქტების ალბათობა, რაც ითხოვს ყველასაგან ყურადღებასა და სიფრთხილეს. **სასიკეთოა ლოცვა.** ეცადეთ, ეს დღე მშვიდად გაატაროთ. არ არის სასურველი გარისკვა, ახალი საქმის დაწყება, ფულის სესხება ან გასესხება, ქორწინება, საიდუმლოდ საქმიანობა, ხელშეკრულების დადება, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, გიშერი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის.

# ბესოც იმიერშია!



ბესო იოგაშვილი სრულიად საქართველოს და გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჭეშმარიტი კოლორიტი იყო. **იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭითა და განუმეორებელი ენაკვიმატობით დაჯილდოებული მსახიობი ჩვენს რედაქციაში მუშაობისას ყოველდღიურად გაგრძნობინებდა, რომ სიცოცხლე მშვენიერია, მითუმეტეს, თუ ბესოსავით უბოროტო, კეთილი და უშურველი ხარ!** მართლაც ბედნიერი დრო იყო, როცა იგი თავის ბრწყინვალე მეუღლესთან, მსახიობთან, პოეტთან და ჟურნალისტ **მაია კახიძესთან** ერთად სწევდა იმ „ასავალ-დასავალის“ ჭაპანს, რომელსაც გუშინ 32 წელი შეუსრულდა. დღეს **მაია კახიძე** ჭირისუფალია და **გაზეთის მთელი კოლექტივის სახელით ვუსამძიმრებთ ძვირფასი ადამიანის დაკარგვას.**

რა დრო გასულა. **ამ სამი ათეული წლის მანძილზე ბევრი რამ გადაფასდა, მაგრამ უცვლელი დარჩა სიყვარულის ის დიადი გრძნობა, რომელსაც ბესოსნაირი უბრალო და ბრალიანი ადამიანები ალამაზებენ!**

## საეკლესიო კალენდარი

✝ 4 მარტი. ორშაბათი. ღირსისა **ლეონისა,** კატანელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; მღვდელმოწამისა **სადოკისა,** სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა 128-თა მოწამეთა; ღირსისა **აღათონ რომის პაპისა;** ღირსისა **ბესარიონ ეგვიპტელისა,** სასწაულმოქმედისა; ღირსისა **პლოტინესი.**

✝ 5 მარტი. სამშაბათი. ღირსისა **ტიმოთე** სიმვოლელისა; **ევსტათისი,** ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსისა; **გიორგისი,** ამასტრიდელი ეპისკოპოსისა; **იოანე სქოლასტიკოსისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; ნეტარისა **ზაქარიასი,** იერუსალიმელი პატრიარქისა.



6 მარტი – ხსენება მოწამეთა ცხრათა ყრმათა კოლაელთა

✝ 6 მარტი. ოთხშაბათი. წმიდათა მოწამეთა **ცხრათა ყრმათა კოლაელთა;** პოვნა წმიდათა ნაწილთა **ევგენიელ** მოწამეთა: მოციქულისა, 70-თაგანისა **ანდრონიკესი, იუნიასი** და სხვათა; მოწამეთა **მავრიკისა** და 70-თა მხედართა; **ფოტინისი, თეოდორესი, ფილიპესი** და სხვათა; ღირსისა **ვარადატი** ანტიოქიელისა; ღირსთა: **თალასისა და ლიმნისა,** სირიელ მეუდაბნოეთა; ღირსისა **ათანასე** აღმსარებელისა; მღვდელმოწამისა **ტელესფორე** რომის პაპისა.

✝ 7 მარტი. ხუთშაბათი. მღვდელმოწამისა **პოლიკარპესი,** სმირნელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: **იოანესი, ანტიოქესი, ანტონინესი და მოსესი;** ღირსთა: **ზევინისი, პოლიქრონისი, მოსესი და დამიანესი,** სირიელ მეუდაბნოეთა; ღირსისა **ალექსანდრე** მონაზონისა, „მღვიძარეთა“ სავანის წინამძღვრისა; ღირსისა **დამიანე** ესთიგმენელისა, ათონელისა.

✝ 8 მარტი. პარასკევი. **წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანეს პატიოსნისა თავისა პირველად და მეორედ პოვნა;** ღირსისა **იოანე** მომკელისა, კალაბრიელისა; ღირსისა **ბოიზილ** შოტლანდიელისა; წმიდისა **ეთელბერტისა,** ინგლისის მეფისა.

✝ 9 მარტი. შაბათი. **ხორციელის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. ტარასისა,** კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა **ალექსანდრესი,** რომელი იწამა დლიზიპარს თრაკიისასა; მოწამისა **აბდალმესია** ჰურიისა; მღვდელმოწამისა **რიგინისა,** სკოპელოსის ეპისკოპოსისა; მოწამისა **ანტონისა.**

✝ 10 მარტი. კვირა. **ხორციელის კვირიაკე. საშინელი სამსჯავროს ხსენება. პორფირისა,** ღაზელი მთავარეპისკოპოსისა; დიდმოწამისა **ფოტინე** სამარიტელისა და მისთანა მოწამეთა: **ბიქტორისა, იოსესი, ანატოლიასი, ფოტოსი, ფოტიდესი, პარასკევასი, კვირიაკიასი, დომნინასი, სებასტიანესი და ქრისტოდულესი;** მოწამისა **თეოკლიტე** მეწამლისა; ხსენება **იოანე ოქროპირის** ხუცესად ხელთდასხმისა.




## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. დეკოლტე; 9. კესო; 11. სონატა; 12. ლექსიკა; 13. კარელია; 14. პერი; 15. ბოკაჩო; 16. ტამპონი; 17. ტანტალი; 18. ტაბუ; 19. საკურა; 22. ვუალი; 23. ჩითილი; 26. ლინი; 27. ფელონია; 28. პითონი; 31. დეკარტი; 32. ჩაო; 34. არაბები; 38. კორკოტი; 39. სამიტი; 42. ნოე; 43. სკორცენი; 44. ბიკინი; 47. ბალანსი; 48. კი; 49. არტემონი; 50. ონტარიო; 51. ლენონი; 52. პირიქითა; 56. ბალმონტი; 57. ბილიკი; 59. კარატისტი; 60. ნეგატივი; 62. სპარტაკი.

შვეულად: 1. ტოროლა; 2. მარაბუ; 3. დაკოტა; 4. კორუნდი; 5. ლელიანი; 6. ელატივი; 7. ექიმბაში; 8. ჩიპოლინო; 9. კაპიტალი; 10. სარაბანდა; 19. საფრა; 20. კოლბა; 21. რენიე; 23. ჩადი; 24. თეკლა; 25. ლურჯი; 28. პიკი; 29. თართი; 30. ნეონი; 32. ჩინი; 33. ოტელი; 35. რეკორდი; 36. ბარტერი; 37. ბრელოკი; 39. სიბილა; 40. მელანჟი; 41. ტენანტი; 44. ბიო; 45. კატალოგი; 46. ნორიო; 48. კოსტავა; 52. პეკი; 53. რური; 54. ქატო; 55. თასი; 56. ბინა; 57. ბის; 58. ლია; 61. ტუ.

ქალაქიტონიკიროსინიანგიომალოკალიუმიაკირადა
კატაკომბინატიფიგაროტესლალომისადაფიონილისი

| დიდი დასახლებული პუნქტი | შალკოჰოლო გაზიანი სასმელი | იტალიელი კომპოზიტორი | კეთილთვისებიანი სიმსივნე | რესტორანი, კაფე გერმანიაში | ესკიმოსების ნავი | უკრაინის პარლამენტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| თავის ჩონჩხი | ძველი ბერძნული სამოსი | სპარსეთის მეფე | ალიგატორის რაოდენობა | სოფელი თუშეთში | ქიმიური ელემენტი – მეტალი | რეჟისორი ... კუროსავა | დედ-მამიშვილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 3. გულამოღებული კაბა; 9. არჩილის და („ოთარაანთ ქვრივი“); 11. ბეთჰოვენი — „მთვარის ...“; 12. ენის სიტყვათა მარაგი; 13. რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკა; 14. თავადაზნაურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენლების წოდებულება ინგლისში, საფრანგეთში (ძვ.); 15. იტალიელი მწერალი (დეკამერონი); 16. ჭრილობაში ჩასადები სტერილური მარლა; 17. ქიმიური ელემენტი, ძნელადდნობადი ლითონი; 18. აკრძალვა; 19. იაპონური ალუბალი; 22. პირბადე; 23. დასარგავი ნორჩი მცენარე; 26. ამერიკელი რეჟისორი; 27. ყოველგვარი მძიმე დანაშაული აშშ-ის სისხლის სამართალში; 28. მსხვილი მახრჩობელა გველი; 31. ფრანგი ფილოსოფოსი; 32. ნახვამდის (იტალ.); 34. არაბულ ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობა; 38. მოხარშული ხორბლის საჭმელი; 39. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 42. რეჟისორი ... სულაბერიძე; 43. ფაშისტი დამნაშავე ოტო ...; 44. ქალის საბანაო სამოსი; 47. შემოსავალ-გასავლის ჯამი (ბუღალტ.); 48. დასტურის სიტყვა; 49. მალვინას ძაღლი („ბურატინოს თავგადასავალი“); 50. ტბა აშშ-ში; 51. „ბითლზის“ წევრი; 52. პირიქით მდებარე რამ; 56. რუსი პოეტი; 57. საცალფეხო გზა; 59. კარატეს მოჭიდავე; 60. შუქმგრძნობიარე ფირზე გადაღებული საგნის უკუღმა გამოსახულება; 61. მონათა აჯანყების ბელადი.

შვეულად: 1. მგალობელი ჩიტი; 2. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 3. აშშ-ის შტატი; 4. ძალიან მაგარი მინერალი, გამოიყენება როგორც აბრაზიული მასალა; 5. ლელით დაფარული ადგილი; 6. გამოსვლითი ბრუნვა ზოგ ენაში; 7. გაუნათლებელი, ვითომ ექიმი; 8. ჯ. როდარის ხახვისთავიანი პერსონაჟი; 9. ქონება, სიმდიდრე, ფასეულობა; 10. ძველებური ესპანური ცეკვა; 19. შაქრის ლერწმის ჭრა კუბაში; 20. ლაბორატორიული ჭურჭელი; 21. ფრანგი მწერალი; 23. ტბა აფრიკაში; 24. ერეკლე მეფის ქალიშვილი ... ბატონიშვილი; 25. სპექტრის ფერი; 28. მთის მწვერვალი; 29. თევზის სახეობა; 30. ინერტული „გასანათებელი“ გაზი; 32. ზეთისხილის ფოთლის ფერი; 33. სასტუმრო; 35. ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 36. საქონელგაცვლა; 37. ერთგვარი პატარა სამკაული; 39. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთში; 40. სხვადასხვა ფერის ძაფის ნართი; 41. ამერიკელი რეჟისორი; 44. სიცოცხლესთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი; 45. გარკვეული წესით შედგენილი რისამე სია; 46. სოფელი გარდაბნის რაიონში; 48. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი; 52. ამერიკელი მსახიობი გრეგორი ...; 53. გერმანიის სამრეწველო რაიონი; 54. დაფქული გარსის ნარჩენი გაცრის შედეგად; 55. სპორტული „ჭურჭელი“; 56. ცალკე სადგომი; 57. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 58. საფლობი ტალახი; 61. ლათინური ასო ტ-ს სახელი.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე

| მიწისქვეშა გალერეა, სადგომი | მშვენიერი, მოხდენილი | სიკვდილით დასჯა დახრჩობით ესპანეთში | სათხილამურო სპორტის სახეობა | მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა | NBA-ს კალათბურთელი | მე-7 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| თაგვების რისხვა | მსხვილი სამრეწველო საწარმო | სევილიელი დალაქი | მაგნიტური ინდუქციის ერთეული | „ლეკვი ... სწორია“ | განთიადი | ჭაობის მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეაპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 4 – 10 მარტი №11 (1529)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.



წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com



გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.


